საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№ 124 (12 803) | 29 მაისი პარასკევი 2009 | ფასი 60 თეთრი




## ოლიმპიაკოსმა ქეცბაია წარადგინა

საბერძნეთშიც მინდა მეტს მივაღწიო

>> გვერდი 2



## ხიზანიშვილი და გალათასარაი: მოლაპარაკებები დაიწყო!

შესაძლოა, ალტერნატივა შტუტგარტი ან ვესტ ჰემი იყოს...

>> გვერდი 3



## საქართველოს ნაკრების ადგილი A დივიზიონშია

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

>> გვერდი 13

## შესაძლოა, უმაღლეს ლიგაში 8 გუნდზე მეტი არ მოგროვდეს...

დღეს კუპერის დონის მწვრთნელი არ გვჭირდება



>> გვერდი 3

## ფლორენტინო პერესმა გუნდი წარმოადგინა

ხორხე ვალდანო და ზინედინ ზიდანი ჯერჯერობით თამაშგარეში არიან

>> გვერდი 10






## ჩელსი: 50 მილიონი რიბერის სანაცვლოდ!

>> გვერდი 8

U 21

# მარტო ნიჭით შორს ვერ გაფრინდები

## რეპეტიცია საგურამოში. ცხადაძის უცნობი ლეგიონერები საბერძნეთიდან და რუსეთიდან

რამდენიმე „სამშაბათობის“ შემდეგ, გუშინ კახა ცხადაძემ მოთამაშეები საგურამოში კიდევ ერთხელ შეკრიბა. წინა შეკრებებისგან განსხვავებით, ამჯერად მისი მიზანი არა თეორიულ-ტაქტიკური ვარჯიშის ჩატარება, არამედ მოლდოვასა და ალბანეთთან მისაწვევ ფეხბურთელთა სიის შედგენა გახლდათ. გუნდი პირობითად ორ ნაწილად გაიყო. მართალია, თავდაპირველად „დასავლეთ“ და „აღმოსავლეთ“ ნაკრებების შეხვედრა იყო ჩაფიქრებული, მაგრამ დასავლეთში საჭირო რაოდენობის მოთამაშეები ვერ შეიკრიბნენ, აქედან გამომდინარე, ჩვენ გუნდები ფორმის ფერების მიხედვით შავებად და ყვითლებად დავყავით.

**ყვითლები–შავები 3:2**

ყვითლები: ზარქუა - ივანიდისი, გოგიაშვილი, იობაშვილი, ცუცქირიძე (46. რამიშვილი) - ბოლქვაძე, გოგიტიძე, განუგრავა - კბილცეცხლაშვილი, ჭედია (46. ქანთარია), მამედოვი.

შავები: მეფარიძე - გიორგობიანი (46. ქურასბედიანი), ქავთარაძე, ჩადუნელი, ჯიშკარიანი - მაისაშვილი (46. მახარაძე), იოსელიანი, ჯანელიძე - ჯოხაძე (46. თექთუმანიძე), პავლიაშვილი (46. სიხარულიძე), ხოკერაშვილი (46. ქირია).

გოლები: 1:0 კბილცეცხლაშვილი (9), 2:0 ქანთარია (61), 2:1 სიხარულიძე (64), 2:2 იოსელიანი (74), 3:2 იობაშვილი (90)

ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ყველა მიწვეული მოთამაშის გასინჯა და ორივე გუნდი ეროვნული ნაკრების მსგავსი სქემით, 4-3-3-ით ათამაშა. შეხვედრა „ყვითლების“ უპირატესობით დაიწყო და უკვე მე-9 წუთზე „ოლიმპის“ შემტევმა კბილცეცხლაშვილმა უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა.

„ყვითლები“ საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ. მარცხენა ფლანგზე აქტიურობდა **მამედოვი**, რომელმაც ძალიან მოძრავი, აგრესიული და სასარგებლო ფორვარდის შთაბეჭდილება დატოვა. 30-ე წუთზე ის რამდენიმე მცველს შორის გაძვრა და კარის წინ მარტოდ დარჩენილი კბილცეცხლაშვილი მოძებნა - ამ უკანასკნელმა ამჯერად თავი ვერ გამოიჩინა, მამედოვმა კი ამ ეპიზოდისთვის მცირერიცხოვანი მაყურებლის ტაში დაიმსახურა. მე-40 წუთზე უკვე „შავების“ ნახევარმცველი **ჯანელიძე** უტევდა, თუმცა „ვიტ ჯორჯიას“ მოთამაშის მიერ კარგად შესრულებული ჯარიმა მეკარე **ზარქუამ** მოიგერია.

ტაიმის ბოლოს „მგლების“ ფორვარდი **ჭედია** გააქტიურდა. ის მცველებში კარგად გაძვრა, თუმცა ბურთი კარს მცირედით ააცილა. ორიოდე წუთში ისევ ჭედია იყო შეტევაში, კვლავ სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ ამჯერად მეკარე **მეფარიძემ** აჯობა. 45-ე წუთზე იმავე ჭედიამ **ცუცქირიძის** მშვენიერი გადაცემა ვერ გამოიყენა და კარს ბურთი ხუთიოდე მეტრიდან ააცილა.

„შავებმა“ მეორე ნახევარი მშვენივრად დაიწყეს. 51-ე წუთზე ჯერ **სიხარულიძეს** შეეძლო ახლო მანძილიდან მოწინააღმდეგის კარის აღება, დამატებაზე კი - მოსკოვის „ტორპედოს“ დუბლების ნახევარმცველ **ბექა ქირიას**, მაგრამ ზუსტად ვერც მან დაარტყა. აქვე ვიტყვით, რომ „ყვითლებში“ 90 წუთი ითამაშა საქართველოში დაბადებულმა, ამჟამად კი სალონიკის „ირაკლისის“ დუბლების მარჯვენა მცველმა **დათო ივანიდისმა**.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

„ყვითლებმა“ კიდევ ერთი სახიფათო მომენტი შექმნეს - კვლავ მამედოვის მშვენიერი გადაცემა, მაგრამ კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილი **განუგრავა** კარს მცირედით აცილებს. 61-ე წუთზე კი თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი **ქანთარია** მეკარესთან პირისპირ დარჩა და შანსი გოლად აქცია - 2:0.

„შავები“ უფრო თამამად მხოლოდ ამის შემდეგ ათამაშდნენ. მათ შორის მეორე ტაიმში გამოჩნდნენ **ჩიორა თექთუმანიძე** და ბათუმის „დინამოს“ ყოფილი კაპიტნის, **მალხაზ მახარაძის** ვაჟი **ბექა მახარაძე**. მოგეხსენებათ, ბატონი მალხაზის უფროსი ვაჟი, კახა, თბილისის „ლოკომოტივის“ ლიდერია. უმცროსი მახარაძეც ანალოგიური სტილის ფეხბურთელია. ის ტექნიკური გახლავთ, მისთვის ბურთის წართმევა ძნელია, მოედანს მშვენივრად ხედავს, მაგრამ ფიზიკურად ჯერ კიდევ სუსტია.

64-ე წუთზე ვიტჯორჯიელმა ჯანელიძემ ძალიან ძლიერად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, ზარქუამ ბურთი ხელებში ვერ შეინარჩუნა და დამატებაზე დინამოელმა სიხარულიძემ ანგარიში შეამცირა - 2:1. 10 წუთში კი „შავების“ საყრდენმა ნახევარმცველმა **გიგი იოსელიანმა** შორიდან ძლიერი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

მატჩის საბოლოო წერტილი მარტვილის „მერანის“ ცენტრალურმა მცველმა **ვალერი იობაშვილმა** დასვა. საჯარიმო განუგრავამ შეასრულა, ბურთი კარისკენ რიკოშეტით წავიდა, სადაც ყველას იობაშვილმა დაასწრო და ახლო მანძილიდან თავით გაიტანა - 3:2 „ყვითლების“ სასარგებლოდ.

უნდა ითქვას, რომ იობაშვილმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ჩვენი ინფორმაციით, ის მოლდოვისა და ალბანეთის ნაკრებებთან მატჩისთვისაც მოემზადება. რომ არა „სამშაბათობები“, მართლა სოფელ-სოფელ სიარული და სელექციაზე რეალური ზრუნვა, იობაშვილს და კიდევ რამდენიმე ნიჭიერ ფეხბურთელს კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ ელირსებოდა, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის ყურადღება.

საერთო ჯამში, ბევრია ნიჭიერი მოთამაშე, მაგრამ მათ ამ ბუნებრივი ნიჭის განვითარდება უჭირთ. უმრავლესობა „ნახევარფაბრიკატის“ შთაბეჭდილებას ტოვებდა. თვალში საცემი იყო მოთამაშეთა ნაკლი - სწრაფი გადაადგილება, სწრაფი თამაში, მოძრაობა და გახსნა. დღეს მარტოოდენ ბუნებრივი ნიჭით შორს ვერავინ გაფრინდება. ასე რომ, თითოეულ მათგანს ძალიან ბევრი აქვს სამუშაო, მინიმალური ევროპული მოთხოვნები მაინც რომ დააკმაყოფილოს...

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დანიელები ფოფხაძეს ნაკრებში მიწვევას უმალავენ

## აზერბაიჯანელებმა ნახევარი მილიონი შემომთავაზესო...

**როგორც იქნა**, ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა გიორგი ფოფხაძეს ყურადღება მიაქციეს. დანიური „ვიბორგის“ ქართველ მცველს კლაუს ტოპმიოლერი კი იწვევდა, მაგრამ მიზეზთა გამო, მათ შორის „შავმა კატამ“ გაირბინა და ნიჭიერი მცველი „თამაშგარე მდგომარეობაში“ დარჩა. ექტორ კუპერმა გაიკითხა საინტერესო ფეხბურთელთა გვარები და... გადაწყვიტა, მოლდოვისა და ალბანეთის ნაკრებებთან ამხანაგური მატჩებისთვის ფოფხაძეც გაესინჯა. თუმცა, როცა გიორგის დავუკავშირდით, მისთვის ბოლომდე უცნობი იყო, მართლა გამოიძახეს თუ არა...

- ძალიან გამიხარდა, როდესაც მითხრეს, რომ სანაკრებო სიაში ჩემი გვარი დაასახელეს. თუმცა, სიმართლე გითხრათ, დავიბენი, კლუბში ოფიციალური მიწვევა არ გამოუგზავნიათ. ყოველ შემთხვევაში მითხრეს, რომ საქართველოდან ფაქსი არ მოსულაო. 28 მაისს და 1-ელი ივნისს პრინციპული შეხვედრები გვაქვს და ოფიციალური მიწვევის გარეშე, ესენი არ გამომიშვებენ. არადა, ნაკრებში თამაში მინდა და როგორ არ უნდა ჩამოვიდე?!

**- ფედერაციიდან პირადად არ დაგკავშირებიან?**

- მითხრეს, რომ გაფართოებულ სიაში ვიყავი. შევიტყვე, რომ სიაში ჩემი გვარიც ეწერა, მაგრამ რა ხდება, ვერ გავიგე. ისე, არ გამოვრიცხავ, თამაშები რომ არ გავაცდინო, ესენი მიწვევას მიმალავდნენ.

**- შენი საკლუბო საქმეები როგორ არის?**

- მე რომ ვარ, ასე მტერს არ ვუსურვებ.

**- რატომ?!**

- დანიის უმაღლეს ლიგაში გადასვლის ნაღდი შანსი გვქონდა, პირველ ადგილზე დიხანს ვიყავით, მაგრამ ბოლო სამ შეხვედრაში უსუსური ფეხბურთი ვაჩვენეთ, წავაგეთ და პირველ ადგილთან ერთად, მგონი, უმაღლესში გადასვლის შანსიც გავანიავეთ. ბოლო ორი შეხვედრა ტრავმის გამო მეც არ ჩამიტარებია. იმდენად გულაცრუებული ვარ, რომ უკვე ვთქვი - ეს „ვიბორგში“ ჩემი ბოლო სეზონია-მეთქი. თუმცა, ჯერ არ ვიცი, კარიერას სად გავაგრძელებ. სეზონი მალე მთავრდება და კლუბის პრეზიდენტს დაველაპარაკები.

**- რომელიმე სერიოზული კლუბის შეთავაზება მიიღე?**

- ჯერ არაფერი შემოუთავაზებიათ, რადგან უმაღლესში გადასვლის იმედი მქონდა. ვერც წარმოვიდგენდი, სეზონს „ვიბორგი“ ასე უხეიროდ თუ დაასრულებდა და კლუბიდან წასვლაზე არ ვფიქრობდი. მენეჯერს მხოლოდ ზედიზედ მესამედ წაგებული შეხვედრის შემდეგ დაველაპარაკე, წასვლა მსურს და კლუბი მომიძებნე-მეთქი. მაშინ საბოლოოდ გადამეწურა იმედი.

**- „ვიბორგი“ რატომ აირია?**

- პრეზიდენტი მოიქცა სულელურად. პირველი წრე ძალიან კარგად ჩავატარეთ, მაგრამ რატომღაც, მეორე წრის დასაწყისში მთავარი მწვრთნელი შეცვალა, მან კი თავისი ხალხი მოყარა და გუნდიც ძველებურად ვერ თამაშობდა. მეორე წრეში კი სულ ავირიეთ. თანაც, ამ მწვრთნელთან მუშაობაც არ მსიამოვნებს.

**- მწვრთნელს არ მოსწონხარ?**

- ეს არაფერ შუაშია, უბრალოდ, ერთმანეთის არ გვესმის. ის დანიაში ერთადერთი მწვრთნელია, რომელსაც ინგლისური არ ესმის, მე კი დანიური არ ვიცი და მაინც დანიურად მელაპარაკება. ხომ წარმოგიდგენიათ, დავალებას რა კარგად გავიგებ.

**- რამდენი წელია დანიაში თამაშობ და ენა როგორ ვერ ისწავლე?**

- ძალიან რთული ენაა. თანაც, ინგლისური ვიცი და პრობლემა არავისთან შემქმნია. რას წარმოვიდგენდი, რომ გუნდში ყველაზე გაუნათლებელი მწვრთნელი იქნებოდა.

» მე-4 გვერდზე

პრეზენტაცია

# ოლიმპიაკოსმა ქეცბაია წარადგინა

**გუშინ** ათენის დროით 13 საათზე **თემურ ქეცბაია** პირეოსელთა კლუბის ოფისში, „ოლიმპიაკოსის“ მთავარი მწვრთნელის რანგში საჯაროდ წარადგინეს. იმასაც შეგახსენებთ, რომ თემურმა ბერძნულ კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მასმედიის წინაშე კლუბის პრეზიდენტი **სოკრატის კოკალისი** და თავად ქეცბაია წარდგნენ. მცირე შესავლის შემდეგ კოკალისმა სიტყვა ქეცბაიას გადასცა.

„მხარდაჭერისა და ნდობისთვის დიდად მადლიერი ვარ. დიდი გუნდის ჩაბარება ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობაა და სწორედ ამას ვგრძნობ. ფეხბურთელობისას საკმაოდ ამბიციური ვიყავი. უფრო და უფრო მაღალ დონეზე მინდოდა ასვლა, ამიტომაც დავტოვე საქართველო და კვიპროსს მივაშურე. იქაურ დონეზე მეტი მოვინდომე და მერე იყო საბერძნეთი, ინგლისი... ფეხბურთელობისას როგორი ამბიციურიც ვიყავი, ასეთივე ვარ მწვრთნელის ამპლუაშიც. ყველანაირად ვცდილობ, დასახულ მიზანს მივაღწიო. ახლა ჩემი მიზანი „ოლიმპიაკოსის“ წარმატებებია ჩემპიონატში, თასის გათამაშებასა და ლიგაზე. კვიპროსზე მუშაობისას, თითქმის უცნობი გუნდი, ევროპას გავაცანი... ამ ქვეყანაში რაც შემეძლო გავაკეთე, საბერძნეთშიც მინდა მეტს მივაღწიო. „ოლიმპიაკოსში“ შექმნილი მდგომარეობა ძალიან მომეწონა. როცა მწვრთნელი, პრეზიდენტი და საერთოდ კლუბის ხელმძღვანელობა ერთ გუნდადაა შეკრული, ეს წარმატების გარანტიაა. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა „ანორთოსისში“ ჩემი წარმატებები“, - განაცხადა პრეზენტაციაზე ქეცბაიამ.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
ბარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## ზურაბ ფოცხვერია

# შესაძლოა, უმაღლეს ლიგაში 8 გუნდზე მეტი არ მოგროვდეს...

## დღეს კუპერის დონის მწვრთნელი არ გვჭირდება



ზურაბ ფოცხვერია

„ამერის“ პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია ქართულ საფეხბურთო წრეებში თვალსაჩინო ფიგურაა. ის სათქმელს არასდროს ერიდება და დაუფარავადაც ამბობს. საინტერესოა, რა აზრისაა ბატონი ზურაბი გარიგებულ მატჩებზე, ჯერაც არშექმნილ კომისიაზე, რომელმაც ამგვარი მატჩები უნდა გამოავლინოს, საინტერესოა ასევე მისი მოსაზრება ნაკრების მწვრთნელ ექტორ კუპერზე...

მოკლედ, იმედი გვაქვს, რომ ინტერვიუ ტყუილად არ მოგაცდენთ...

**- საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას გვერდიდან ადევნებდით თვალს. როგორ შეაფასებდით ან უკვე დასრულებულ პირველობას? სჯობდა წინა ჩემპიონატს თუ არა?**

- ასეთ დროს ცოტა სხვაგვარად სწვდები ჩემპიონატის სიღრმეებს. შედარებისგან თავს შევიკავებდი. როგორც ყველა სეზონს, ბოლოსაც ჰქონდა თავისი სასიკეთო და ძალიან დიდი უარყოფითი მომენტები, თუმცა ის ნამდვილად არ იყო საუკეთესო. ბოლო წლებში უკეთესი ჩემპიონატებიც მახსოვს...

**- ანუ, ჩემპიონატის დონე დაეცა თუ ერთ ადგილზე ვართ?**

- იცით, ერთ ადგილზე ყოფნა უკვე უკუსვლაა. დიახ, თუ წინ არ მიდიხარ, ეს უკუსვლაა. ჩვენი საფეხბურთო გარემო აგვისტოს მოვლენებმა და მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმაც საგრძნობლად გააუარესა.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ ბოლო ჩემპიონატში უფრო მეტი იყო გარიგებული მატჩი, ვიდრე წინა პირველობაზე. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?**

- რა გითხრათ... ვერც დავეთანხმები და ვერც უარვყოფ, რადგან გარიგების მომსწრე არ ვყოფილვარ. თუმცა ჟურნალისტები უფრო ინფორმირებულები ხართ და როცა მედიაში ასეთი აჟიოტაჟია გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებით, ეს უთუოდ ყურადსაღები ამბავია. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, დასანანია, მაგრამ ფაქტია - ჩვენი ჩემპიონატის ავტორიტეტი შელახულია, და სამწუხაროდ იმდენად, რომ სუფთა თამაშზეც შეიძლება ეჭვი გაჩნდეს. ჩემთვის გულსატკენი ის არის, რომ ეს უამრავმა ნეგატივმა ჩემპიონატისადმი ნდობა და ინტერესი თითქმის მთლიანად მოსპო.

**- პირადად თქვენ რომელ მატჩს მიიჩნევთ საეჭვოდ?**

- ალმასკომის წევრი ვარ და მხარი დავუჭირე, რომ საეჭვოდ მიჩნეული ის სამი თამაში, რომელიც ალმასკომის სხდომაზე განიხილებოდა, გამოსაძიებლად შესაბამის სტრუქტურებს გადაცემოდა. საეჭვო თამაში, იმ სამის გარდა, შესაძლოა სხვაც იყო, მაგრამ, მოდი, ჰაერში საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, ამ ეტაპზე ამ სამი მატჩით შემოვიფარგლოთ. როცა გარკვეული დასკვნები გვექნება, მერე სხვა თამაშებზეც ვთქვათ.

**- ახლა თამაშში შემოდის სპეციალური კომისია...**

- კომისია, ალბათ, მაინც საჭიროა, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს კომისია აბსოლუტურად ქმედუნარიანი იქნება... რადგან მხოლოდ ვიზუალური შთაბეჭდილებებით ძნელია გადამჭრელი ზომების მიღება. თუმცა ეროვნულ ჩემპიონატში დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც ამ პრობლემის მოსაგვარებლად იქნება მიმართული, მისასალმებელია.

**- ზოგი ამ კომისიაზე დიდ იმედებს ამყარებს, ზოგიც პესიმისტურადაა განწყობილი...**

- ბევრი იყო იმისი მსურველი, რომ ეს კომისია შექმნილიყო და ამ ინიციატივას მეც დავუჭირე მხარი, იმიტომ, რომ მინიმუმ ის არაფერს გააფუჭებს. მის ეფექტურობაზე დიდ იმედებს არ ვამყარებ, რადგან მხოლოდ ვიზუალური შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე, ძნელია, რომელიმე გუნდის, ფეხბურთელისა თუ მსაჯის მოქმედებაში ეჭვი შეიტანო. შესაბამისად, არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ კომისიის მუშაობა იმ ეფექტს მოგვიტანს, რასაც საფეხბურთო საზოგადოება ელის. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე...

**- თავად ხომ არ გაქვთ რაიმე წინადადება?**

- ძალიან ძნელია ობიექტური კრიტერიუმების გამონახვა, ამა თუ იმ მატჩზე რომ თქვა, გარიგებულიაო. თუ ევროპულ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, კონკრეტული დასკვნები მხოლოდ და მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს ჩარევის შედეგად ხდება.

**- ...კი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პროკურატურისთვის ჯერ კიდევ შარშან გადაცემული საეჭვო მატჩების შედეგად არავინ დასჯილა...**

- ეს მართლაც დამაფიქრებელი და ცუდი პრეცედენტია. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მხოლოდ ერთ პრეცედენტად დარჩება და აღარ განმეორდება.

**- თითქმის არავინ ელის, რომ ბოლო ჩემპიონატიდან რომელიმე გუნდი დაისჯება და ახალ სეზონს მინუსებით დაიწყებს. მაინც რას ელით ამ კომისიისგან?**

- ამ საკითხს ცოტა სხვაგვარად ვუყურებ. იტალიის ფეხბურთის ფედერაციას აქვს იმისი ფუფუნება, რომ „იუვენტუსი“, „მილანი“, „ფიორენტინა“ დააქვეითოს მეორე ლიგის ქვემოთაც კი და ქულებიც დააკლოს. ამით იტალიის საკლუბო ფეხბურთს შესაძლოა, ფაქტობრივად, არც არაფერი დააკლდეს. სამწუხაროდ, ქართულ ფეხბურთში სხვა რეალობაა. თუნდაც ჩემპიონატში ნათამაშები 11 გუნდის ფინანსურ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა მომავალ პირველობაზე უმაღლეს ლიგაში 8 გუნდის ასპარეზობაც კი სათუო გახდეს. ამ რეალობის არგათვალისწინება, ალბათ არ იქნება სწორი. ფედერაცია და პროფლიგა ქართულ ფეხბურთზე ზრუნავენ. რა თქმა უნდა, ფეხბურთის გაჯანსაღებაზე, მის სიწმინდეზეც ვზრუნავთ, მაგრამ ამ სიწმინდისა და გაჯანსაღებისთვის, როგორც მინიმუმ აუცილებელია, ფეხბურთი არსებობდეს. თუ ჩვენ რამდენიმე გუნდს მოვკვეთთ უმაღლესი ლიგიდან, დავაქვეითებთ, შევავიწროებთ... ეს ქართულ ფეხბურთს მნიშვნელოვნად დაარტყამს და შესაძლოა, ხვალ აღარც კი გვქონდეს... ამით არც არაფერს ვარბილებ და არც არაფერს გამოვრიცხავ, უბრალოდ ვამბობ, რომ ეს ისეთივე რეალობაა, როგორიც გარიგებული მატჩების არსებობა ჩვენს ჩემპიონატში. ასე რომ, გადაწყვეტილების მიღებამდე ეს და სხვა ფაქტორებიც გასათვალისწინებელია. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ამ კომისიის გადაწყვეტილება სულაც არ იყოს ისეთი, როგორსაც საზოგადოება ელის, მაგრამ მერწმუნეთ, აქ იმდენი ნიუანსი და ურთიერთდამოკიდებული ელემენტია, რომ თუ რომელიმე გუნდის გარიგებულ მატჩში მონაწილეობა დამტკიცდა, არ ვარ დარწმუნებული, რომ ის გუნდი უნდა დავაქვეითოთ...

**- ეს გასაგებია, მაგრამ ქულების დაკლება ხომ მაინც შეიძლება?**

- ქულების ჩამოკლება შეიძლება, მაგრამ ესეც კარგადაა მოსაფიქრებელი. პირადად მე ცალსახად ვარ იმისი მომხრე, რომ გარიგებულ მატჩებში მონაწილე გუნდი მოიკვეთოს... ასეთი გუნდი გარიგებით რა ზარალსაც აყენებს ეროვნულ პირველობას, სხვა ფაქტორი ვერ მიაყენებს. შეუძლებელია, მაყურებელი მიიყვანო სტადიონზე, როცა მას ნდომა აქვს დაკარგული და ფიქრობს, რომ ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი, გარიგებული... სამწუხარო ისაა, რომ ჩვენი ფეხბურთი ძალზედ სავალალო მდგომარეობაშია. უეფას წევრი ქვეყნებიდან არ მეგულება ისეთი, რომელიც არათუ ჩვენზე უარეს დღეშია, არამედ ახლოს მაინცაა ჩვენს მდგომარეობასთან.

**- ზოგს მიაჩნია, რომ ტოტალიზატორში ეროვნული პირველობის მატჩებზე ფსონის მიღება გარიგებისთვის ნოყიერ ფონს ქმნის. ზოგი კი პირიქით მიიჩნევს, ნდობის ფაქტორი იზრდებაო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- ჩემი აზრით, ტოტალიზატორში ჩვენი ჩემპიონატის მატჩებზე ფსონის მიღება კორუფციას უწყობს ხელს. ეს ნეგატიურია და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ეს ფაქტორი ჩვენს ფეხბურთში არსებულ ვითარებას ვერ გააკეთილშობილებს, პირიქით ვითარებას გააუარესებს.

**- ნაკრების თავკაც კუპერზე აზრები ორადაა გაყოფილი - გაგრძელდეს თუ არა მასთან კონტრაქტი. როგორც ქართული საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენელი, ალმასკომის წევრი, თქვენ რა აზრისა ხართ?**

- კუპერის კვალიფიკაციაში ეჭვი არ შემაქვს, ეს ცალსახაა და ბევრი დამეთანხმება, მაგრამ აქ მეორე მომენტია. რისი საშუალება აქვს და რამდენად შეგვიძლია მისი შესაძლებლობების გამოყენება. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებს დღეს არ სჭირდება კუპერის დონის მწვრთნელი. ჩვენს ფეხბურთს სულ სხვა რამ სჭირდება, ამას ყოველთვის საჯაროდ ვამბობ და ახლაც ვიტყვი. ჩვენ მთავარი აქცენტი ეროვნულ ნაკრებზე კი არა, ჩემპიონატზე უნდა გავაკეთოთ. ეროვნულ გუნდს უცხოელებით ვერ დავაკომპლექტებთ, ქართველი ფეხბურთელი კი რაოდენობრივადაც არ გვყავს იმდენი, სანაკრებო დონეს, სასტარტო შემადგენლობას რომ გასწვდეს. მნიშვნელობა არ აქვს ნაკრების თავკაცი კუპერი იქნება, კაპელო, ნაკლებადცნობილი უცხოელი მწვრთნელი თუ ქართველი, ნაკრები გარკვეულ ზღვარზე მეტს დღეისათვის მაინც ვერ მიაღწევს, რადგან ჩვენს ფეხბურთში უამრავი ისეთი პრობლემაა, რომელიც შედეგზე გავლენას მაინც მოახდენს. ამ ნათქვამით არც მწვრთნელს ვაკნინებ და არც ჩვენს ნაკრებს, უბრალოდ, ეს სამწუხარო, მაგრამ ობიექტური რეალობაა. რაც შეეხება ნაკრების თავკაცსა და ყბადაღებულ ფინანსურ თემას, ხშირად გვსმენია, კუპერი ჩვენთვის ფუფუნებაა და ჯობს, ეს ფული ფეხბურთის ინფრასტრუქტურას ან სხვა სფეროს მოვახმაროთო. ასე არაა, კუპერისა და მისი შტაბის ჯამაგირისთვის გამოყოფილი თანხა მიზნობრივი თანხაა და ფედერაცია არაფერს აკლებს ამ თანხას. თუ კუპერი აღარ იქნება ნაკრების მწვრთნელი, ეს თანხაც აღარ იქნება. ასე რომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, იქნება თუ არა კუპერი. დღეს ქართულ ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობა არაადეკვატურია ამ დონის მწვრთნელისთვის. ჩემი აზრით, კუპერი ვითარებიდან გამომდინარე, თავისი პოტენციალის რეალიზებას ვერ შეძლებს. ყველაფერს შესაბამისი გარემო სჭირდება და დღეს ჩვენს ფეხბურთში ნამდვილად არაა ისეთი გარემო, რომელიც კუპერის რანგის სპეციალისტს შეესაბამება.

დავით ცაბაძე

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ხიზანიშვილი და გალათასარაი: მოლაპარაკებები დაიწყო!

## შესაძლოა, ალტერნატივა შტუტგარტი ან ვესტ ჰემი იყოს...

ინგლისის პრემიერლიგის განვლილი სეზონი საქართველოს ნაკრების მცველ **ზურაბ ხიზანიშვილისთვის** კარგი ნამდვილად არ იყო. საქმე ის გახლავთ, რომ ზურას სათამაშო პრაქტიკის არქონას „ბლექბერნში“ მწვრთნელთა ცვლამაც ვერ უშველა. **სემ ელერდაისის** ფორმაციის გუნდშიც ხიზანიშვილმა დროის უმეტესი ნაწილი მოედნის მიღმა გაატარა. სწორედ ამიტომ, გამოცდილ მცველს არასდროს დაუმალავს, რომ კლუბის შეცვლას აპირებს. ამ ზამთარს გაჟღერდა და ეს ბრიტანულმა სააგენტოებმაც დაწერეს, რომ ხიზანიშვილი **ჯანფრანკო ძოლას** სიაში იყო და „ვესტ ჰემი“ მის გადაბირებას ზაფხულის სატრანსფერო პერიოდისას შეეცდებოდა. ხიზანიშვილის მთხოვნელთა რიცხვს კიდევ ერთი, გერმანული „შტუტგარტიც“ დაემატა. გუშინ კი ზურას ტრანსფერზე კიდევ ერთი ცნობა გახმოვანდა - „ასოშიეიტედ პრესის“, „მირორის“, „თიმ ტოქისა“ და სხვა ვებგვერდების მტკიცებით, ხიზანიშვილთან თურქულმა „გალათასარაიმ“ წამოიწყო მოლაპარაკებები. უფრო მეტიც, „მირორის“ ცნობით, ზურაბი „გალათასარაისთვის“ პრიორიტეტული სამიზნეც ყოფილა.

ბუნებრივია, ყოველივე ამის შემდეგ თავად ფეხბურთელთან დაკავშირება გადავწყვიტეთ, მაგრამ გუშინ ეს არ მოხერხდა და ამ თემის განვრცობას მომდევნო ნომერში შევეცდებით. თუმცა მის მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით გარკვეული ცნობები მაინც მოვიძიეთ.

ზურაბთან დაახლოებულმა წყარომ „გალათასარაისთან“ დაწყებული მოლაპარაკებები და „შტუტგარტის“ ინტერესი დაგვიდასტურა. იქვე დაამატა, რომ არაა გამორიცხული, „ვესტ ჰემიც“ მალე დაუკავშირდეს ხიზანიშვილს. როგორც ჩანს, ნაკრების მცველის საკითხი მანამდე ვერ გაირკვევა, სანამ „ბლექბერნი“ საკუთარ პოზიციას არ დააფიქსირებს. საქმე ის გახლავთ, რომ ზურაბს ინგლისურ კლუბთან 2011 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი. შესაბამისად „ბლექბერნმა“ უნდა დაასახელოს თანხა, რომლის სანაცვლოდაც ზურაბ ხიზანიშვილს შეელევა. ასე რომ ზურა და მისი მსურველი კლუბები „ბლექბერნის“ მიერ თანხის დასახელებას ელიან.

დავით ცაბაძე




მარცხნივ ზურაბ ხიზანიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

# ყველა გოლი



ალექსანდრე კოშკაძე



რატი ალექსიძე

„ლელოს" გუშინდელ და გუშინწინდელ ნომრებში საქართველოს ჩემპიონატების ყველა ბომბარდირი გავიხსენეთ - 1990 წლიდან მოყოლებული დღემდე. ახლა კი ალბათ, დროა, რომ მეოცე ჩემპიონატზეც ვისაუბროთ; უფრო ზუსტად, ჩემპიონატში მონაწილე თერთმეტივე გუნდის „მონაგარს" გაეცნობით. თითოეული გუნდის გვერდით მითითებულია ჩემპიონატში გატანილი გოლების რაოდენობა, ხოლო ფრჩხილებში - ფეხბურთელთა რაოდენობა, ვინც საკუთარ გუნდს გოლებით შეეწია. ერთი მხრივ, ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ყველაზე მეტჯერ თავი იმ გუნდის ფეხბურთელებმა გამოიჩინეს, მეტოქეთა კარში ყველაზე მეტი გოლი რომ გაიტანეს: „დინამოს" 70 გოლი 17 ფეხბურთელზე „ნაწილდება". ანალოგიური სიტუაციაა საპირისპირო შემთხვევაში - ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები (21) გოლი „ბორჯომმა" გაიტანა და ის იშვიათი სიხარულიც მხოლოდ რვა ფეხბურთელმა განიცადა. ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ გოლების ნახევარზე მეტი, ფაქტობრივად, ორ ფეხბურთელზე მოდის: **ირაკლი კიკნაძემ** მეტოქეთა კარში რვა ბურთი გაიტანა, მეორე წრეში გუნდს დამატებულმა **ილია პავლიაშვილმა** კი - ხუთი. თითქმის ყველა გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი, რაღა თქმა უნდა, თავდამსხმელებს ჰქონდათ და ამ მხრივ მხოლოდ ერთადერთი გამონაკლისი „სიონია". ბოლნისელთა კლუბის საუკეთესო ბომბარდირი ნახევარმცველი **ალექსანდრე კოშკაძე** გახდა, ვინც ... მხოლოდ პირველ ეტაპზე დაეხმარა „სიონს". საერთოდაც, „სიონს", ალბათ, ყველაზე „ხმაურიანი" სახელ-გვარის ფორვარდები ჰყავდა, მაგრამ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში თავდამსხმელებმა საერთო ჯამში მხოლოდ ცხრა გოლის გატანა შეძლეს. კოშკაძე შემთხვევით არ გვიხსენებია - ამ ნახევარმცველმა მეორე ეტაპი უკვე „დინამოს" შემადგენლობაში ჩაატარა და ახალ გუნდშიც შეძლო სამი გოლის გატანა. საერთოდ კი მის გარდა, კიდევ თერთმეტი შემთხვევა იყო, როცა ფეხბურთელმა სეზონის განმავლობაში ორ გუნდში ასპარეზობისას გაიტანა გოლი: **როინ ონიანი** („ზესტაფონი", „მგლები"), **შოთა გრიგალაშვილი** („მესხეთი", „ზესტაფონი"), **კოკა მიკუჩაძე** („ოლიმპი", „სიონი"), **გიორგი რეხვიაშვილი** („მგლები", „ოლიმპი"), **გელა ხუბუა** („სიონი", „ოლიმპი"), **გიორგი გაბიდაური** („ოლიმპი", „მესხეთი"), **შოთა ლომია** („მგლები", „დინამო"), **გიორგი მერაბის ძე ხიდეშელი** („სპარტაკი", „სიონი"), **შოთა ჯიქია** („სიონი", „სპარტაკი"), **ზვიად მეტრეველი** („გაგრა", „სპარტაკი"), **გენო ბეჟანიძე** („ბორჯომი", „მესხეთი"). არანაკლებ უცნაური სიტუაცია შეიქმნა თბილისის „ლოკომოტივთან" დაკავშირებით: გუნდის საუკეთესო ბომბარდირებად **რატი ალექსიძე** და **ლევან ცქიტიშვილი** დარჩნენ (6-6 გოლით), რომლებმაც ჩვენთან მხოლოდ პირველი ეტაპი ითამაშეს.

მეოცე ჩემპიონატის კიდევ ერთი „უნიკალურობა" იმაშიც გამოიხატა, რომ შესამჩნევად მოიმატა მცველთა შედეგიანობამ. ამ მხრივ კი საუკეთესო შედეგი რუსთავის „ოლიმპის" უკანახაზელს **თენგიზ ჩიკვილაძეს** ჰქონდა, ვინც მეტოქეთა კარში ექვსი გოლი გაიტანა. ეგ კი არა, „კიდევ კარგი", მეორე ეტაპიდან გოლების გატანა **გიორგი მეგრელაძემ** დაიწყო, თორემ „ოლიმპის" საუკეთესო ბომბარდირი... მცველი იქნებოდა! ჩიკვილაძის გარდა, ურიგო შედეგი არ ჰქონიათ სხვა მცველებსაც: როინ ონიანმა მეტოქეთა კარში ხუთი გოლი გაიტანა, **გიორგი ხიდეშელმა** („ზესტაფონი"), **გიორგი ნერგაძემ** და **გიორგი რეხვიაშვილმა** - 4-4, **ერნესტ აკუასაგამ** და **გიორგი ონიანმა** - 3-3, **გულვერდ თომაშვილმა, დავით ლომაიამ** და **დიმიტრი ლეკიშვილმა** - 2-2. ამათ გარდა, ცამეტმა მცველმა მეტოქეთა კარში თითო გოლი გაიტანა.



თენგიზ ჩიკვილაძე

„ლეგიონერებიც" უნდა ვახსენოთ და, რაღა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში **ილია სპასოევიჩი** უკონკურენტოა - „დინამოს" ჩერნოგორიელმა ფორვარდმა მეტოქეთა კარში 13 გოლი გაიტანა. ამ შედეგით კი სპასოევიჩმა საქართველოს მეოცე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში თანაგუნდელ **გიორგი მერებაშვილთან** ერთად მეორე-მესამე ადგილები გაიყო.

დაბოლოს, ოთხ უილბლოზეც: **ლევან თედიაშვილმა** („მესხეთი"), **უჩა ლობჟანიძემ** („ზესტაფონი), **ბესიკ ხაჭიპერაძემ** („სპარტაკი") და **გივი ქარქუზაშვილმა** („ბორჯომი") გოლები... საკუთარ კარში გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა ავტოგოლი „სპარტაკთან" შეხვედრაში გაიტანა - ანუ იმ გუნდთან, რომლის ღირსებასაც... უკვე მეორე ეტაპიდან იცავდა!

**გია ტუხაშვილი**

### დინამო 70 გოლი (17 ფეხბურთელი)

გ. მერებაშვილი - 13, სპასოევიჩი - 13, ვაწაძე - 10, ოდიკაძე - 5, ჯუისი - 4, ტომიჩი - 4, ნერგაძე - 4. კოშკაძე - 3, ხმალაძე - 2, თომაშვილი - 2, გველესიანი - 2, სიხარულიძე - 2, გ. კაშია - 1, ჯიშკარიანი - 1, ინწკირველი - 1, ლომია - 1, აკირემი - 1, თედიაშვილი (მესხეთი, საკუთარ კარში).

### ვიტ ჯორჯია 57 (13)

კვარაცხელია - 11, რაზმაძე - 9, ლიპარტია - 8, ბერიაშვილი - 8, გ. მელქაძე - 5, ბექვაია - 4, კვალინიძე - 3, გ. დათუნაიშვილი - 2, დ. ლომაია - 2, ა. კვახაძე - 1, მაისაშვილი - 1, კლიმიაშვილი - 1, ყველაშვილი - 1, ხაჭიპერიძე (სპარტაკი, საკუთარ კარში).

### ზესტაფონი 43 (11)

გელაშვილი - 20, იონანიძე - 6, გ. ხიდეშელი - 4, ლ. მელქაძე - 3, რ. ონიანი - 2, გრიგალაშვილი - 2, ნ. კვასხვაძე - 1, ძარია - 1, ბ. გოცირიძე - 1, დაუშვილი - 1, ჩასემი - 1.

### ოლიმპი 40 (15)

მეგრელაძე - 8, ჩიკვილაძე - 6, გ. ონიანი - 3, აკუასაგა - 3, გ. ჩხეტიანი - 2, მიკუჩაძე - 2, რეხვიაშვილი - 2, სეთურიძე - 2, დობროვოლსკი - 2, ბაბუნაშვილი - 2, ხუბუა - 2, გ. ჭელიძე - 2, გაბიდაური - 2, მაჭავარიანი - 1, ახალაია - 1.

### მგლები 36 (10)

გ. თოდუა - 11, ჭედია - 8, რ. ონიანი - 3, ლომია - 3, გულორდავა - 3, რეხვიაშვილი - 2, ბაკარნაძე - 2, ა. ბაჯელიძე - 2, გუჩა - 1, ჭოხონელიძე - 1.

### ლოკომოტივი 35 (12)

ალექსიძე - 6, ცქიტიშვილი - 6, კახელიშვილი - 5, დ. ჩაგელიშვილი - 3, მახარაძე - 3, შ. კვანტალიანი - 2, გილაური - 2, სამხარაძე - 2 დიაკვნიშვილი - 1, მოდებაძე - 1, წულაძე - 1, გუშარაშვილი - 1, ლობჟანიძე (ზესტაფონი, საკუთარ კარში).

### სიონი 35 (15)

კოშკაძე - 6, გ. მ. ხიდეშელი - 4, ზ. ჭელიძე - 4, სანიკიძე - 3, რ. გოცირიძე - 3, ბობოხიძე - 3, ლ. ბაჯელიძე - 2, ხუბუა - 2, იაშვილი - 2, მიკუჩაძე - 1, შ. ჯიქია - 1, სვანიძე - 1, შენგელია - 1, ქემოკლიძე - 1, კაკაშვილი - 1.

### სპარტაკი 28 (14)

სირბილაძე - 7, შონია - 3, მეტრეველი - 3, მ. ლონლაძე - 2, შალამბერიძე - 2, თარხნიშვილი - 2, გ. მ. ხიდეშელი - 1, თურმანიძე - 1, სახოკია - 1, მაისურაძე - 1, მგალობლიშვილი - 1, ჯანგიძე - 1, ქორიძე - 1, შ. ჯიქია - 1, ქარქუზაშვილი (ბორჯომი, საკუთარ კარში).

### გაგრა 23 (12)

გაბედავა - 8, ფილია - 3, ცხადაძე - 2, ზ. დათუნაშვილი - 2, მეტრეველი - 1, მგელაძე - 1, ტყეშელაშვილი - 1, აბაშიძე - 1, გიგაური - 1, შარიქაძე - 1, ლ. ნოზაძე - 1, ძაგანია - 1.

### მესხეთი 23 (10)

სამადაშვილი - 10, გონჩაროვი - 2, ლეკიშვილი - 2, გრიგალაშვილი - 2, ქებაძე - 2, სუდაძე - 1, გ. მიქაბერიძე - 1, ბეჟანიძე - 1, გაბიდაური - 1, თაყაძე - 1.

### ბორჯომი 21 (8)

კიკნაძე - 8, პავლიაშვილი - 5, ბეჟანიძე - 2, პ. ხორგუაშვილი - 2, ვ. ხორგუაშვილი - 1, ნ. ნოზაძე - 1, ბაქრაძე - 1, დევიძე - 1.

# დანიელები ფოფხაძეს ნაკრებში მიწვევას უმალავენ

« მე-2 გვერდიდან

ესაა მთავარი პრობლემა, თორემ ძალიანაც ვუყვარვარ, მათამაშებდა და მასთან პრობლემა არც მქონია. თუმცა, სუსტი მწვრთნელია და მის ხელში გადასვლა გაგვიჭირდება. წარუმატებლობის გამო გუნდში დიდი არეულობაა. ჩვენთან უფრო დიდი ხელფასებია, ვიდრე დანიის უმაღლესი ლიგის ზოგიერთ კლუბში. ამ დროს გვაჯობეს კლუბებმა, რომელთაც საკუთარი სტადიონიც არ გააჩნიათ და სპონსორები დავკარგეთ. ამაზე პრეზიდენტი სულ გაგიჟდა და გასახდელში მაგიდა ამოგვიტრიალა. მოკლედ, მაქვს მიზეზები, რის გამოც „ვიბორგი" უნდა დავტოვო. უბრალოდ, გულდასაწყვეტია, რომ ეს შარშანაც ვერ შევძელი. „ვიბორგმა" ძლიერ კლუბში არ გამიშვა.

**- როგორც მახსოვს, „ბრონდბიუ" გიწვევდა.**

- დიახ, „ბრონდბიუში" არ გამიშვეს, მათ მარცხენა მცველი უკვე იყიდეს და ეს ვარიანტი გამოირიცხა. არადა, ამ კლუბიდან ძლიერ ევროპულ ლიგაში გადასვლა იოლია. იმედია, სხვა, არანაკლები ვარიანტები მაინც გამოჩნდება.

სხვათა შორის, ახლახან აზერბაიჯანიდან დამიკავშირდნენ და ჩემდა გასაოცრად, კონტრაქტში იმხელა თანხა შემომთავაზეს, ვერც ვიჯერებდი.

**- ასეთი რა შემოგთავაზეს?**

- „ვიბორგზე" ათჯერ მეტი შემომთავაზეს, შესაძლოა, უფრო მეტიც - ნახევარი მილიონი დოლარი. დანიაში ამხელა თანხას ყველაზე ცნობილი ფეხბურთელებიც არ იღებენ. მაინც უარი ვუთხარი. მცირე ხნის წინ, მსოფლიოს წამყვანი ლიგების რეიტინგები გამოქვეყნდა და დანიამ მერვე ადგილი დაიკავა. ეს არ იყო წმინდა საფეხბურთო პარამეტრებზე დაყრდნობილი გამოკითხვა, ყველაფერი ერთად გაითვალისწინეს, ინფრასტრუქტურა, სტადიონების მდგომარეობა და კომფორტი, რა თქმა უნდა, ლიგის დონე, ფინანსური სტაბილურობა და ა.შ.

**- ორი შეხვედრა ტრავმის გამო გამოგიტოვებია.**

- თავიდან მეგონა, რომ მენისკის ოპერაცია დამჭირდებოდა. საბედნიეროდ, სერიოზული არაფერია, ოპერაციას გადავურჩი: მეორე კვირაა, ფეხი მომირჩა და ვვარჯიშობ. შესაძლოა, უკვე შემდეგ ტურში ვითამაშო.

**- ანუ ნაკრებში მიწვევის შემთხვევაში, თამაშს შეძლებ.**

- პრობლემა აღარ მაქვს, ტკივილებმა გამიარა და უკვე ჩვეულებრივ რეჟიმში ვვარჯიშობ.

**მერაბ მამულაშვილი**

*P.S. ფოფხაძის ნაკრებში გამოძახების თაობაზე, ინფორმაცია ფეხბურთის ტექნიკურ დირექტორ ნიკოლოზ ჩხეიძესთან და სანაკრებო საკითხებში ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ უჩა უგულავასთან გადავამოწმეთ. ორივე მათგანმა დაგვიდასტურა, რომ ფოფხაძე მოლდოვასა და ალბანეთთან მატჩებზე გამოძახებულია, „ვიბორგში" კი მიწვევა გაგზავნილია.*

*ფოფხაძეს კი კლუბში ეუბნებიან, რომ მიწვევა არ ყოფილა. რჩება მხოლოდ ერთი ვერსია - პრინციპული მატჩების მოახლოების გამო, „ვიბორგის" ხელმძღვანელობას ქართველის გაშვება არ სურს და მიწვევას უმალავენ.*

მოსალოდნელი დანიშვნა

# ვლადიმერ ხაჩიძე აზერბაიჯანში?

არ არის გამორიცხული, **ვლადიმერ ხაჩიძემ** მალე აზერბაიჯანის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი კლუბი ჩაიბაროს. ინფორმაცია თავად ბატონმა ვლადიმერმა დაგვიდასტურა.

*„არ დავმალავ, რომ შეთავაზება მივიღე, მაგრამ სად და რომელი კლუბიდან, ამის შესახებ ჯერ ლაპარაკი არასერიოზულად მიმაჩნია. საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანიდან ერთ-ერთი ცნობილი მენეჯერი დამიკავშირდა და მითხრა, რამდენიმე წამყვან კლუბი მთავარი მწვრთნელს ეძებს და შენს კანდიდატურას შევთავაზებო. ხელს ისიც მიწყობს, რომ შარშან კიევში „პროფლიცენზია" ავიღე, რაც უცხოეთის ნებისმიერ ლიგაში მუშაობის უფლებას მაძლევს. მენეჯერმა კლუბებიც დამისახელა, აზერბაიჯანში ცნობილი და ავტორიტეტული კლუბები არიან, მაგრამ სანამ კონტრაქტს ხელს არ მოვაწერ, მანამდე ჩათვალეთ, რომ დღეისათვის კონკრეტული არაფერია"*, - გვითხრა ხაჩიძემ.

გარდა კლუბების დაინტერესებისა, ხაჩიძეს ბოლო დროს გავრცელებულ ხმებზეც დავეკითხეთ, თითქოს, „გაგრას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან წასვლის შემდეგ, გუნდიდან წავიდოდა: *„ჭორია და არ დაიჯეროთ. „გაგრასთან" კონტრაქტი ივნისის ბოლოს მიმთავრდება და მხოლოდ ამის შემდეგ განვიხილავ შესაძლო წინადადებებს".*

ხაჩიძემ ისიც გაგვიმხილა, რომ ქართული კლუბებიც იწვევენ და საბოლოო არჩევანს მხოლოდ წინადადებების დეტალურად განხილვის შემდეგ გააკეთებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაგმენტები ჩემი კარიერიდან

# თანავარსკვლავედში საუკეთესო კალცი იყო



მანფრედ კალცი



კევინ კიგანი



ჰორსტ ჰრუბეში

70-ანი წლების ბოლო - ეს იყო დრო, როცა თბილისის „დინამო" უკვე მთელმა ევროპამ გაიცნო როგორც განსაკუთრებული, ძალიან საინტერესო გუნდი. 1979 წელს „დინამომ" ხომ თვით „ლივერპული" დაამარცხა (1:2, 3:0) ჩემპიონთა თასის მეთექვსმეტედფინალში. მაშინ „დინამოს" წილისყრაში ალბათ არ გაუმართლა - „ლივერპულის" შემდეგ გერმანიის ჩემპიონს გადაეყარა.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა მუხტი ფეთქდებოდა მაშინ „დინამოს" სტადიონზე, რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა მთელი საქართველოსთვის „დინამოს" თამაშს ევროპის საუკეთესო კლუბებთან. ეს იყო ზეიმი და თან ნერვების წყვეტა. „დინამო" იმ დროისთვის არ იყო მხოლოდ საფეხბურთო გუნდი, „დინამოთი" საქართველოს თავისი სახელი გაჰქონდა ევროპაში.

იმ „ჰამბურგში" თამაშობდა 1978-79 წლებში „ოქროს ბურთის" მფლობელი კევინ კიგანი - ჩია, მაგრამ ღონიერი, დაკუნთული ინგლისელი, ახმახი ჰორსტ ჰრუბეში, გერმანიის ნაკრების კლასიკური „ცხრა ნომერი", რომელიც ერთი წლის შემდეგ, 1980 წელს გამართული ევროპის ჩემპიონატის ფინალის გმირი გახდა - ბელგიას ორი გოლი გაუტანა. იმ „ჰამბურგში" თამაშობდა მანფრედ კალციც, ვინც მაშინ ალბათ საუკეთესო მარჯვენა მცველი იყო ევროპაში. მისი თანაკლუბელი იყო ფელიქს მაგათი, რომლის მიერ გაწვრთნილი „ვოლფსბურგი" წლეულს გერმანიის ჩემპიონი გახდა, ფეხბურთელ მაგათს კი ორი ვერცხლი აქვს მოპოვებული 1982 და 1986 წლების მუნდიალებზე. გეხსომებათ, 1983 წელს „იუვენტუსთან" ჩემპიონთა თასის ფინალში მისი ფანტასტიკური გოლიც, რომელმაც „ჰამბურგს" საპატიო ტიტული მოუტანა...

აი, რა ხალხის წინააღმდეგ მოუწია თამაშმა თბილისის „დინამოს". „ჰამბურგთან" თბილისურ შეხვედრას კი დინამოელთა მარჯვენა მცველი თამაზ კოსტავა იხსენებს...

დავით თავართქილაძე

...ფეხი მქონდა მოტეხილი და ასეთი ტრავმის შემდეგ 3 თამაში ვითამაშე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, მეოთხემ თბილისში, 1979 წლის 7 ნოემბერს „ჰამბურგთან" მომიწია. გერმანელებთან პირველ შეხვედრაში კი სწორედ იმიტომ ვერ ვითამაშე, რომ ტრავმის მერე არ ვიყავი სათანადო ფორმაში.

ამ მატჩისთვის **ნოდარ ახალკაცი** პირველ რიგში ფსიქოლოგიურად გვამზადებდა. სულ იმას გვიჩიჩინებდა, „ჰამბურგთან" მოგება შეგიძლიათ, ნებისმიერი ძლიერი გუნდის დამარცხება ჩვენთვის სავსებით რეალურიაო. ერთი სიტყვით, ახალკაცმა „ჰამბურგთან" საპასუხო შეხვედრისთვის ფსიქოლოგიურად ძალიან კარგად მოგვამზადა. პირველი თამაში 1:3 გვქონდა წაგებული და ახალკაცი გვეუბნებოდა - რამენაირად უნდა მოვახერხოთ და სწრაფი გოლი გავიტანოთო. ახალკაცის ეს დავალება შევასრულეთ - უკვე მე-5 წუთზე **ვლადიმერ გუცაევის** გოლით დავწინაურდით. გატანილმა გოლმა თითქოს ძალა შეგვმატა და „ჰამბურგი" ლამის მთელი ნახევარი საათის განმავლობაში მისივე საჯარიმო მოედანს „მივაჯაჭვეთ". მაგრამ რად გინდა, მეორე გოლი არა და არ ჩანდა. 3-4 კარგი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და ამის შემდეგ დადგა **კევინ კიგანის** ჯერიც - იმ დროისთვის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა ბურთი ჩვენი საჯარიმო მოედნის მისადგომებთან მიიღო, ორი მცველი ჩამოიტოვა და **ოთარ გაბელიას** შორეულ კუთხეში გაუტანა.

კიგანი ჰამბურგელთა გამოკვეთილი ცენტრალური თავდამსხმელის, **ჰორსტ ჰრუბეშის** უკან მოქმედებდა. კიგანთან ყველაზე ახლოს ყოფნა **თენგიზ სულაქველიძეს** უწევდა. მე მარჯვენა მცველი ვიყავი და შეტევაში ჩართვაც მევალებოდა. გარდა ამისა, ჩემს მოვალეობაში შედიოდა სხვა მცველების დაზღვევაც და ხშირად ფლანგიდან ცენტრისკენ მიწევდა გადასვლა. რაც შეეხება კიგანისა და სულაქველიძის დაპირისპირებას, შეხვედრის პირველ 30 წუთში სულაქველიძემ მას ფეხი არ გაანძრევინა. კიგანის გოლის შემდეგ კი მთელი გუნდი მოვეშვით... ფეხბურთში ხშირად ხდება, რომ ფორტუნა ზურგს გაქცევს. პირველი გოლის შემდეგ მალევე ერთი საგოლე მომენტიც რომ გამოგვეყენებინა, დარწმუნებული ვარ, ამ შეხვედრაში გავიმარჯვებდით.

კიგანის გოლის შემდეგ კი „ჰამბურგმა" იქვე მეორე ბურთიც გაგვიტანა. ტანმაღალმა ჰრუბეშმა თავური დარტყმით დააწინაურა დასავლეთგერმანელები. პირველი ტაიმის დასრულებას წამებილა უკლდა, როცა **დავით ყიფიანმა** თავურითვე გაათანაბრა ანგარიში.

„ჰამბურგის" ბარიერი რომ გადაგველახა, მეორე ტაიმში მინიმუმ 3 უპასუხო გოლის გატანა გვჭირდებოდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ხელი ჩავიქნიეთ. ახალკაცმა გვითხრა, ბოლომდე აქტიურად უნდა ითამაშოთ, შეხვედრას ხომ 100 ათასამდე მაყურებელი ესწრებაო. ჩვენც მონდომებულები გავედით მოედანზე, მაგრამ... როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავდა.

მეორე ტაიმში გერმანელებმა აშკარად გვაჯობეს. სწრაფად მოქმედებდნენ, ბურთს თავისუფლად ათამაშებდნენ და ამ ყველაფერმა ჩვენს ნერვებზეც იმოქმედა. კიგანისნ გვერდით მოედნის ცენტრში მოქმედებდა **ფელიქს მაგათიც**, რომელმაც ამ შეხვედრაში ძალიან ძლიერად ითამაშა. რა თქმა უნდა, კიგანი და მაგათი განსაკუთრებით უნდა გამოვყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰამბურგელებიდან საუკეთესონი ისინი იყვნენ - დიდებულად ითამაშა **მანფრედ კალცმა**, თითქმის ყველა შეტევას ის იწყებდა, ყველა მწვავე იერიშის თავიდათავი სწორედ კალცი იყო. ამას გარდა, მას იმის ჯანიც რჩებოდა, რომ დაცვაში ჩასულიყო და იქაც ეფექტურად ეთამაშა. თბილისში ის მართლაც შეუდარებელი იყო. რაც შეეხება „ჰამბურგის" მესამე გოლს, ის იუგოსლავიის ნაკრების მცველმა **ივან ბულიანმა** გაგვიტანა.

„ჰამბურგთან" პირველ თამაშს ტელევიზიით ვუყურე და უნდა გითხრათ, იქ გერმანელებს არანაირი მნიშვნელოვანი უპირატესობა არ ჰქონიათ. გოლები ჩვენი შეცდომების გამო გავუშვით. გახსოვთ, ალბათ, „ჰამბურგამდე" „ლივერპულს" მოვუგეთ და ვერ ვიტყოდი, რომ გერმანელებთან შეხვედრაში თავდაჯერებულობა გვაკლდა. ერთიც უნდა ვთქვა - ჩემი აზრით, იმ დროისთვის „ლივერპული" უფრო ძლიერი, ჩამოყალიბებული გუნდი იყო, ვიდრე „ჰამბურგი", მიუხედავად იმისა, რომ ამ გერმანულ გუნდში არაერთი სახელგანთქმული ფეხბურთელი თამაშობდა. „ჰამბურგი", როგორც გერმანიის გუნდების უმეტესობა, „მერსედესის" მანქანას ჰგავდა - საათივით გამართულად მუშაობდა. კარგად მახსოვს, თბილისში ანგარიში 1:1 რომ გახდა, როგორ მოწესრიგებულად და, ფაქტობრივად, უნაკლოდ მოქმედებდნენ „ჰამბურგის" ფეხბურთელები. კალცის, კიგანისა და მაგათის გარდა, „ჰამბურგიდან" **ჯიმი ჰარტვიგიც** უნდა გამოვარჩიო - ეს საყრდენი ნახევარმცველი კედელივით იდგა. „დინამოდან" კი „ჰამბურგთან" საუკეთესოები **შოთა ხინჩაგაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე**, ყიფიანი და გუცაევი იყვნენ. სხვათა შორის, გუცაევმა და ყიფიანმა საკმაოდ ლამაზი გოლები გაიტანეს.

ხინჯად მრჩება ის, რომ ჰრუბეშის გოლში დამნაშავე, ფაქტობრივად, მე აღმოვჩნდი. გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი ჩემს ზურგს უკან იდგა და სწორედ იქიდან გამოიქცა ცენტრისკენ, სადაც საჰაერო ბრძოლა მოუგო ჩვენს ცენტრალურ მცველებს. არადა, ვიცოდი, რომ ეს ჰრუბეშის სტრატეგია იყო - ცენტრიდან ფლანგზე იწეოდა, რათა იქიდან კარგი გამორბენი გაეკეთებინა და ცენტრში მაღალ ბურთზე ამხტარიყო.

„ჰამბურგთან" თამაშმა, რა თქმა უნდა, დიდი გამოცდილება შეგვძინა, თუმც გამოუცდელები არც მანამდე ვყოფილვართ. ახალკაცი სულ იმას ცდილობდა, შეკრება უცხოეთში გაგვევლო და საერთაშორისო ტურნირებში მიგველო მონაწილეობა. დისციპლინა და ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალური მონაცემები - ასეთი შერწყმით ახალკაცმა მართლაც ძალიან მაგარი გუნდი შექმნა...

ფინალის წინ

შეხვედრა მერიაში



# ჩამოისხით ლუდი და ისიამოვნეთ ფინალით

გუშინ თბილისის მერიასთან ოპოზიციის საპროტესტო აქცია ჩამთავრდა თუ არა, ქალაქის მთავრობამ მუშაობა განაახლა. საქმე მერის მოადგილე **ნიკოლოზ ხაჩირაშვილსაც** გამოუჩნდა - 30 მაისს საქართველოს თასის ფინალია და პროფესიული ფეხბურთის ლიგის წარმომადგენლებსა და მერის მოადგილეს შორის ამ მატჩისთვის მოსამზადებელი ბოლო სამუშაო თათბირი გაიმართა.

ხაჩირაშვილის გარდა, შეხვედრას მერიის სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, პროფლიგიდან კი იქ იყვნენ გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი** და დელეგატთა დამნიშნავი კომიტეტის ხელმძღვანელი **შოთა ბაქრაძე**.

ფინალი ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება. გულშემატკივარი მატჩზე 20 საათისთვის უნდა მივიდეს, რათა შოუ-პროგრამაც იხილოს, უშუალოდ შეხვედრა კი დაახლოებით 15 წუთით გვიან დაიწყება.

„დინამო"-"ოლიმპი" ისეთი ფინალი უნდა იყოს, მაყურებელი რომ არ მოაკლდება. რუსთავიდან, ალბათ, 7-8 ათასი ქომაგი ჩამოვა. რუსთაველი გულშემატკივრები საღამოს 5 საათიდან დაიძვრებიან თბილისისკენ. ყოველივე ამის შესახებ პროფლიგის წარმომადგენლებმა ხაჩირაშვილსაც აცნობეს. წინასწარი გათვლებით, ფინალს მინიმუმ 15 ათასი მაყურებელი დაესწრება.

სტადიონი მატჩამდე 2 საათით ადრე გაიხსნება. მის გარე პერიმეტრს საპატრულო პოლიცია გააკონტროლებს, უშუალოდ არენაზე კი წესრიგს დაცვის კერძო სამსახური „ორბი" დაიცავს.

სტადიონზე გამაგრილებელი სასმელი მინის ბოთლებით არ გაიყიდება, ლუდი კი ჩამოსასხმელი იქნება და ამ ალკოკალორიული სითხის მიღება ქომაგს პლასტმასის ჭიქებით მოუწევს.

მოკლედ, მატჩის საორგანიზაციო საკითხებში პროფლიგამ და მერიამ მჭიდროდ ითანამშრომლეს. ეს გვაფიქრებინებს, რომ წესითა და რიგით, ფინალი ნორმალურ დონეზე უნდა იყოს ორგანიზებული.

დავით თავართქილაძე



მოსალოდნელი ტრანსფერი

# ინტერს კასანო და დეკუ უნდა

საფეხბურთო სეზონი, ფაქტობრივად, დასრულდა და ახლა, მთელი ყურადღება სატრანსფერო საკითხებზე გადადის. დღის განმავლობაში, მასმედიის სხვადასხვა საშუალებით, ამა თუ იმ ფეხბურთელზე, უამრავი ინფორმაცია ვრცელდება. ბუნებრივია, მათგან მხოლოდ ყველაზე საინტერესოს ვკრებთ და თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს.

ამ ზაფხულს, სატრანსფერო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ფიგურა უდავოდ **ანტონიო კასანო** იქნება. ექსრეალელი მეორე სეზონია „სამპდორიაში" თამაშობს და ძალიან დიდი წარმატებითაც. ანტონიო გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა და შეტევითი ხაზის მთელი სიმძიმე იტვირთა. ბუნებრივია, კასანოს დონის ფეხბურთელს გენუაში დიდ ხანს არ გააჩერებენ და მას რომელიმე ევროპული გრანდი გადაიბირებს. შესაძლოა, კასანომ გენუელებისადმი მადლიერების ნიშნად კიდევ ერთი სეზონი დაყოს „სამპში" და შემდეგ მონახოს ახალი ნავსაყუდელი.

ანტონიოს გადაბირების დიდი სურვილი აქვს ტურინის „იუვენტუსს" და ეს ყველამ კარგად იცით. ტურინელები ჯერ კიდევ შარშან ლამობდნენ მის გადაბირებას, თუმცა ხელი მოეცარათ და სურთ, სურვილი წელს მაინც აიხდინონ. თუმცა, თუ იტალიურ მედიას ვენდობით, **დიეგოს** გადაბირების შემდეგ, კასანოს მიმართ ინტერესმა მცირედით იკლო. მართალია, ბრაზილიელი სხვა ამპლუის ფეხბურთელია, მაგრამ მაინც შემტევ მოთამაშედ ითვლება და გუნდის წინა ხაზს რომ გააძლიერებს, ორი აზრი არ არსებობს.

„გაძეტას" ცნობით, ბოლო დღეებში, კასანოს მიმართულებით „ინტერის" მესვეურები გააქტიურდნენ და გარკვეული ნაბიჯებიც გადადგეს. თურმე, **მოურინიოს** მოსდომებია მისი შეძენა და ამის შესახებ, კლუბის ხელმძღვანელებთან უსაუბრია. თუმცა, ამ ამბავს უარყოფს „სამპდორიას" სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა**: *„კასანოს შესახებ, დღეში ათი სხვადასხვაგვარი ინფორმაცია ვრცელდება და თითოეულ მათგანზე კომენტარს ნამდვილად ვერ გავაკეთებ. არ ვიცი, საიდან მოდის ეს ხმები, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ მიკვირს. ანტონიო იტალიური ფეხბურთის გამორჩეული სახეა და შესაბამისად, მასზე დიდი მოთხოვნაა. გასულ კვირებში, უფრო ხშირად „იუვენტუსს" ახსენებდნენ და ტურინში ანტონიოს გადასვლას ბევრი გადაწყვეტილ საქმედაც მიიჩნევდა. არ დავმალავ, პიემონტელები გამოთქვამენ ინტერესს, თუმცა ამის იქით საქმე არ წასულა.*

*ბოლო დღეებში მუდმივად „ინტერზე" და კასანოსადმი ამ გუნდის ინტერესზე მესმის. ვერაფერს გეტყვით, თუ მილანელებს მართლა სურთ მისი შეძენა, ალბათ, შეგვეხმიანებიან და ამის შესახებ, პირველ რიგში ჩვენ გვამცნობენ. არ დავმალავ და „ინტერის" მხრიდან შემოთავაზებული წინადადება, ჩვენთვის ყველა შემთხვევაში საინტერესო იქნება. აქამდე, არავის დაურეკავს და ნამდვილად არ ვიცი, მართლა უნდათ თუ არა „სამპის" ლიდერი მილანელებს".*

ჩვენი მხრივ, გამცნობთ, რომ კასანოს ხელშეკრულებას ვადა 2013 წელს გასდის. იქამდე, ანტონიო „სამპდორიას" ეკუთვნის. თუმცა, კონტრაქტში არის პუნქტი, რომელიც ფეხბურთელის ტრანსფერს რეალურს ხდის. თუ კასანომ გუნდის გამოცვლა მოინდომა და მასში კლუბი მინიმუმ 18 მილიონ ევროს იხდის, გენუელებს მისი იძულებით შეჩერების უფლება არ ექნებათ.

გუშინ, იტალიურმა გაზეთებმა "ინტერთან" დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გვამცნეს. დიდია შანსი, მომავალი სეზონიდან **დეკუმ** სწორედ "ნერაძურიში" გააგრძელოს კარიერა. ბრაზილიური წარმოშობის პორტუგალიელი ფეხბურელი "ჩელსიში" ასპარეზობს და როგორც თვითონ აცხადებს, კლუბის გამოცვლას ლამობს. მიმდინარე სეზონი დეკუსთვის წარმატებულად დაიწყო, პირენეელი მუდმივად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ჩამოყალიბდა. თუმცა, შემდეგ, ჩავარდნა დაეწყო და სასტარტოში ადგილი დაკარგა. "ჩელსიში" **გუს ჰიდინკის** მისვლის შემდეგ, დეკუს გარკვეული იმედები გაუჩნდა, თუმცა ამაოდ. სეზონი ისე დასრულდა, რომ პორტუგალიელს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად თავი არ უგრძვნია. ლა გასაკვირია, რომ დეკუმ გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა და თვალი იტალიას დაადგა. თანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფეხბურთელის შეძენა თვით მილანის "ინტერს" სურს. თავად ფეხბურთელი ლომბარდიაში გადაბარგების წინააღმდეგი არ არის, რაზეც მისი სიტყვებიც მოწმობს:

*"გავიგე, რომ ჩემით "ინტერია" დაინტერესებული. სიმართლე გითხრათ, იტალიურ ფეხბურთში ძალების მოსინჯვის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ფაქტია, რომ "ჩელსის" ვერ მოვერგე. საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ვარ და მსურს, პრობლემებს თავი დავაღწიო. "ინტერში" თამაში დიდი გამოწვევა იქნება, რომელსაც სიამოვნებით მივიღებ. თანაც, ამ გუნდს ჟოზე მოურინიო წვრთნის, ადამიანი, რომელსაც უსიტყვოდ ვუგებ".*

იტალიელი ჟურნალისტები არ გამორიცხავენ, რომ დეკუსთან ერთად "ინტერმა" **რიკარდო კარვალიოც** გადაიბიროს. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, მილანელებს "ჩელსის" ანგარიშზე 14 მილიონი ევროს გადარიცხვა მოუწევთ.

**ლაშა ნიკლაური**







მწვრთნელი

# მწვრთნელები გზა-გასაყარზე

## რა ბედი ელით სპალეტის და მანჩინის

დღევანდელი გადასახედიდან, მართლაც ძნელი განსაჭვრეტია, თუ როგორი იქნება მომავალ სეზონში „რომა". „ჯალოროსიმ" სეზონი აშკარად ჩააგდო, ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა და თავს დიდი პრობლემები დაიტეხა. ბუნებრივია, დადგა მთავარი მწვრთნელის საკითხიც. წარუმატებელი სეზონის შემდეგ, დიდია იმის შანსი, რომ **სპალეტიმ** გუნდი დატოვოს და მას სხვა სპეციალისტი ჩაენაცვლოს. თანაც, ბოლო დროს, ლუჩანომ ულტიმატუმებით დაიწყო ლაპარაკი, რაც კლუბის მესვეურებს შესაძლოა ძალიან არ მოეწონოთ. „რომას" დირექტორატის შეხვედრა მომდევნო კვირაში, ოთხშაბათს გაიმართება და ყველაფერი იქ გადაწყდება. ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე სპალეტიც საუბრობს:

*„ჯერ მართლაც არ არის გადაწყვეტილი, დავრჩები თუ არა „რომაში". ოთხშაბათს კლუბის მესვეურებთან ერთად განვლილ პერიოდს შევაჯამებთ და გადაწყვეტილებამდეც მივალთ. სიმართლე გითხრათ, ჯერ ვერც მე ჩამოვყალიბდი, მსურს თუ არა რომში მუშაობის გაგრძელება. აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ არის ნიუანსები, რომლებიც წარმატების მიღწევაში ხელს მიშლის. დირექტორატის შეხვედრაზე აუცილებლად დავსვამ ამ საკითხებს და ვნახავ, რა რეაგირება მოჰყვება. თუ ჩემი მოთხოვნები დაკმაყოფილდა, მაშინ საქმეს ძველი ენთუზიაზმით გავაგრძელებ".*

როგორც ხედავთ, სპალეტიმ მართლაც ულტიმატუმებით დაიწყო საუბარი. მართალია, ლუჩანომ არ დააკონკრეტა, თუ რა მოთხოვნებს წააყენებს, მაგრამ ჟურნალისტებმა გარკვეული ინფორმაცია კულუარებიდან მოიპოვეს. თუ „გაძეტას" ვენდობით, სპალეტის უმთავრესი მოთხოვნა სატრანსფერო ციებ-ცხელებაში აქტიურად ჩართვა იქნება. ლუჩანოს რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირება სდომებია და ამ მოთამაშეთა გვარებს ოთხშაბათს „სავარაუდოდ" მაგიდაზე დადებს. გარდა ამისა, „რომას" თავკაცს თურმე კლუბის საწვრთნელი ბაზა არ მოსწონს. უფრო სწორად, რაღაც-რაღაცების გამოსწორებას ითხოვს. მაგალითად, გასახდელების გადიდებას და სტადიონზე ბასეინის დამონტაჟებას. დიახ, სწორედ ასეთი მოთხოვნები ჰქონია სენიორ ლუჩანოს.

თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ და სპალეტის წასვლა მოუხდა, მაშინ კლუბის მესვეურებს უმალ მოუწევთ ახალი სპეციალისტის მოძებნა. ჟურნალისტთა ვარაუდით, არის შანსი, მომავალი სეზონიდან „ჯალოროსი" **რობერტო მანჩინიმ** გაწვრთნას. „ინტერის" ექსთავკაცი უკვე კარგა ხანია უქმობს და როგორც თვითონ განაცხადა, ზაფხულიდან სურს რომელი კლუბს ჩაუდგეს სათავეში. რაც შეეხება მის რომში გადაბარგებას, ამ პერსპექტივას ცოტა არ იყოს ეჭვის თვალით უყურებს. მოვუსმინოთ რობერტოს: *„მომავალი სეზონიდან აუცილებლად ვუთავკაცებ რომელიმე გუნდს. ჩემი სურვილია, ისეთ კლუბში ვიმუშაო, რომელიც სკუდეტოსთვის იბრძოლებს. მაღალი მიზნები ჩემს მოტივაციაზე კარგად მოქმედებს და ასე უფრო კონცენტრირებული ვარ საქმეზე. თუ ისეთი წინადადება მივიღე, რომელიც მისაღები იქნება, სიამოვნებით დავთანხმდები უცხოეთში მუშაობაზე. რაც შეეხება „რომას", არ ვიცი, საიდან დაირხა ეს ხმები. „ჯალოროსის" მესვეურებს ჩემთვის არ დაურეკავთ და ეს ლოგიკურიც არის. გუნდს ჰყავს მთავარი მწვრთნელი, რომლის კვალიფიკაციაშიც ეჭვი არავის ეპარება. თანაც, როგორც აღვნიშნე, უფრო ისეთი გუნდის ჩაბარება მსურს, რომელსაც ჩემპიონობის რეალური შანსი ექნება„.*

ბოლო ფრაზა ჟურნალისტებს არ გამოპარვიათ და უმალ გამოაბეს სხვადასხვაგვარი კუდები. „გაძეტას" ვარაუდით, მანჩინიმ ამით „იუვენტუსის" მესვეურებს გაუგზავნა მესიჯი და მიანიშნა, შეგიძლიათ ვაკანტური პოსტი ჩამაბაროთო. როგორც იცით, „ვეკია სენიორას" სეზონის ბოლომდე დროებითი მწვრთნელი, **ჩირო ფერარა** თავკაცობს. მართლაც და, „რომასადმი" დიდი პატივისცემის მიუხედავად, ამ გუნდს სკუდეტოსთვის ბრძოლის საკმაოდ მცირე შანსი აქვს. „იუვე" კი სხვა საქმეა, ტურინელებმა უკვე დაიმატეს **კანავარო** და **დიეგო**, რაც მათ ამბიციებს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. ალბათ, მანჩინისთვის „იუვენტუსი" მართლაც უფრო საინტერესო ვარიანტია, მით უმეტეს, გუნდის მესვეურები ახალი მწვრთნელის ძიებაში არიან.

**ლაშა ნიკლაური**

ტრანსფერი

# კაკა ფლორენტინოს პირველი შენაძენია

## ვენგერი, ანჩელოტი, თუ ბენიტესი?

*„იმავე დღეს, როცა ფლორენტინო პერესი მადრიდის „რეალის" პრეზიდენტი გახდება, „სანტიაგო ბერნაბეუს" საკონფერენციო დარბაზში კაკას პრეზენტაციას მოაწყობს,"* - ეს ინფორმაცია წუხელ ესპანურმა რადიოსადგურმა „ონდა სერომ" გაავრცელა. ჟურნალისტები მათი თქმით სანდო წყაროებზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ „მილანის" ბრაზილიელი ვარსკვლავი მისი პირველი შენაძენი გახდება. რადიოგადაცემა ძალიან ხმაურიანი განცხადებით დაიწყო. წამყვანმა მთელი ქვეყნის გასაგონად თქვა, რომ „მილანში" კაკას დაკარგვას უკვე შეგუებული არიან და ფლორენტინოს მის გაყიდვაზე ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ დათანხმდნენ.

ასეთი შინაარსის ინფორმაციები ადრეც არაერთხელ გავრცელებულა. მათ შორის სულ სხვა ფეხბურთელებთან დაკავშირებითაც. მაგალითისთვის გეტყვით, რომ რამდემიმე კვირის წინ მსოფლიოს მოწინავე სააგენტოებმა ფლორენტინო პერესსა და **კრისტიანო რონალდოს** შორის წინასწარი კონტრაქტის გაფორმების შესახებ გაავრცელეს ცნობა. ბუნებრივია, ამ თემასთან დაკავშირებით, დიდი აჟიოტაჟი ატყდა. მოგვიანებით, სენიორ პერესის გუნდის წევრებმა საგანგებო პრესკონფერენცია დანიშნეს და საზოგადოებას მოახსენეს, რომ პორტუგალიელ ვარსკვლავთან არანაირი წინასწარი ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ამის გათვალისწინებით, გვიჩნდება ეჭვი და ვშიშობთ, კაკას „რეალში" გადაბარგებასთან დაკავშირებული ინფორმაციაც სპეკულაცია არ იყოს, მაგრამ „ონდა სერო" ყოველთვის სერიოზული რადიოსადგური იყო და დეზინფორმაციის გავრცელებას არ კადრულობდა. მით უმეტეს, ეს თემა ესპანურმა სპორტულმა პრესამაც აიტაცა. საზოგადოებას ყველაზე მალალტირაჟიანი გამოცემების ვებგვერდების საშუალებით დამატებითი ინფორმაცია გაუჩნდა. ასე მაგალითად, „დიარიო ასის" საიტზე ვკითხულობთ, რომ ფლორენტინო პერესი ადრიანო გალიანის 65 მილიონ ევროზე გაურიგდა. თითქოს იტალიელები ამ თანხით დეფიციტური ბიუჯეტის შევსებას აპირებენო. მადრიდელი ჟურნალისტი იმაზეც წერს, რომ **სილვიო ბერლუსკონის** ჰოლდინგმა „ფინინვესტმა" ამ დეფიციტის შევსებაზე უარი განაცხადა და ამის შემდეგ „როსონერის" მმართველები იძულებული გახდნენ, კაკას გაყიდვას დათანხმებულიყვნენ. მოკლედ, ასეა თუ ისე, ესპანურ მედიასაშუალებებში სრული სერიოზულობით საუბრობენ, რომ კაკა სამეფო კლუბის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში ფლორენტინო პერესის გამარჯვების შემთხვევაში „რეალის" ახალი ფეხბურთელი გახდება. მიმომხილველების ვარაუდით, ბრაზილიელი ნახევარმცველი მადრიდული გრანდის საკვანძო ფიგურა გახდება და ახალი მთავარი მწვრთნელი გუნდის თამაშს სწორედ მასზე ააწყობს. ძნელი სათქმელია, ამ დასკვნამდე როგორ მივიდნენ, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა **ხუანდე რამოსის** მემკვიდრის ვინაობა ჯერ გარკვეული არ არის.

რადგან ახალი მწვრთნელის საკითხს მივადექით, მოგახსენებთ, რომ იმავე ფლორენტინო პერესის გუნდი სამი მიმართულებით მუშაობს. პრეზიდენტის სავარძლის მაძიებლის წარმომადგენლები ერთდროულად **არსენ ვენგერთან, კარლო ანჩელოტისა** და **რაფა ბენიტესთან** აწარმოებენ მოლაპარაკებას.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

# ანჩელოტი საუკეთესო არჩევანი არ იქნება

ირლანდიის ნაკრებისა და „ჩელსის" ყოფილი თავდამსხმელი ტონი კასკარინო აქტიური ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ არც სატელევიზიო ეკრანებზე და არც პრესაში ისე ხშირად აღარ ჩანს. ამჟამად ის ტოტალიზატორ „ნიუ ფუტბოლ პულსში" საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს. მისი აზრით, ანჩელოტის „ჩელსიში" დანიშვნა არ იქნება გამართლებული, რადგან კარლეტო იმ პრობლემებს, რომელსაც ის წლებია, „მილანში" რეგულარულად აწყდება, ლონდონშიც თან გაიყოლებს. მისი აზრით, გუუს ჰიდინკმა „ჩელსის" მომავალი დამრიგებლისთვის თამასა ახალ, სხვებისთვის თითქმის მიუწვდომელ სიმაღლეზე დააყენა.

- ჰიდინკის გუნდიდან წასვლა გუნდისთვის უკვე დიდი დარტყმაა. ჰოლანდიელმა დაამტკიცა, რომ ის ამ თანამდებობისთვის არის დაბადებული, - განაცხადა ტონი კასკარინომ. - მან ფეხბურთელების გამოყენება იმაზე უფრო ეფექტურად და რაციონალურად მოახერხა, ვიდრე ამას ლუიშ ფელიპე სკოლარი აკეთებდა. სწორედ მის ხელში ათამაშდა ძველებურად დიდიე დროგბა. გარდა წმინდა საფეხბურთო მახასიათებლებისა, მას სხვა დადებითი მხარეებიც ჰქონდა. მაგალითად ის, რომ ბრწყინვალედ იცის ინგლისური ენა.

თუკი იმ გუნდებს შევადარებთ, რომელიც იყო ჰიდინკამდე და მისი მოსვლის შემდეგ, დასკვნა ერთმნიშვნელოვანია - „ჩელსი" უკეთესობისკენ შეიცვალა. ბრაზილიელის დროს დროს გუნდი ასე მრისხანედ ნამდვილად არ გამოიყურებოდა... თუ არ ჩავთვლით პრემიერლიგის პირველ ექვს ტურს. გუუსთან ერთად გუნდში დაბრუნდა თამაშის ხალისი და ვნება. ის წარმოუდგენლად ახლოს იყო ყველა ფრონტზე წარმატებასთან. მის გუნდს დღესაც აქვს შანსი, მოიგოს ინგლისის თასი. მთელი ის პერიოდი, რომელიც ჰიდინკმა „სტემფორდ ბრიჯზე" გაატარა, გამოიყურებოდა უაღრესად ღირსეულად, როგორც მინდვრის კიდესთან, ისე მოედნის ფარგლებს გარეთ.

ასევე ვფიქრობ, რომ ჰიდინკი იდეალური ვარიანტი იქნებოდა გუნდში ხანგრძლივი პროექტის განსახორციელებლად. ჰოლანდიელმა გუნდში მოსვლის პირველივე დღეებში გააკეთა განცხადება, რომ „ჩელსის" ძირითადი შემადგენლობის ხანდაზმული ფეხბურთელების შემცვლელებზე ფიქრი მართებდა, რომ აუცილებელია ახალგაზრდებზე აქცენტის გაკეთება, რათა გუნდმა მომავალშიც მოახერხოს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება. მეც ასე ვფიქრობ. ამჟამად გუნდის მთავარი პრობლემა სწორედ მისი ლიდერების სოლიდური ასაკია. მერე რა, რომ ლაპარაკია უმაღლესი კლასის ფეხბურთელებზე? ისინი ყოველ სეზონს ერთი წლით უფროსები ხდებიან. „ჩელსისთვის" აუცილებელია ახალგაზრდული სისხლის გადასხმა. ეს არ იქნება იოლი პროცესი, რადგან ძნელად წარმოსადგენია, იპოვო ისეთი ახალგაზრდა, რომელიც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს, უკვე დღეს, სრულფასოვნად შეცვლის. ამისთვის გუნდს მილიონების დახარჯვა მოუწევს. კონკრეტულ მაგალითზე ვიმსჯელოთ: როგორ წარმოგიდგენიათ, ახალგაზრდა მოთამაშისთვის რამდენად იოლი იქნება მიხაელ ბალაკის შეცვლა?

როცა „ჩელსი" რომან აბრამოვიჩმა შეიძინა, გუნდმა ტალანტების მთელი ჯგუფი გადაიბირა - არიენ რობენი, დემიენ დაფი, მაიკლ ესიენი. ახლა წარმოვიდგინოთ, რა ღირს მათი კალიბრის ახალგაზრდა ფეხბურთელი დღეს? აშკარაა, კლუბს ამჟამად იმდენი ფული, რომ ასეთი კლასის ფეხბურთელები შეიძინოს, ნამდვილად არ აქვს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გუნდში კარლო ანჩელოტის დანიშვნას ვერ დავეთანხმები. კარლეტო ამ პოსტზე არ იქნება საუკეთესო არჩევანი. ადამიანი, ვინც „ჩელსის" მთავარ მწვრთნელობას ყველაზე მეტად იმსახურებს, უკვე უკავია ეს პოსტი...



ტონი კასკარინო ჩელსიში 1992/94 წლებში თამაშობდა



სელტიკის ფანებმა ლეგენდას გული ატკინეს

მწვრთნელი

# მარტოსული მწვრთნელი მინდვრის კიდესთან

სიმღერები, მოზეიმე ხმები, ემოციების აფეთქება, გული, რომელიც ისე ფეთქავს, თითქოს საათის მექანიზმი იყოს - აი, ასეთად გაახსენდებათ **გორდონ სტრაჩანის** ეპოქა „სელტიკის" გულშემატკივრებს. სტრაჩანი „კელტების" დამრიგებლის პოსტიდან გადადგა. მისტერ გორდონმა ბოლო შეხვედრა „სელტიკ პარკზე" „ჰარტსთან" გამართა (0:0). „მსოფლიოში საუკეთესო გულშემატკივარმა" ჯერ კიდევ თამაშის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე დაიწყო სტადიონის დაცლა - ხალხი ერთმანეთს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. სტრაჩანი კი გახევებული სახით იდგა მინდვრის კიდესთან და სანახაობას გაოგნებული უყურებდა. პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში „რეინჯერსმა" კი „დანდი იუნაიტედთან" 3:0 გაიმარჯვა. საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე, შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ითქვას, რომ არენა 3/4-ით უკვე დაცლილი იყო. ის ადამიანები კი, ვინც ბოლომდე დარჩენა გადაწყვიტეს, აბსოლუტურ სიჩუმეში ისხდნენ. ფეხბურთელები ნამდვილად ვერ მიხვდნენ, რაში იყო საქმე. სტრაჩანი ამ წუთებში თავს ყველაზე მარტოსულ ადამიანად გრძნობდა. შეიძლება, კაცმა თავისუფლად წარმოიდგინო, როგორ გულმოდგინედ ლოცულობდა ის, როგორ შესთხოვდა ღმერთს, შეხვედრა რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო, რომ კოშმარული განცდებისთვის თავი დაეღწია. მისი გუნდი აწ დასრულებულ სეზონში ასეთი ფინალისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა, ამიტომ სხვანაირად ვერც მოხდებოდა. სტრაჩანი გარდაუვალს ვერ გაექცეოდა. 52 წლის სპეციალისტისთვის ეს ჭეშმარიტების შეცნობის დღედ იქცა - „ძველი ფირმის" ორგანიზაციაში ან ღმერთი ხარ, ან არაფერი. არბიტრ **ტომსონის** საფინალო სასტვენის ხმასთან ერთად სტრაჩანი გვირაბში გაუჩინარდა. მას არც ერთი ტრადიციის დაცვაზე არ უზრუნია, არც გულშემატკივრისთვის გადაუხდია მადლობა, არც მეტოქის მწვრთნელისთვის ჩამოურთმევია ხელი...

შოტლანდიის სეზონის საუკეთესო მწვრთნელობა განა ცოტას ნიშნავს? ჰმ, „სელტიკის" გულშემატკივართა 99% ამის მთქმელს სახეში დასცინებს. „კელტების" ჩემპიონთალიგური კამპანია უცნობ დანიურ კლუბთან გამკლავებითაც კი ვერ აღინიშნა, ლაპარაკი აღარ გვაქვს „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ვილიარეალზე", შოტლანდიის თასზე "სელტიკი" „სენტ მირენმა" შეაჩერა, სწორედ იმ გუნდმა, რომელიც ერთი კვირით ადრე „კელტებმა" ჩემპიონატში 7:0 გვემეს. ბოლო წერტილი კი ჩემპიონის ტიტულის დაკარგვა იყო. აგრერიგად სასურველი ტიტული სამწლიანი ლოდინის შემდეგ ისევ „რეინჯერსის" ხელში აღმოჩნდა - ეს მაშინ, როცა შობაზე „სელტიკს" შვიდქულიანი ფორა ჰქონდა და ფაქტია ისიც, რომ სტრაჩანის შეგირდებმა ბოლო ორ თვეში თამაშს შესამჩნევად მოუკლეს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „სელტიკის" ფანებს, თხემით ტერფამდე კათოლიკეებს, მხოლოდ ახლა „გაახსენდათ", რომ მისტერ გორდონი პროტესტანტი გახლავთ. არა, მათ ეს წინა სამი წლის განმავლობაშიც იცოდნენ, მაგრამ რელიგიური გრძნობები მხოლოდ მაშინ წამოსტკივდათ, როცა გუნდმა ტიტულები დათმო. როგორც ჩანს, იქამდე ისინი სტრაჩანს პატიობდნენ აღმსარებლობას. მერე რა, რომ ეს ადამიანი ჭეშმარიტ სელტიკელად იქცა? მერე რა, რომ როგორც ფეხბურთელი, შოტლანდიური სპორტის ლეგენდად მიიჩნეოდა? რა დამსახურებაც უნდა ჰქონოდა კლუბის წინაშე, ის მაინც პროტესტანტად დარჩებოდა.

„სელტიკის" ყოფილმა თავდამსხმელმა **ჯონ ჰართსონმა** გულწრფელად განაცხადა ის, რაც ყველამ იცის, მაგრამ თქმას ერიდება - სტრაჩანის გადადგომის მთავარი მიზეზი მასა და გულშემატკივრებს შორის არსებული რელიგიური განსხვავება და აქედან წარმოშობილი შეუთავსებლობააო. *„ეს თვალში საცემი იყო... „სელტიკის" ფანებს სტრაჩანის ატანა არ ჰქონდათ, -* განაცხადა ჰართსონმა ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერით. *- დიახ, ეს ადამიანები მართლა ასეთები არიან - რელიგიური ფანატიკოსები. მათ დანიშვნის პირველივე დღეს განაცხადეს, რომ ამ ადამიანის ადგილი არ არის ჩვენ გვერდით. როგორც ვიცი, ძალიან ბევრმა კლუბის ხელმძღვანელობას ულტიმატუმიც კი წაუყენა: სტრაჩანს გაუშვებთ ან მომდევნო სეზონისთვის სეზონურ აბონემენტებს აღარ ვიყიდითო. ის თავისი ნებით გადადგა. იმედია, ახლა ყველა სელტიკელი ბედნიერი იქნება. არ ვიცი... თავად მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება „სელტიკის" გულშემატკივარი ვიყავი და ახლა მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია. მესმის, რომ ამ სეზონით იმედის გაცრუება ძალზე დიდი იყო, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ძალიან მინდა, გორდონმა თავი ბედნიერად იგრძნოს"...*

პორტსმუთი

# არაბთა მეორე ლაშქრობა

ინგლისური წყაროები გუშინწინ საღამოს წერდნენ, ადვილი შესაძლებელია, „პორტსმუთი" გაიყიდოსო... საქმე ძალიან მალე მოგვარდა. **სულაიმან ალ ფაჰიმმა**, არაბმა ბიზნესმენმა, რომელიც „მანჩესტერ სიტის" საქმეში შუამავლის როლს ასრულებდა, თავად გადაწყვიტა საფეხბურთო ბიზნესის წამოწყება. ახალ მესაკუთრეს პირველივე განცხადება ძალზე ხმაურიანი გამოუვიდა, მისი თქმით, ის „პორტსმუთის" მთავარი მწვრთნელობის ღირსეულ კანდიდატად თვით **დიეგო მარადონას** განიხილავს. ვერაფერს იტყვი, ამბიცია სახეზეა, მაგრამ რამდენად ლოგიკურია ასეთი ნაბიჯის გადადგმა? ვერაფერს გეტყვით. *„მე დიეგო მარადონას დიდი თაყვანისმცემელი ვარ. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, შეძლებს თუ არა ის, ჩამოყალიბდეს კარგ მწვრთნელად, -* განაცხადა ბიზნესმენმა, რომელიც რომში ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც ესწრებოდა. *- ვფიქრობ, მწვრთნელობა თუ არა, პრეზიდენტის პოსტის დაკავება უნდა შეძლოს. მის ფუნქციებში უნდა შედიოდეს ფეხბურთელების ყიდვა და გაყიდვა. „ნაპოლიში" სწორედ მის გარშემო აიგო გუნდი - თანაც ნულიდან. მას აქვს ქარიზმა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, აბსოლუტურად განსხვავებული გავხადოთ კლუბი.*

*„პორტსმუთი", ეს არის კლუბი დიდი ისტორიით. ამ გუნდს დიდი პერსპექტივა აქვს. აღფრთოვანებული ვარ, რომ ამიერიდან კლუბის ისტორიაში შესვლა შემეძლება. იმედი მაქვს, რომ გულშემატკივრებს იმედს არ გავუცრუებ. მათ პირობას ვაძლევ, რომ „პორტსმუთს" დიდი მომავალი ელის".*

გარიგების დეტალებზე პრესა კონკრეტულად ვერაფერს წერს, მაგრამ გამოითქვა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ არაბ ბიზნესმენს კლუბის ყიდვა 60 მილიონზე მეტი არ დაუჯდებოდა. გარდა ამ ხარჯისა, მას კლუბის მიერ დაგროვილი ვალების გასტუმრებაც მოუწევს. თუმცა ეს უკანასკნელი მაინცდამაინც დიდი არ არის. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ უშუალოდ სულაიმან ალ ფაჰიმი და **პიტერ სტორი**, ადამიანი, ვისაც "პომპების" ყოფილი მესაკუთრის, **არკადი გაიდამაკის** მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილება ჰქონდა მინიჭებული. მართალია, ყველაფერი გადაწყვეტილია, მაგრამ იურიდიულად გარიგება ძალაში ჯერ კიდევ არ შესულა, როგორც იუწყებიან, ორშაბათამდე არც შევა. მანამდე დრო მცირე ფორმალობების მოგვარებას დაეთმობა.

საინტერესოა გულშემატკივართა პოზიციაც. ისინი აღფრთოვანებულნი შეხვდნენ ცნობას კლუბის გაყიდვის შესახებ, თუმცა იქვე დააფიქსირეს პოზიცია, რომ კლუბს, ისეთ დონეზე გასაძლიერებლად, რომ მან ევროთასების ზონაში მოსახვედრად იბრძოლოს, პირველ ეტაპზე არანაკლებ 100 მილიონი გირვანქის ინვესტირება დასჭირდება. ეს განცხადება „პორტსმუთის" გულშემატკივართა ასოციაციის პრეზიდენტმა **ნაიჯელ ტრესაიდერმა** გააკეთა: *„ჩვენ, გულშემატკივრები, ახალ მესაკუთრეს გაშლილი ხელებით შევხვდებით. დარწმუნებული ვართ, რომ მისტერ ალ ფაჰიმი ასეთ გადაწყვეტილებას არც მიიღებდა, „პორტსმუთთან" დაკავშირებით ამბიციური გეგმები რომ არ ჰქონდეს. მას გეგმების განსახორციელებლად შესაბამისი სახსრებიც უნდა გააჩნდეს. ჩვენი გათვლებით, რეალურად ამ თანხამ შეიძლება 100 მილიონს მიაღწიოს".*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



სულაიმან ალ ფაჰიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შტუტგარტი

# გომესი ვაგნერ ლავმა უნდა შეცვალოს!

## ცსკა ბრაზილიელში 20 მილიონს ითხოვს

„შტუტგარტმა“ **მარიო გომესი** „ბაიერნს“ მიჰყიდა და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელის სანაცვლოდ მინიმუმ 30 მილიონი ევრო მიიღო. მინიმუმს იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბავარიელებმა სუპერმარიოში გაცილებით მეტი გადაიხადეს. შესაბამისად, ფაქტია, რომ შვაბურ კლუბს ახლა მინიმუმ 30 მილიონი აქვს და თანაც, ახალი გოლეადორი სჭირდება. შესაბამისად, გუნდის მენეჯერმა ჰორსტ ჰელდტმა სასწრაფოდ უნდა იმოქმედოს. „ბილდის“ ინფორმაციით, ჰელდტის უპირველესი მიზანი მოსკოვის ცსკა-ს ბრაზილიელი თავდამსხმელი, 24 წლის **ვაგნერ ლავია**.

ამ უკანასკნელს ბრაზილიის ნაკრებში 21 მატჩი აქვს ჩატარებული (4 გოლი) და ცსკა-ში ხუთი წელია თამაშობს. 2005 წელს ვაგნერ ლავმა ცსკასთან ერთად უეფას თასი მოიგო და 10 თამაშში გატანილი 11 გოლით ამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 2008 წელს კი, რუსული კლუბების მწვრთნელებმა წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ჰელდტი ცდილობს გაარკვიოს, უნდა თუ არა ცსკა-ს ბრაზილიელი გოლეადორის გაყიდვა და თუ უნდა, რამდენად შეელევიან მას. ცნობილია, რომ მოსკოველები ვაგნერის სანაცვლოდ 20 მილიონს ითხოვენ.



ვაგნერ ლავი

ბაიერნი



ული ჰიონესი და ბასტიან შვაინშტაიგერი

# ჰიონესი: ასეთი შვაინი არ გვჭირდება!

## მიუნხენში დიდი წმენდა იწყება? ნოიერის უარის შემდეგ, ბავარიელები ლოგან ბეილის უმიზნებენ

მომავალ კვირაში, **ლუის ვან გაალი** მიუნხენში პირველად ჩავა და „ბაიერნის“ გაწვრთნას შეუდგება. ცხადია, ჰოლანდიელი მწვრთნელი თითოეულ ფეხბურთელს გამოცდის და ვინც არ მოეწონება, გუნდიდან გაუშვებს. თუმცა სანამ ვან გაალი მიუნხენში ჩავა და საქმეს შეუდგება, უკვე ბევრი რამ ცნობილია და გარკვეულია იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომლებსაც რეკორდმაისტერში მომავალი არ აქვთ.

მას მერე, რაც „ბაიერნმა“ მომავალი სეზონისთვის უკვე გაიფორმა ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან თავდამსხმელი **მარიო გომესი** (შტუტგარტიდან), საყრდენი ნახევარმცველი **ანატოლი ტიმოშჩუკი** (ზენიტიდან), ფორვარდი **ივიცა ოლიჩი** (ჰამბურგიდან), მარჯვენა მცველი **ანდრეას გიორლიტცი** („კარლსრუეში“ იყო განათხოვრებული) და ნახევარმცველი **ალექსანდერ ბაუმიოჰანი** (გლადბახიდან), რამდენიმე ვარსკვლავს „ბაიერნის“ დატოვების საფრთხე ემუქრება. კონკურენცია განსაკუთრებით თავდასხმასა და ნახევარდაცვაში გაიზარდა.

*„თუ რომელიმე ფეხბურთელი მოვა და მეტყვის, წასვლა მინდაო, მის გაშვებაზე სერიოზულად დავფიქრდებით. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც ეს არ ეხება, ფრანკ რიბერია. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ფრანგი მიუნხენში დარჩეს,“* - აცხადებს ბავარიელთა გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი**.

როგორც ირკვევა, თვით **ბასტიან შვაინშტაიგერიც** კი აღარ არის ხელშეუხებელი, არადა, მიუნხენელ ფანებს შვაინი ძალიან უყვართ.

*„როგორც გითხარით, რიბერის გარდა ხელშეუხებელი არავინაა. რაც შეეხება შვაინშტაიგერს, ის კარგად უნდა დაფიქრდეს. თუკი უნდა, რომ მომავალშიც ისეთივე ჩვეულებრივი და არაფრით გამორჩეული ფეხბურთელი იყოს, როგორც ამ სეზონში იყო, მაშინ ის ნამდვილად არ არის ხელშეუხებელი და მეტიც, ასეთი შვაინშტაიგერი არ გვჭირდება!* - უთხრა ჰიონესმა „შპორტ-ბილდს“ და იქვე დასძინა, - *აბა გაიხსენეთ, ბოლოს როდის თქვით „ბაიერნის“ თამაშის ყურების შემდეგ, დღეს შვაინიმ შესანიშნავად ითამაშაო? სწორედ ეს უნდა იყოს მისი მიზანი. ის ერთი რიგითი ფეხბურთელია. იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერს რეალურად შეაფასებს და გუნდის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი გახდება. შვაინშტაიგერი ის ფეხბურთელია, რომელიც ყველა მატჩში ყურადღებას უნდა იქცევდეს. ყოველ შემთხვევაში, ხელფასი და იმიჯი სწორედ ასეთი მოთამაშის შესაფერისი აქვს!“*

ერთი სიტყვით, მას მერე, რაც გაირკვა, რომ „ბაიერნი“ პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება, მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელებმა ტრანსფერებზე სერიოზულად დაიწყეს მუშაობა და თანაც, იმდენად სერიოზულად, რომ ეს ყველაფერი „ბაიერნში“ დიდი წმენდისკენ მიუთითებს. გომესის სახით, რეკორდმაისტერმა უკვე შეიძინა ის ფეხბურთელი, რომელსაც მიუნხენური გრანდი დიდი ხანია, უმიზნებდა. სუპერმარიო ტიმოშჩუკის, ოლიჩის, ბაუმიოჰანისა და გიორლიტცის შემდეგ მეხუთე ახალწვეულია, მაგრამ რეკორდმაისტერი ამაზე არ შეჩერდება და კიდევ რამდენიმე მოთამაშეს დაიმატებს. ფაქტია ისიც, რომ ბავარიელთა მომდევნო ახალწვეული მეკარე უნდა იყოს. მიუნხენში გადასვლა უკვე იუარა „შალკეს“ ახალგაზრდა გოლკიპერმა **მანუელ ნოიერმა** და შესაბამისად, ბავარიელებმა სხვა კიპერი უნდა ეძებონ.

ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, ნოიერისგან უარის მიღების შემდეგ, „ბაიერნმა“ მიზანი მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ კარის დარაჯ **ლოგან ბეილისკენ** მიმართა. *„გალათასარაიშიც“ მეპატიჟებიან და „ბაიერნშიც“,* - უთხრა ბელგიელმა მეკარემ გერმანელ ჟურნალისტებს. ლოგან ბეილი „გლადბახში“ ზამთარში ლიეჟის „სტანდარდიდან“ გადავიდა და ბუნდესლიგის მეორე წრეში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. „გლადბახის“ გადარჩენაში მას ლომის წვლილი მიუძღვის. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნის“ ყოფილი მეკარე **ჟან მარი პფაფი** ბეილის ძალიან აქებს.

გომესისა და ოლიჩის ტრანსფერების შემდეგ, „ბაიერნს“ ხუთი თავდამსხმელი უგროვდება. *„თუკი რომელიმე თავდამსხმელს კონკურენციის მიღება არ სურს, მოვიდეს ჩემთან, დავილაპარაკოთ,“* - ამბობს ჰიონესი და ცხადია, **ლუკა ტონის** გულისხმობს, მაგრამ ამ უკანასკნელის აგენტს თუ დავუჯერებთ, იტალიელ ფორვარდს კონკურენცია არ აშინებს და „ბაიერნიდან“ წასვლა არ უნდა. მიმომხილველები „ბაიერნიდან“ **ფილიპ ლამის** წასვლას (ბარსელონაში) ვარაუდობდნენ, მაგრამ ბავარიული კლუბის მარცხენა მცველმა განაცხადა, არსად არ მივდივარ, მომდევნო სეზონსაც აუცილებლად „ბაიერნში“ გავატარებო.

### მიდიან

**ლუკას პოდოლსკი** - 23 წლის ფორვარდი „კიოლნში“ ბრუნდება, რადგან „ბაიერნში“ ვერ გაამართლა. რეკორდმაისტერი „კიოლნისგან“ თავის ათ მილიონ ევროს უკან მიიღებს, „თხები“ კი „პრინც პოლდის“ დაიბრუნებენ.

**მასიმო ოდო** - ვეტერანი იტალიელი მცველი „ბაიერნმა“ ერთი წლის წინ „მილანიდან“ არენდით ვილი სანიოლის შემცვლელის რანგში აიყვანა. ჰიონესი ამბობს, ოდოს ტრანსფერი დიდი შეცდომა იყოო და შესაბამისად, 32 წლის მცველი იტალიაში ბრუნდება.

### უნდა წავიდნენ

**ტიმ ბოროვსკი** - ერთი წლის წინ „ვერდერიდან“ უფასოდ გადმობირებულ ნახევარმცველს „ბაიერნში“ პერსპექტივა არ აქვს. 29 წლის ბოროვსკი მიუნხენურ გრანდს არაფერში გამოადგა და სამომავლოდაც არაფერში სჭირდება.

**კრისტიან ლელი** - 24 წლის მარჯვენა მცველი ამ სეზონში „ბაიერნის“ უსუსტესი წერტილი იყო. მასაც არ აქვს რეკორდმაისტერში მომავალი, რადგან ჯერ ერთი, „კარლსრუედან“ მასზე უკეთესი ანდრეას გიორლიტცი დაბრუნდა და ესეც არ იყოს, ბავარიელებს დონეცკის „შახტარის“ მარჯვენა მცველის, დარიო სრნას შეძენა უნდათ.

### წასვლის უფლება აქვთ

**ლუკა ტონი** - ჰიონესი პირდაპირ ამბობს, არა მგონია, რომ მომავალი სეზონი ხუთი თავდამსხმელით დავიწყოთო. გამოდის, რომ „ბაიერნი“ ან იტალიელმა უნდა დატოვოს, ანაც ახალგაზრდა მიულერმა. ცხადია, თუ წასვლა თვითონ არ მოინდომა, ტონის „ბაიერნიდან“ არავინ გააგდებს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ არც კალთებს დაახევენ.

**ბასტიან შვაინშტაიგერი** - „ბაიერნის“ ხელმძღვანელები შვაინშტაიგერით აგერ უკვე მერამდენედ, ძალიან იმედგაცრუებულები არიან. მიუნხენელები სწორედ ამიტომ ფიქრობენ **ალექსანდრ გლების** (ბარსელონა) შეძენაზე.

**მიხაელ რენზინგი** - მიუხედავად იმისა, რომ რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს, 25 წლის მეკარეს ახლავე შეუძლია, მიუნხენი დატოვოს.

### წასვლა უნდათ

**ფრანკ რიბერი** - 26 წლის ფრანგ დრიბლიორს მიუნხენში მობეზრდა და ეს საიდუმლო უკვე არაერთ მეგობარსა და ნათესავს გაუმხილა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მისი მეუღლე **ვაჰიბა** მადრიდში უკვე სახლებს ათვალიერებს.

**ბრენო** - 19 წლის ბრაზილიელი მცველი უკმაყოფილოა იმით, რომ სასტარტო შემადგენლობაში არ ათამაშებენ. არადა, როცა ათამაშეს, ძალიან ცუდად ითამაშა. მისი აგენტი ამბობს, „ბაიერნმა“ ბრენო მინიმუმ სადმე უნდა გაანათხოვროსო.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

მოსალოდნელი ტრანსფერი

## ჩელსი: 50 მილიონი რიბერის სანაცვლოდ!

### THE SUN: ბაიერნი და ჩელსი სატრანსფერო თანხაზე უკვე მორიგდნენ

ინგლისური „სანის“ ინფორმაციით, ლონდონის „ჩელსი“ მზადაა, მიუნხენის „ბაიერნს“ **ფრანკ რიბერის** სანაცვლოდ 50 მილიონი ევრო გადაუხადოს! მეტიც, ხსენებული გამოცემა იუწყება, რომ „ჩელსის“ ხელმძღვანელები უკვე რამდენჯერმე ესაუბრენ ბაიერნელ კოლეგებს და მათთან სატრანსფერო თანხაზე შეთანხმებასაც კი მიაღწიეს. სამაგიეროდ, „ჩელსი“ ფრანგ დრიბლიორს ხელფასზე ვერ უთანხმდება. „სანი“ წერს, რომ ლონდონელები რიბერის კვირაში 105 000 ევროს სთავაზობენ, 26 წლის ნახევარმცველს კი მინიმუმ 144 000 ევროს მიღება უნდა.



სამწვრთნელო გადაადგილებები

# შააფი ჰამბურგში?

## ...თუ არა და ლაბადია ან სლომკა. მათეუსი და ტოპმიოლერი გამორიცხულია

**მარტინ იოლმა** მთელი „ჰამბურგი" შოკში ჩააგდო. ერთწლიანი მუშაობის შემდეგ, ჰოლანდიელი მწვრთნელი ყველასათვის მოულოდნელად ამსტერდამში წავიდა, „აიაქსთან" კონტრაქტი გააფორმა და ჩრდილოგერმანული კლუბიც იძულებული გახდა, 53 წლის სპეციალისტი, რომელმაც ეს სეზონი მეტ-ნაკლებად წარმატებულად ჩაატარა, თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა. ამრიგად, „ჰამბურგი" ახალ მწვრთნელს ეძებს და გუნდის ბოსი **ბერნდ ჰოფმანი** გულშემატკივრებს ჰპირდება, ძალიან მაგარ სპეციალისტს დავნიშნავთო.

უკვე გამოიკვეთა რამდენიმე კანდიდატი, რომლებიც იოლის შემცვლელად მოიაზრებიან და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ფავორიტი ორი სპეციალისტია. თანაც, არც ერთი მათგანი არ არის უმუშევარი: „ვერდერის" თავკაცი **თომას შააფი** და „ლევერკუზენის" მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია**, რომლის გადაბირება ჰამბურგელებს ჯერ კიდევ ერთი წლის წინ სურდათ, მაგრამ მერე არჩევანი იოლზე შეაჩერეს. აღსანიშნავია, რომ შააფიცა და ლაბადიაც გერმანიის თასის ფინალში არიან.

რამდენად რეალურია ის, რომ „ჰამბურგმა" „ვერდერს" შააფი წაართვას? ბრემენული კლუბის დამრიგებელი ასეთ კომენტარს აკეთებს: *„ამ თემაზე არაფერს ვიტყვი!"* ეს კი უარს არ ნიშნავს! ლაბადია კი ფინალის წაგების შემთხვევაში, შეიძლება „ლევერკუზენიდან" გაათავისუფლონ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ჰამბურგის" შეფები მთავარ მწვრთნელად ყოფილ ფეხბურთელ **სერგეი ბარბარესსაც** მოიაზრებენ, მაგრამ ჰოფმანმა ეს ცნობა უარყო. კანდიდატად რჩება „შალკეს" ყოფილი დამრიგებელი **მირკო სლომკაც**. „ბილდის" ინფორმაციით, ფაქტია, რომ „ჰამბურგის" ხელმძღვანელებს ნამდვილად არ აინტერესებთ შემდეგი მწვრთნელები: **ლოთარ მათეუსი, კლაუს ტოპმიოლერი** (ეს უკანასკნელი ერთხელ უკვე წვრთნიდა „ჰამბურგს" და წარმატებას ვერ მიაღწია), **ედუარდ გაიერი, ბერტი ფოგთსი და დიტერ ჰეკინგი.**

### რკინის ჰანსი გლადბახიდან წავიდა

მიონხენგლადბახის „ბორუსიის" მთავარმა მწვრთნელმა **ჰანს მაიერმა** პოსტი დატოვა და უნდა ითქვას, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგები „რკინის ჰანსის" თანამდებობიდან გადადგომას ვარაუდობდნენ კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ მაიერმა მიონხენგლადბახური კლუბი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან იხსნა, გადაწყვიტა, კლუბი დაეტოვებინა.

*„უკვე 67 წლის ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი გუნდის ასაშენებლად არც დრო მაქვს და ამის გაკეთება აღარც შემიძლია. ჩემი გამოცდილებით ამ გუნდს დავეხმარე, ელიტაში ადგილი შეენარჩუნებინა და ვფიქრობ, ჩემი მისია მიონხენგლადბახში ამით ამოიწურა,"* - განუცხადა მაიერმა „კიკერს".

67 წლის სპეციალისტმა, რომელიც 1981 წელს, თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის „დინამოს" მეტოქე იენის „კარლ ცაისის" თავკაცი იყო, 2004 წელს ბერლინის „ჰერტა" იხსნა მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან, 2006 წელს „ნიურნბერგი". წელს კი „გლადბახიც" გადაარჩინა, რომელსაც ოქტომბერში ჩაუდგა სათავეში. პირველ წრეში „ბორუსიას" 11 ქულა ჰქონდა მოპოვებული და არავის სჯეროდა, რომ მიონხენგლადბახელები გავარდნას გადაურჩებოდნენ, მაგრამ მაიერმა ფაქტობრივად პატარა სასწაული მოახდინა და დიდი ისტორიის მქონე გუნდი ელიტაში დატოვა.

**გოტფრიდ ლენცი**



ჰამბურგის ბოსი დიტმარ ბაიერსდორფერი და თომას შააფი ერთმანეთს კარგად უგებენ

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ვარსკვლავი




გულშემატკივრებს კარლოსი გასაშვებად არ ემეტებათ

# მე ყველაფერი გავიღე

ბოლო პერიოდში **კარლოს ტევესი** „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ტრიბუნებიდან ხშირად გაისმოდა შეძახილები: *„ფერგი, დატოვე კარლოსი"*. თუმცა სერ **ალექს ფერგიუსონი** წარმოუდგენლად ჯიუტი ადამიანია. ის არასოდეს ეხვეწება ფეხბურთელებს, გუნდში დარჩითო. მით უფრო მას, ვინც ხმამაღლა ადასტურებს, რომ "ოლდ ტრეფორდის" დატოვება უნდა. ასე გრძელდება უკვე ორ ათეულ წელზე მეტია. მისი ხასიათის შეცვლა ახლა უკვე ნამეტანი გვიანია. ტევესმა ასეთი განცხადება თავად გააკეთა და ამით საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა. შოტლანდიელმა გენიოსმა სულ ცოტა ხნის წინ განაცხადა: *„პრესას არ ვკითხულობ და იქ რა იწერება, არ მაინტერესებს. ტევესი ჩემი გუნდის ფეხბურთელია"*. არგენტინელმა იუკადრისა ასეთი დამოკიდებულება და ერთ-ერთ ინტერვიუში სასხვათაშორისოდ აღნიშნა, მომავალ წელს ასე აღარ იქნებაო. დიახ, სწორედ ეს უნდა გახდეს იმისი წინაპირობა, რომ მხარეებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვან და მშვიდობიანად დაშორდნენ.

ვიდრე მხარეები ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ (რომში კარლოსმა „იუნაიტედის" შემადგენლობაში უკანასკნელი თამაში უკვე ჩაატარა), მანამდე მათი ურთიერთობის ისტორიას თვალი გადავავლოთ. მაშ ასე... ფერგიუსონი სატელევიზიო და საგაზეთო ინტერვიუს იშვიათად იძლევა, მაგრამ როცა ამას აკეთებს, ყოველთვის საინტერესოდ ლაპარაკობს და საფიქრალსა თუ განსასჯელს ბევრს ტოვებს. პრესასთან ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე ბრძანა: *„გულშემატკივრებს ყველაზე მეტად მონდომებული ფეხბურთელები უყვართ. ფეხბურთში ეს ფაქტორი ყველაზე დიდი რამეს ნიშნავს. პატარა ბიჭს, რომელიც მინდორზე ბოლომდე იხარჯება, ამის გამო შეიძლება უამრავი შეცდომაც აპატიო"*. მან არ ისურვა იმის დაკონკრეტება, რა ჰქონდა ტევესს საპატიებელი... ალბათ, ყველაზე მეტად ის, რომ არგენტინელი ბოლო პერიოდში სასურველზე მეტს ლაპარაკობდა. კარგი, ჰო, ვთქვათ, ზედმეტსაც ლაპარაკობდა, მაგრამ იმის მიუხედავადაც, რომ ძირითადში იშვიათად ხვდებოდა, განა როდესმე ფორმაში არ იყო? კარლოსის აზრით, ის დაუსაბუთებლად ცოტას თამაშობდა და ენაც სწორედ ამიტომ ამოიდგა. ამას გარდა, შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ მისმა აგენტმა კლიენტის ახალ კონტრაქტზე მუშაობისას იმაზე მეტი ფულის შოვნა მოინდომა, ვიდრე „მანიუს" ბოსები მზად იყვნენ, გადაეხადათ. მენეჯერების მიერ წარმოებულ მოლაპარაკებებში ჩარევა მწვრთნელმა არ ისურვა. ამით რა გამოდის, ფერგისთვის სულერთი იყო, დარჩებოდა თუ არა ტევესი მის გუნდში? კარლოსი სწორედ ასე ფიქრობს. მეტიც, ის დარწმუნებულია, რომ „მანიუში" ის ღირსეულად ვერ დააფასეს.

პრემიერლიგის 36-ე ტურის შემდეგ სცენაზე **მარკ ჰიუზი** გამოდის, მწვრთნელი, რომელიც აღფრთოვანებულია მანჩესტერულ დერბიში სამხრეთამერიკელის თამაშით. *„კარლოსის თამაშით უბრალოდ აღფრთოვანებული ვარ. ვფიქრობ, ამაზე უკეთ გარჯა წარმოუდგენელი იყო. მან იშვიათი სილამაზის გოლი გაგვიტანა"*, - განაცხადა "სიტის" მწვრთნელმა. დიახ, ამ განცხადების შემდეგ არც არის გასაკვირი, რომ ინგლისური პრესა ტევესის შეძენის უპირველეს კანდიდატად სწორედ „მანჩესტერ სიტის" ასახელებს. გარდა ჰიუზის განცხადებისა, ამას სხვა საფუძვლებიც აქვს. ტევესმა თავად გამოთქვა სურვილი, კარიერა პრემიერლიგაში გაეგრძელებინა, პლუს ამას, მან ჟურნალისტებთან საუბარში მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარება არ გამორიცხა. კარლოსი დარწმუნებულია, რომ "ეშმაკების" ფანები მის ასეთ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდებიან, რადგან „მან გულშემატკივრებისთვის ყველაფერი გააკეთა". გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ არგენტინელის ასეთი პოზიცია გულუბრყვილობაა და სხვა არაფერი. *„ძალზე ძნელია ასეთ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ მგონი, წასვლის დრო მოვიდა. ჩემთვის კონკრეტული წინადადება არავის შემოუთავაზებია და უბრალოდ, იძულებული ვარ, ეს ნაბიჯი გადავდგა. ფერგიუსონი არასოდეს არაფერს მიხსნიდა და მეც არასოდეს შემიწუხებია ჩემი შეკითხვებით, ეს არ ზის ჩემს ხასიათში"*. ხომ ხედავთ, ერთმანეთს ორი ჯიუტი ადამიანი შეხვდა, მათ შორის ერთ-ერთი კი ყველაზე ჯიუტია თანამედროვე საფეხბურთო სამყაროში. ადამიანი, რომელმაც გრძელი ენის პატრონობა თავის დროზე **იაპ სტამსაც** კი არ აპატია, ფეხბურთელს, რომელსაც უეჭველად უფრო მეტი წონა ჰქონდა მაშინდელი „იუნაიტედისთვის", ვიდრე კარლოსი წარმოადგენს დღევანდელი ფორმაციის გუნდისთვის. მართალია, წლების შემდეგ „ტაიმსთან" ინტერვიუში აღიარა, ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა ჰოლანდიელის გაშვება იყოო, მაგრამ ამის სათქმელად მას მთელი რვა წელიწადი დასჭირდა. ფაქტი კი ერთია, მას არ უყვარს, როცა მისი ფეხბურთელები ბევრს ლაპარაკობენ და მისი ფრაზა - პრესას არ ვკითხულობო, სულაც არ არის ფაქტი.

კარლოს ტევესის სკამზე გადასმა, რა თქმა უნდა, **დიმიტარ ბერბატოვის** "ბრალია". იმაზე, რომ არგენტინელი რიგითი მაყურებლის თვალისთვის ბევრად უფრო ეფექტურია, არავინ კამათობს, მაგრამ მაინც გვეუხერხულება ამ ორი ფეხბურთელის შედარება. ისინი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ სტილში თამაშობენ. შავი სამუშაოს ის დოზა, რასაც ბულგარელი ასრულებს, უეჭველია, რომ არგენტინელისთვის მიუწვდომელია. თანაც, ეფექტურობასა და მარგი ქმედების კოეფიციენტს შორის დიდი სხვაობაა. „იუნაიტედის" გულშემატკივრებმა „კარლოსის გადასარჩენად" მთელი კამპანია წამოიწყეს. რიგით ფანებს უყვართ ფეხბურთელი და მასთან განშორების აზრს ვერ უგუებიან. მაგრამ როდის ყოფილა აქამდე, კლუბების ხელმძღვანელებს ფანების დაძახილზე საქმე ეკეთებინოთ?

რა მოხდება ტევესის თავს? *„კარლოსი მსოფლიოს კლასის ფეხბურთელია. ის ჭეშმარიტი პროფესიონალის კლასიკური მაგალითია. შეიძლება, მას დიდი პრობლემები ჰქონოდა, შეიძლება ძალზე უკმაყოფილოც იყო უთამაშებლობით, მაგრამ ამით გუნდისადმი მის ღრმა პატივისცემას მისხალიც არ აკლდებოდა. ერთი სიტყვით, ის არსად დაიკარგება"*, - განუცხადა პრესას **პატრის ევრამ**.

*„ტყუილია, თითქოს ჩემი ოჯახი ინგლისში თავს ცუდად გრძნობს და ამიტომაც მოვინდომე ალბიონიდან ესპანეთში საცხოვრებლად გადასვლა. ჩემი ოთხი წლის შვილი ფლორენსია უკვე სწავლობს ინგლისურს და აქ ჩემს მეუღლესაც ყველაფერი მოსწონს. დიახ, მსურს, სათამაშოდ მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში დავრჩე. ევროპაში კიდევ 4-5 წელიწადს გავატარებ, მერე კი სათამაშოდ არგენტინას დავუბრუნდები და კარიერას „ბოკა ხუნიორსში" დავასრულებ"*, - აცხადებს ვარსკვლავი.

**შალვა ბიბილაშვილი**

რეალი

# ფლორენტინო პერესმა გუნდი წარმოადგინა

## ხორხე ვალდანო და ზინედინ ზიდანი ჯერჯერობით თამაშგარეში არიან

ეს ნანატრი დღეც დადგა. **ფლორენტინო პერესი** საზოგადოების წინაშე მთელი ბრწყინვალებით წარდგა. წუხელ, თბილისის დროით 23:00 საათზე მადრიდის ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ სასტუმროში, „ოტელ ინტერკონტინენტალში" სამეფო კლუბის პრეზიდენტობის კანდიდატმა მისი გუნდის პრეზენტაცია მოაწყო. იმის გათვალისწინებით, რომ სენორ პერესს კონკურენტები არ ჰყავს, ის, რა თქმა უნდა, გაიმარჯვებს და ესპანური გრანდის უმაღლესი ხელისუფალი მესამე ვადით გახდება. უცნაურია, მაგრამ ფლორენტინოს წინააღმდეგ ბრძოლა არავინ ისურვა. ზოგმა მას დაუთმო ასპარეზი, ზოგს კი ნაგების შეეშინდა. ბრძოლას **რამონ კალდერონიც** აპირებდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ყოფილი პრეზიდენტი სასამართლომ მაქინაციების გამო ექვმიტანილად სცნო, სარბიელს ისიც ჩამოშორდა. რამდენიმე დღის წინ პერესის კიდევ ერთმა კონკურენტმა კანდიდატურა მოხსნა და კოლეგა „მონოპოლისტად" აქცია. ეს კაცი პრეზიდენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ გახდება, თუ არჩევნებზე მისული სოსიოები ბოიკოტს გამოუცხადებენ და გუნდში სახელისუფლებო კრიზისს შექმნიან. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდება. ამიტომ, ფლორენტინო პერესმა საკუთარ თავს იმის თქმის უფლება მისცა, რომ არჩევნების შედეგებს არ დაელოდება და დროის მოგების მიზნით მუშაობას ორშაბათიდან შეუდგება.




წუხელ კი „ოტელ კონტინენტალში" ფლორენტინომ საზოგადოებას ის ხალხი გააცნო, ვისთან ერთადაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სამეფო კლუბის კეთილდღეობისთვის იმუშავებს. „რეალს" ორი ვიცე-პრეზიდენტი ეყოლება - **ფერნანდო ფერნანდეს ტაპიასი** და **ედუარდო ფერნანდეს დე ბლასი**. სენიორ ტაპიასი ამ თანამდებობაზე პერესის პრეზიდენტობის წინა ვადის განმავლობაშიც მოღვაწეობდა. ბატონი დე ბლასი კი ფლორენტინომ საკმაოდ საინტერესო პროგრამის „მადრიდული ეთიკის" შექმნის გამო დააფასა. სწორედ დე ბლასის მიერ ხორცშესხმული პროექტი გახდა რამონ კალდერონის მხილების საფუძველი. „მადრიდულ ეთიკაში" ხელისუფლების პოლიტიკის მონიტორინგს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ბევრისთვის მოულოდნელად არ დადასტურდა ინფორმაცია, რომ **ხორხე ვალდანო** სპორტული დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნებოდა. **ზინედინ ზიდანი** კი სპორტული მდივნის მოვალეობებს შეასრულებდა. საპრეზიდენტო კანდიდატმა დარბაზში დამსწრე ჟურნალისტებს სხვადასხვა თანამდებობაზე დასანიშნად გამზადებული ფუნქციონერებიც გააცნო, მაგრამ მათ გვარებს აღარ ჩამოვთვლით, რადგან ისინი ბიუროკრატიული აპარატის თანამშრომლები იქნებიან და ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის მათი გაცნობა საინტერესო არ უნდა იყოს.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ფლორენტინო მიკროფონთან მივიდა და ასეთი რამ განაცხადა: „დღეს მე ყველაზე დიდ საფეხბურთო ინსტიტუციას წარმოვადგენ და სიამაყით ვაცხადებ, რომ სამეფო კლუბში სამუშაოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესო შემადგენლობა შევკრიბე. ხალხი, რომელიც მმართველობაში ჩემთან ერთად მოვა, „რეალს" უამრავ წარმატებას მოუტანს. მჯერა, რომ უმოკლეს დროში ჩვენთვის სათაყვანებელ გუნდს ძველ დიდებას დავუბრუნებთ და თანამედროვე ფეხბურთის ავანგარდში მოვექცევით. ჩვენი მიზანი, როგორც ყოველთვის, ტიტულების მოპოვებაა, მაგრამ ტიტულები თავისით არ მოიპოვება. ამისათვის მუშაობა და სწორი პოლიტიკაა საჭირო. ჩემს გუნდს რამდენიმე პრიორიტეტი ექნება. ჩვენ მუდმივად ვიმუშავებთ იმისთვის, რომ გუნდის სპორტული ინფრასტრუქტურა მუდმივად განვითარდეს და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვოს. კანტერა ისევ ჩვენი იმპერიის სიმბოლო იქნება. სამეფო კლუბის საყმაწვილო სკოლაში ახალი რაული მომავალშიც აღიზრდება. კანტერას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, რათა ძირითადმა გუნდმა უმაღლესი დონის მოთამაშეებით მუდმივი შევსება მიიღოს. გარდა ამისა, მე და ჩემი მეგობრები გაფაციცებით ვიმუშავებთ იმისთვის, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩამოვიყვანოთ და ამით „რეალი" ყველასათვის საოცნებო გუნდად ვაქციოთ. ბუნებრივია, ამ ყველაფერს სოლიდური და გამართული საფინანსო სისტემა სჭირდება. ჩვენმა ეკონომიკურმა გუნდმა არაჩვეულებრივი პროექტი შეიმუშავა. როცა ვამბობ, რომ ეს გეგმა არაჩვეულებრივია, ზუსტად ვიცი, რას ვგულისხმობ. აღნიშნული პროექტი ანალიზისა და რევიზიისთვის მსოფლიოს მოწინავე საკონსულტაციო კომპანიებს გავაცანით. მათი შენიშვნები გავითვალისწინეთ და პრაქტიკულად სრულყოფილი დოკუმენტი შევქმენით. პირდაპირ გეტყვით, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ჩვენთან თანამშრომლობის სურვილს უამრავი სპონსორი გამოთქვამს. ისინი „რეალში" მრავალმილიონიან ინვესტიციებს განახორციელებენ და ამ ფულით მძლავრი, კონკურენტუნარიანი და გამართული გუნდის ჩამოყალიბების საშუალებას მოგვცემენ."

საუბარი ვირტუალურ რეჟიმში რომ არ გადასულიყო, ფლორენტინომ მტკიცებულებად ერთ-ერთ კომპანიასთან გაფორმებული სასპონსორო კონტრაქტი წარმოადგინა. იმ ხელშეკრულების ძალით, მადრიდული გრანდი მომავალი სამი სეზონის განმავლობაში 70 მილიონ ევროს მიიღებს. პრეზიდენტობის კანდიდატი საზოგადოებას არწმუნებს, რომ ასეთი კონტრაქტები კიდევ მრავლად გაფორმდება.

ბარსელონა

# მილიონზე მეტი ადამიანი საჩემპიონო ფიესტაზე

## გაუდის ქალაქი ხალხს ვერ იტევდა, ბარსელონის ყველა კუნჭულში ბედნიერების სიო ქროდა




ვერ დაეტევა. „ბარსა" ყველა დი წარმატებას „პლასა კანალეტასზე" აღნიშნავს, ხოლმე, მაგრამ „პეპ თიმის" ნათლობა ერთმა მოედანმა კი არა, მთელმა ქალაქმა ძლივს დაიტია. საჩემპიონო ავტობუსი რამდენიმე საათის განმავლობაში მთელ ბარსელონაში დადიოდა და ფეხბურთელები გულშემატკივრებს სხვადასხვა უბანში ესალმებოდნენ. აღსანიშნავია, რომ გმირები მთელი ამ დროის განმავლობაში გაუჩერებლად მღეროდნენ. ბოლოს, რამდენიმე მათგანმა, კერძოდ, **პუიოლმა, ეტოომ, ინიესტამ** და **პიკემ** ხმა დაკარგეს, მაგრამ ბედს მაინც არ შეეგუენ და სიმღერა ჩახლეჩილი ხმით განაგრძეს. რამდენიმესაათიანი ხეტიალის შემდეგ ავტობუსი ყველაზე ხალხმრავალ ადგილას გაჩერდა. ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა და დირექტორატის წარმომადგენლებმა მიკროფონები მოიმარჯვეს და გულშემატკივარს სადღესასწაულო სიტყვით მიმართეს. ტრიუმფატორების განცხადებებს სტილის დაცვით შემოგთავაზებთ:

**პეპ გვარდიოლა:** „პლანეტის ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგან ღმერთმა მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელების მწვრთნელობა მარგუნა. გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ ჩვენ ჩემპიონები ვართ. „ბარსამ" მთელი მსოფლიო დაიპყრო. ეს გამარჯვება ერთად მოვიპოვეთ. სინამდვილეს თვალს კიდევ ვერ ვუსწორებ. ვერ აღვიქვამ, რომ მე პეპ გვარდიოლა ვარ და პირველივე სეზონში ჩემს გენიალურ ბიჭებთან ერთად სამივე ტიტულს დავეუფლე. ეს სასწაულია, ეს ჯადოქრობაა, ეს ზღაპარია. ახლა რომ მოვკვდე, გული არ დამწყდება, რადგან თქვენთან ერთად ვარ, რადგან ეს თასი ჩამოგიტანეთ და უდიდესი სიყვარულისთვის მადლობა გადაგიხადეთ. მორჩა, ჩვენ მართლა ყველაფერი მოვიგეთ. აღარ გეტყვით ჩემს საფირმო და საზიზღარ სიტყვებს, ეიფორიაში არ ჩავვარდეთ, ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია-მეთქი. რომ იცოდეთ, როგორ მომბეზრდა ამის ლაპარაკი. მორჩა! „ბარსელონამ" ყველაფერი მოიგო რისი მოგებაც შეიძლებოდა. დროა, ის ეიფორია ამოვხეთქოთ, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში სულში ვიკლავდით. მოდით, გავგიჟდეთ, ჭკუიდან გადავიდეთ და ბედნიერებას მივეცეთ."



ბარსელონაში ასეთი ფიესტა მხოლოდ მაშინ ეწყობა, როცა კატალონიური გრანდი ჩემპიონთა ლიგაში იმარჯვებს. დიახ, ქუჩაში მილიონზე მეტი ადამიანის გამოყვანა სხვა არც ერთ ტიტულს არ შეუძლია. რომაული ფინალის შემდეგ **გვარდიოლას** „პეპ თიმმა" **იოჰან კრუიფის** „დრიმ თიმი" დაჩრდილა და ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, მეფურად უნდა აღნიშნულიყო. გუშინ, „ბარსას" ყველა ჯანმრთელი გულშემატკივარი კატალონიის ღვთაებრივი დედაქალაქის ქუჩებში იყო გასული. ის ვინც სახლში დარჩა ან ავადმყოფობა აწუხებდა, ან „ესპანიოლის" ქომაგია, ან სულაც უგულო ადამიანი. ასეთ დღეებში თუ ჯანმრთელობა ხელს არ გიშლის და მართლა „ესპანიოლის" ქომაგი არ ხარ, სახლში ჯდომა მომაკვდინებელი ცოდვაა. „ბარსამ" ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონში ყველაფერი მოიგო რისი მოგებაც შეიძლებოდა. ბოლო ფიესტა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მგზნებარე და შთამბეჭდავი აღმოჩნდა. კატალონიელებს მოლხენა ისე არ შეუძლიათ, რომ პოლიციასთან პრობლემები არ შექმნათ. შეხლა-შემოხლა გუშინაც გამორიცხა, მაგრამ ამ გენიალური მოვლენის ნეგატიური ფაქტებით გაფუჭება არ ღირს, ამიტომ, თავს უფლებას მივცემთ, მხოლოდ კარგზე ვილაპარაკოთ.

გუშინ ესპანეთის დროით 19:20 წუთზე ბარსელონის აეროპორტში გმირებით სავსე თვითმფრინავი დაეშვა. გუნდის გულშემატკივრებს შორის ყველაზე მეტად, ალბათ, იმათ გაუმართლათ, ვინც აეროპორტში მუშაობს და ასაფრენ ბილიკზე მისვლის უფლება აქვს. „პრატის" იღბლიანმა თანამშრომლებმა მათი გმირები პირველებმა ნახეს და ისეთი ოვაციები მოუწყვეს, ბიჭებმა ავტობუსში ჩასხდომას და ტერიტორიის დატოვებას თითქმის ნახევარი საათი მოანდომეს. ჩვეულებრივი მუშებით დაწყებული, აეროპორტის გენერალური დირექტორით დამთავრებული ყველა ფეხბურთელებს მისცვივდა და გულში ჩაიხუტა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩემპიონები საგანგებო საჩემპიონო ავტობუსში ჩასხდნენ და გაუდის ქალაქისკენ აიღეს გეზი. მილიონი ადამიანი ხუმრობა არ გეგონოთ. ხალხის ეს მასა ერთ და ორ ქუჩაზე

**ლეო მესი:** „პეპ გატყუებთ, ყველაზე ბედნიერი ადამიანი მე ვარ. მიყვარხართ, ბარსელონა. მიყვარს მილიონობით ადამიანი, რომლებიც ახლა, ამ ქალაქში და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ხარობს. ჩვენ მთელ პლანეტაზე გვქომაგობენ. უკლებლივ ყველას დიდ მადლობას მოვახსენებ, რომ „ბარსას" ერთგულნი არიან. ამ დღემდე ყველა ერთად მოვედით. ჩვენ ახალი ისტორია შევქმენით. ისტორია, რომლითაც „ბარსელონას" უამრავი თაობის ინჩასი იამაყებს. ეს ჯერ კიდევ არაფერია, მომავალი სეზონების დასრულების შემდეგ ისევ აქ შევიკრიბებით და ისევ ვიზეიმებთ. წელს ყველა ტიტული ჩვენ მოვიპოვეთ, ეს კი იმის დადასტურებაა, რომ „ბარსელონა" მართლა მსოფლიოს საუკეთესო კლუბია. მადლობა ღმერთს ამ დღისთვის და მადლობა თქვენ, რომ ჩვენი გჯეროდათ და ამ გენიალურ დღეს ელოდებოდით. მიყვარხართ!"

**ჟერარდ პიკე:** „გამარჯობა, ბარსელონა! მე თქვენი ფანი ვარ. თქვენით ვარსებობ და თქვენით ვსუნთქავ. მე ვერ ვაცნობიერებ, რა გავაკეთეთ და რამხელა წარმატებას მივაღწიეთ. ამას რომ მიხვდე, დრო უნდა გავიდეს. ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მეხსიერებული ვარ, რამდენიმე დღეში კიდევ უფრო ბედნიერი ვიქნები. ქუჩაში რომ შემხვდებით, მოდით და გამომაფხიზლეთ, იმიტომ, რომ მე ახლა ამ ქვეყანაზე არ ვარ. თითქოს კოსმოსიდან გელაპარაკებით. დიდება „ბარსას", დიდება კატალონიას!"

**ჟოან ლაპორტა:** „მესიმ გითხრათ, გვარდიოლა გატყუებთო, თუმცა თავად ლეოც პატარა თაღლითია. ყველაზე ბედნიერი ადამიანი მე ვარ. სამი წლის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში ისევ „ბარსელონამ" გაიმარჯვა. ამით დიადი ისტორია შევქმენით. „ბარსა" ყველაზე პრესტიჟულ კლუბად ვაქციეთ. ჩემს არსებობას აზრი ჰქონია. ახლა უკვე ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ ტყუილად არ დავბადებულვარ. საპრეზიდენტო თანამდებობიდან თავაწეული წავალ. დღეს მეტს ველარ ვილაპარაკებ, ემოციებს ვერ ვუმკლავდები. გაუმარჯოს „ბარსელონას"

ილია ნიკოლაიშვილი




(გაგრძელება)

ალბათ, საქმე ბრწყინვალედ იქნებოდა, ყველაფერი ასე მარტივად რომ ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ცნობილია, მედალს ორი მხარე აქვს. ასეც შეიძლება ითქვას: ფრანგული ფეხბურთის ლიდერი **მიშელი პლატინი** აპირებს თავს მოახვიოს თავისი სტრატეგია გუნდს, რომელშიც მსოფლიოს ექვსი ჩემპიონი თამაშობს, ანუ ექსტრაკლასის ექვსი ფეხბურთელი - ისინი სულაც არ აპირებენ საფეხბურთო მოედანზე ფრანგი ემიგრანტის პრეტენზიებს დაემორჩილონ. მიშელ პლატინიმ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოაგვაროს ეს საკითხი, თუ არ სურს საცოდავად გამოიყურებოდეს მინდორზე, სადაც უმოწყალო და დაუნდობელი იტალიური კალჩო ბატონობს. მოგვიანებით მე ვაღიარებდი: „კალჩოში ერთი წელი საფრანგეთის ათ ჩემპიონატს უდრის“. მაშინ ვერც კი წარმომედგინა, რამდენად მართებული იყო ეს მოსაზრება.

საბედნიეროდ, პინოტორინეზეს კვარტალში გადასახლებამ სულიერი სიმშვიდე მომიტანა. ეს სწორედ იმ მომენტში მოხდა, როცა კალჩოს პირველ მატჩებში „იუვეს“ შემადგენლობაში დამკვიდრებას ვცდილობდი.

**კრისტელი** უბრალოდ ალმერთებს ჩვენს ახალ ოჯახურ კერას. საკუთარი ფსიქოლოგიური წონასწორობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კრისტელი, ჩემი გოგონა **მარინა**, რომელიც მალე ორი წლის შესრულდება და ოთხი წლის ვაჟი **ლორანი** აქ ჩემთან, იტალიაში თავს კარგად გრძნობდნენ. მათ გარეშე ვერ ვიქნები ნამდვილი მიშელ პლატინი, თავს ვერ გამოვიჩენ დრიბლინგით, გამომეპარება სახიფათო მომენტები და უამრავ ჯარიმას გავაფუჭებ.

ერთი მხრივ, სასარგებლო იყო „სენტ ეტიენში“ „შავი სალაროს“ ცნობილი სკანდალი, სადაც შევძელი საკუთარი სიმართლის დამტკიცება: მივხვდი, რომ ყოველთვის შემიძლია ნებისმიერ სირთულეს გავუმკლავდე. და მით უარესი, თუ ეს სკანდალი „მწვანეების“ დაცემის მიზეზი გახდა... ის, რაც ფრანგულმა ფეხბურთმა დაკარგა, არანაირად არ შეედრება იმას, რაც მე მოვიგე ადამიანური თვალსაზრისით.

პინოტორინეზეს კვარტალი ტურინის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მდინარე პოს საპირისპირო მხარეს, დიდ პარკში ორი ტაძარი მოჩანს. სწორედ მათ ზემოთ მდებარეობს პინოტორინეზეს ბორცვი. აქ სიჩუმეს დაუსადგურებია და მხოლოდ ერთი გზით შეიძლება ამ უბანში მოხვედრა. სწორედ აქ მდებარეობს ჩემი რეზიდენცია. ის გარშემორტყმულია მავთულის ბადით, რომელშიც ძაბვა გადის. ბადის მეორე მხარეს დიდი ძაღლი დასეირნობს. მას ევალება თავისი მრისხანედ იყეფოს და ტიფოზების ალტკინება ჩააცხროს, რომლებიც აქ ავტოგრაფის მისაღებად შემოიპარებიან ხოლმე, ან დააფრთხოს „წითელი ბრიგადის“ წევრები, რომლებიც ჩემი ოჯახის რომელიმე წევრის მოტაცებისა და შემდეგ ფულის გამოძალვის იდეას შეუპყრია. უსაფრთხოების მაქსიმალური ზომების მიღება გადავწყვიტე და ამისთვის საიდუმლო თავდაცვის სისტემაც კი გამოვიყენე.

ჩვენი აპარტამენტები, რომლის მოწყობაც ჯერ დასრულებული არ არის, 350 კვადრატულ მეტრს მოიცავს. *„პლატინის, რა თქმა უნდა, ფულის პრობლემა არ აქვს!“*, - აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით რამდენიმე შურიანი ადამიანი. რა თქმა უნდა, პლატინის ფული მართლაც აქვს, მაგრამ იმის უნარიც გააჩნია, რომ სარფიანი საქმე წამოიწყოს. თორემ იმისთვის, რომ ამ 350 მეტრ ფართობზე იცხოვროს, დატკბეს სიმშვიდით, წესრიგით და სიმდიდრით, თვეში მხოლოდ შვიდი ათას ფრანკს უხდიან. ზოგიერთი შურიანიც, ალბათ, იმავე თანხას იღებს იმისთვის, რომ სადღაც ბულონის ტყის ბოლოში, 70 კვადრატული მეტრის სამოთახიან ბინაში იცხოვროს. ჩემი ბინა იმდენად დიდია, რომ სანამ აქ ავეჯს მოიტანდნენ, ვარჯიშიც კი მოვახერხე - ზუსტად 11 მეტრიდან ვასრულებდი პენალტებს.

საღამოობით, ფანჯრებიდან ალპების მთებში ჩამავალი მზის ულამაზესი პანორამით ვტკბებოდით. ბურღს ვირტუოზულად ვფლობ და სახლში თაროების დაკიდების პროცესს ვხელმძღვანელობ. კრისტელიც ცდილობს უსაქმოდ არ დარჩეს. ის ცოშს ებრძვის - ცდილობს გააკეთოს ისეთი როზიტო, რომელსაც „ილიოში“ - ტურინის ცნობილ რესტორანში მოგვართმევენ ხოლმე. ეს რესტორანი სწორედ ამ კერძით გახდა სახელგანთქმული. ამასთან, ფოტორეპორტიორების მიერ დაგებული ხაფანგების თავიდან ასაცილებლად, კრისტელი ფოტოხელოვნების საფუძვლების შესწავლას იწყებს. აქ, პინტოტორინეზეში ვისვენებთ, ხმაურიანი სენტ ეტიენიდან მოშორებით ძალებს ვიკრებთ, გიჟური კალჩოს წინ სრული სიმშვიდით ვტკბებით. არადა, უკვე ყოველდღიურად სულ უფრო მეტად იგრძნობა სეზონის მოახლოება. ჩვენი ერთადერთი მიზანია: აქ კარგად ვიგრძნოთ თავი, მე კი ამასთან ერთად, ბუცების ყოველი ჩაცმის შემდეგ, სულიერი სიმშვიდეც უნდა შევინარჩუნო.

ბრწყინვალე ადგილია. ის მოშორებულია საწარმოო ქალაქ ტურინის ცენტრს, რომელშიც ოთხჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე სენტ ეტიენში. აქედან სულ ერთი საათის სავალია ზღვის სანაპირომდე, ხოლო სათხილამურო მთებამდე მანქანით ნახევარ საათში მიაღწევ. გარდა ამისა, ტურინის ცენტრთან სიახლოვესაც აქვს თავისი დადებითი მხარეები. ეს ქალაქი ტელევიზიის მოყვარულებს 30 არხს სთავაზობს, რომელთაგანაც ერთ-ერთი ისეთი გახლავთ, რომელიც ყოველგვარ ზნეობრივ ნორმებს სცილდებოდა.

ვიდეომაგნიტოფონის ფანი ვარ და აქ ჩამოვიტანე ვიდეოკასეტების უძვირფასესი კოლექცია. როგორ ფილმებს ანიჭებს უპირატესობას მიშელ პლატინი? ნებისმიერ ჟანრს თუ მხოლოდ კლასიკას? ერთ-ორ ვესტერნს თუ არ ჩავთვლით, რომელიც ამ კოლექციაში შემთხვევით მოხვდა, მე მხოლოდ საფეხბურთო მატჩების კოლექციას ვქმნი. პროფესიული მიზეზების გამო, აქ ჩემი მატჩებიც მრავლად ურევია, მაგრამ პირველ რიგში, ეს კოლექცია ლამაზე სანახაობისთვის შევაგროვე, დაახლოებით ასი კასეტა მაქვს, რომლებშიც, სპეციალისტთა აზრით, საფეხბურთო შედევრებად მიჩნეული მატჩებია შესული. [illegible] შემიძლია მაგალითად, პარასკევს ან კვირა საღამოს ჩემს მყუდრო სახლში, კრისტელის (რომელსაც ამ დროს ჩემს მხარზე უდევს თავი და რაღაცაზე ოცნებობს) გვერდით მოვიწყო საფეხბურთო მატჩების ჩვენება. მე ეს უბრალოდ მჭირდება - ასეთი ჩვენებების შემდეგ, კალჩოს ყოველი ტურის წინ, ენერგიით ვიმუხტები. აქ ყოველი მატჩი ხომ გადამწყვეტია ჩემთვის - არის თუ არა მიშელ პლატინი ტიფოზების ახალი კერპი თუ ჯერჯერობით ისევ ის „ფრანჩეზეა“, რომელმაც ყველას იმედი გაუცრუა?..

## რთული დებიუტი

მოთამაშეს, რამდენად ძლიერი და პატივსაცემიც არ უნდა იყოს ის, მაინც უწევს გარკვეული სირთულეების გადალახვა, როცა აწყობილ გუნდში გადადის. მით უმეტეს, თუ ამ გუნდის ძირითად ბირთვს მსოფლიოს ჩემპიონები შეადგენენ.

*„რატომ ვერ იტანს უზუსტესი პასების მქონე პლატინი გოლებს ისე, როგორც ამას პაოლო როსი აკეთებს?“* - რთული შეკითხვაა, რომელსაც მატჩიდან მატჩამდე სვამს იტალიური პრესა. **პაოლო როსი**... მსოფლიოს ჩემპიონატის კერპი, იტალიური ფეხბურთის „დაჩაგრული ბიჭი“. საფეხბურთო ყალთაბანდობის ნამდვილი ოსტატი, რაც ყოველთვის მოსწონთ იტალიელებს. პაოლო როსი, რომელსაც 1982 წლის შემოდგომაზე უფრო მეტად ეთაყვანებოდნენ, ვიდრე **რივას, რივერასა** თუ **მაცოლას**. „კაპიტალისტ“ პლატინისა და „პროლეტარ“ **ბონეკის** ყველანაირი შედარებისა და დაპირისპირების შემდეგ, პრესამ პლატინისა და როსის სიტყვიერი დუელის პროვოცირება გადაწყვიტა. რა უნდა ვუპასუხო?

*„იმისთვის არ ვთამაშობთ, რომ პაოლო როსის გაბრწყინების საშუალება მივცე. ჩემი მიზანია, „იუვენტუსს“ გამარჯვებები მოვუტანო“.*

რისკიანი პასუხია, რადგან თუ ასეთი განცხადების შემდეგ, ვერც პაოლო როსი და ვერც „ბებერი სინიორა“ ვერ მოიგებენ, მიშელ პლატინი ისევ გახდება უბრალო ფრანგი, რომელმაც ზაფხულში, სევილიაში ტევტონური ხარის რქისგან მიყენებული ჭრილობის გამო, ფინალის საგზური ვერ მოიპოვა. რა შემიძლია ამის შესახებ ვთქვა? ის რომ, ჩემი აზრით, იტალიამ ფინალი გარკვეულწილად, საფრანგეთის დახმარებითაც მოიგო. იმიტომ, რომ გერმანელებმა ჩვენზე გამარჯვების მოსაპოვებლად უდიდესი ენერგია დახარჯეს. ამიტომაც, როცა იტალიის ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ გავიდნენ, ბურთის თამაშში შეყვანამდე ჰქონდათ ფინალი წაგებული. ჩემი აზრით, საქმე გერმანული ფეხბურთელების ფიზიკურ მდგომარეობაში იყო. გერმანელები, ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე გამოწურული ლიმონივით იყვნენ... აღარაფერს ვამბობ ესპანურ პუბლიკაზე, რომელიც საფრანგეთი-გერმანიის მატჩისა და **ბატისტონი-შუმახერის** სასტიკი დუელის წყალობით, საბოლოოდ ჩვენს მხარეს გადმოვიდნენ, შემდეგ კი საფრანგეთისთვის შურისმაძიებელ იტალიას მიემხრნენ.

და აი, მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამი თვის შემდეგ, „სტადიო კომუნალეზე“ ყოფილი მოკავშირეები სხვა გამარჯვებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ. სამართლიანობისთვის მებრძოლი როსი და „ობოლი“ პლატინი ყოვლისშემძლე და კაპრიზული იტალიური პრესის მიერ გაჩაღებული პოლემიკის გამო, საწინააღმდეგო ბანაკებში აღმოჩნდნენ. და როცა „ნაპოლისა“ და „იუვენტუსის“ კლასიკურ მატჩში მიშელ პლატინიმ საჯარიმოებიდან სამი საგოლე პასი გააკეთა, ტრანსალპიურმა გაზეთებმა ასეთი სათაური გამოიტანეს: „მიშელ პლატინი - ჩემპიონისიმო“. მათ დროებით დაივიწყეს ჩემი შეურაცხმყოფელი მეტსახელი - „ფრანჩეზე“. ეს სახელი იმ ემიგრანტის დასაცინად გამოიგონეს, რომელიც თავისი სამშობლოს სიყვარულის გამო ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, რომ ნაკრების მაისურა არ ჩაიცვას. ის ამას თავისი სიმშვიდისთვის აკეთებს...




*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**

ჩოგბურთი

# ნახევარი წლის მუშაობა შეაჯამეს

გუშინ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის გამგეობამ ექვსი თვის მუშაობა შეაჯამა. დღის წესრიგში 6 ძირითადი საკითხი იდგა: 1. ფედერაციის თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მონაწილეობის შესახებ; 2. დევისის თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მონაწილეობისა და შემდგომი მზადების შესახებ; 3. ასაკობრივ ჯგუფებში ევროპის ზამთრის გათამაშებაში მონაწილეობისა და შედეგების განხილვა; 4. ევროპის ზაფხულის ახალგაზრდულ ოლიმპიური ფესტივალისთვის საქართველოს ნაკრების შემადგენლობისა და მწვრთნელთა დამტკიცება; 5. აღმოსავლეთ ევროპის პირველობაზე 14 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა მონაწილეობის შესახებ; 6. 2012 წლის ლონდონის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების კანდიდატთათვის სხვადასხვა ტურნირზე მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, ჩოგბურთის ფედერაციასა და საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებათა განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.

საკითხები გულდასმით მოისმინეს და შეაფასეს. იყო კრიტიკული შეფასებებიც, თუმცა არც კარგის აღნიშვნა დავიწყებიათ. ყველა შეთანხმდა, რომ ქართულ ჩოგბურთს უჭირს და თაობათა ცვლა საერთო შედეგებზე ცუდად მოქმედებს. ეს განსაკუთრებით ვაჟთა ნაკრებზე ითქმის. **ირაკლი ლაბაძეს** ტრავმებმა იმდენად შეუშალა ხელი, რომ მან, ფაქტობრივად, დაასრულა ჩოგბურთელის კარიერა. ტრავმებმა გააწამეს **ლადო ჩიხლაძეც**. სამწუხაროდ, არც მომავალი თაობიდან ჩანს იმდენად გამოკვეთილი უნარ-ჩვევების მქონე ჩოგბურთელი, ვინც ლაბაძის დარად შეძლებს უძლიერესებთან პაექრობას. ბევრად უკეთესი ვითარებაა ქალთა ჩოგბურთში, ფედერაციის თასზე უძლიერესი შემადგენლობითაც იასპარეზეს, მაგრამ მათ რატომღაც დასახულ მიზანს, პირველ ჯგუფში აღზევებას ვერ მიაღწიეს. თუმცა არც მეტოქეები იყვნენ სუსტები და ამიტომ შედეგი დამაკმაყოფილებლად შეფასდა, თუმცა გამოითქვა იმედი, რომ გაისად აუცილებლად გადავლენ პირველ ჯგუფში. წარმატების საფუძველი ჩვენებურთა გაზრდილი ოსტატობა და გამოცდილების მატება უნდა გახდეს. დამსწრეებმა ყველაზე დიდი იმედი უმცროსი ასაკის გოგო-ბიჭების მისამართით გამოთქვეს. მათი აზრით, ასეთი ნიჭიერი თაობა, ათეული წლებია, ქართულ ჩოგბურთს არ ჰყოლია.

ჯერჯერობით არ არის გამოკვეთილი ნაკრების წევრები, - კონკურენცია დიდია და იქამდე, ვიდრე შეჯიბრების დრო მოაწევს, ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, ამიტომ ნაკრების წევრები არ დასახელებულა; მწვრთნელებად კი ისინი რჩებიან, ვინც წლეულს უხელმძღვანელა სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებს. ერთადერთი, სადაც დასახელდა ნაკრების წევრებიც და მწვრთნელიც, თოთხმეტ წლამდე ასაკის ნაკრებია, რომელიც წლეულს, ივლისში, ფინეთში ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. გოგონათა გუნდს **ანი გოგვაძე** და **ბარბარე ერისთავი** წარმოადგენენ, ვაჟებში კი **ალექსანდრე დავლიანიძე** და **ნიკა დოლიძე** დაიცავენ საქართველოს ღირსებას. ორივე ნაკრებს **გაგა დოლიძე** უხელმძღვანელებს.

ოლიმპიურ კომიტეტთან დადებული ხელშეკრულების მიმდინარეობა კი გეგმიურად ვითარდება და ის პირობები, რაც იყო გათვალისწინებული ჩოგბურთელთათვის, სრულდება.

სხდომაზე სხვადასხვა საკითხებიც გაითვალისწინეს, რომელთაგან რამდენიმე მართლაც უმნიშვნელოვანესი და სასწრაფოდ მოსაგვარებელია. მთავარი ისაა, რომ ამიერიდან ნებისმიერ ტურნირზე ჩოგბურთელებმა ჯანმრთელობის ცნობა უნდა წარადგინონ. სხვა შემთხვევაში მსურველნი ტურნირზე არ დაიშვებიან. სამედიცინო კონტროლი ერთჯერადი არ უნდა იყოს და ამ საქმეში ჩოგბურთის ფედერაციას დახმარება აღუთქვა გამგეობის წევრმა, სამედიცინო ცენტრის - „სიტი-ცენტრის" წარმომადგენელმა **დავით აბრამიშვილმა**. ცენტრი ჩოგბურთელთა სრულ და პერმანენტულ სამედიცინო შემოწმების დაპირებას იძლევა. გამახვილდა ყურადღება „მუდმივ ქართულ" პრობლემაზე - სპორტსმენთა არასათანადო ფიზიკურ მომზადებაზე. ამისათვის აღდგენითი საშუალებების მობილიზება და კომპეტენტური რეალიზებაა საჭირო. შეთანხმდნენ, რომ „სიტი-ცენტრისა" და სხვა სპეციალისტებთან ერთად ამ საკითხსაც მიაქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას და ქართველ ჩოგბურთელთა ფიზიკური კონდიციები საგრძნობლად გაძლიერდება.

საქმე მართლაც საშურია, მაგრამ მხოლოდ ფედერაციის მცდელობა ამ პრობლემას ვერ უშველის, - აუცილებელია კლუბების მხარდაჭერაც. ამიტომ ყველა ქართულ კლუბს დაეგზავნება შესაბამისი მიმართვა და იმედოვნებენ, რომ ინიციატივა მიღებული და გათავისებული იქნება.

**ზვიად შათირიშვილი**

# უამინდობა ბავშვებს აფერხებს

ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიის ღია პირველობის დასრულებისთანავე, დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი 12, 14 და 16-წლამდე ასაკის გოგონათა და ვაჟთა შორის. დღეისათვის ნახევარფინალური წყვილები ყველა ასაკში უნდა გამოვლენილიყო, მაგრამ უამინდობამ ჩემპიონატის რიტმი არია და ჩამორჩენის აღმოფხვრას დღეს ეცდებიან ორგანიზატორები, ცხადია, ამინდი კვლავ თუ არ გაჭირვეულდა. თორმეტწლამდელ გოგონებში მეტი მონაწილეა, ვიდრე ვაჟებში, ამიტომ შეჯიბრება მათ მეთექვსმეტედფინალიდან დაიწყეს, ვაჟებმა კი - მერვედფინალიდან. დღეისთვის ნახევარფინალისტები ცნობილია. ვაჟებში **გიორგი დათაშვილი ლექსო სვანიძეს** ხვდება, **ნიკოლოზ იორდანიდი** კი - **სანდრო სვანიძეს**. გოგონებში ასეთი ვითარებაა: **ნანო ჯანელიძე ელენე ყარანგოზიშვილის** დამარცხებას ეცდება, მეორე ნახევარფინალში **მარიამ ჭიჭაშვილი თამარ კუტუბიძეს** შეხვდება.

14-წლამდელ გოგონებში მხოლოდ მეოთხედფინალისტებია ცნობილი, ვაჟებში კი ოთხეული გამოკვეთილია - **სანდრო დავლიანიძე შოთა მეფარიძეს** შეხვდება, **ნიკო ხუბულური** კი **მიხეილ ხმიადაშვილს**. 16-წლამდელ გოგონებში **სალომე კვიტაშვილი თაკო კომახიძეს**, ხოლო **ბაბილინა მაჩაიძე ქეთი მებუკეს** დაუპირისპირდება. ვაჟებში **გიორგი ცივაძე ნიკა ციციშვილის** დასამარცხებლად გაირჯება, **დავით ხუციშვილი ნიკა დოლიძესთან** შეეცდება ფავორიტის სტატუსის დამტკიცებას. ცივაძე განთესვით პირველია, ხუციშვილი - მეორე და ამათი ამბიციები გასაგებია, თუმცა არც მათი მეტოქეებია განუთესავი - დოლიძე მეხუთეა, ციციშვილი კი - მეექვსე.

სხვათა შორის, ჩემპიონატში ძირითადად განთესილები ყოჩაღობენ, განსაკუთრებით ისინი, ვინც უმთავრესი ფავორიტები არიან.

ასე რომ, დღეს საკმაოდ საინტერესო შეხვედრებია.

**ზვიად შათირიშვილი**

# ქართველთა ფინალის მოლოდინში



ანა ტატიშვილი

იტალიის ქალაქ გრადოს საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) **მაკა ჩახნაშვილმა**, მისმა პარტნიორმა წყვილთა თანრიგში, ესპანელმა **სილვია სოლერ-ესპინოსამ** (198) ორ სეტში სძლიეს ესპანური დუეტს (**ესტრელა კაბესა** (169) და **მარტა მარერო** (659) - 7:5, 6:1 და მეოთხედფინალში პირველ ნომრად განთესილ წყვილზე (**კატალინა კასტანიო** (კოლუმბია, 297) და **კელი ანდერსონი** (სამხრეთ აფრიკა, 936)) გავიდნენ. ტურნირის წყვილთა ბადეში კიდევ ერთი ქართველია, **ანა ტატიშვილი** (176), რომელიც არგენტინელ **ხორხელინა კრავეროსთან** (161) ერთად მეორე ნომრადაა განთესილი. მათ მეოთხედფინალის საგზური უბრძოლველად ერგოთ, სადაც იტალიელი **ნატალი ვიერინი** (237) და სლოვენიელი **ანია პრისლანი** (901) დაამარცხეს - 6:3, 6:3. ასე რომ, ანა მაკასგან განსხვავებით უკვე ნახევარფინალშია გასული, მათი გზები მხოლოდ ფინალში შეიძლება გადაიკვეთოს.

ერთეულებში ჩვენებურთაგან მხოლოდ მაკა ჩახნაშვილი თამაშობს. მან **ანა ფლორისთან** (იტალია, 240) რიხით დაიწყო, პირველ სეტში 2:0 დაწინაურდა, თუმცა მასპინძელს წვიმა შეეშველა და თამაში გადაიდო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლისს იქით და ლისს აქეთ...

# სტადიონმა რა ჰქნა...

## საჩხერეში მძლეოსნობის აღორძინების ნიშანი გამოიკვეთა



საჩხერის რაიონის 32-დან 31 სკოლის გუნდი მონაწილეობდა მძლეოსნობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა რაიონულ ტურნირში. სამწუხაროდ, შეჯიბრებას თავი აარიდა პირველმა საჯარო სკოლამ. ლონისძიების ზეიმურობა აამაღლა საქართველოში ერთ-ერთმა საუკეთესო სპორტულმა ბაზამ, ძველმა საფეხბურთო სტადიონმა, რომელსაც „გარემონტებულზე" უფრო „ახალაშენებულის" სახელი შეეფერება. სხვათა შორის, სტადიონს 100 მეტრი სიგრძის სარბენი ბილიკიც აქვს. შეჯიბრება დაიწყო 30 მეტრზე გოგონების გარბენით. ფინიშთან პირველი საკმაოდ მაღალი შედეგით 5.1 - წამი მივიდა საირხის საჯარო სკოლის მესამეკლასელი **მარი შარვაძე**. ამ შედეგით მან ვაჟებსაც აჯობა. მეორე ადგილი საჩხერის მესამე საჯარო სკოლელმა **ეკა მაკასარაშვილმა** დაიკავა, მესამე იყო მახათაურის საჯარო სკოლელი **ნათია ყიფშიძე**. ბიჭებში კი ამავე დისტანციაზე ადგილები ასე განაწილდა: 1. **ბაჩო ჭილლაძე** (საჩხერის მეორე საჯარო სკოლა), 2. **ირაკლი ნოზაძე** (სისვაძეების საჯარო სკოლა), 3. **დავით აბაშიძე** (ჭალის საჯარო სკოლა). **60-მეტრი. გოგონები:** 1. **თამარ ლაბუჩიძე**, 2. **ანა ყაველაშვილი** (ორივე - სავანის საჯარო სკოლა), 3. **შორენა გულიაშვილი** (ჩიხის საჯარო სკოლა);

**ბიჭები:** 1. **გიორგი შუკაკიძე**(საჩხერის მეორე საჯარო სკოლა), 2. **გურამ თოდაძე** (საჩხერის მესამე საჯარო სკოლა), 3. **გოგიტა ლონლაძე** (სავანის საჯარო სკოლა); **100 მეტრი. გოგონები:** 1. **ქეთევან ფხალაძე** (საჩხერის მეორე საჯარო სკოლა), 2. **თინა ბერიძე** (ჭალის საჯარო სკოლა), 3. **ნინო კაპანაძე** (ჩიხის საჯარო სკოლა); **ბიჭები:** 1. **თორნიკე მუმლაძე** (საჩხერის მეორე საჯარო სკოლა), 2. **ირაკლი დვალი** (ჭორვილის საჯარო სკოლა), 3. **ნიკა არჩვაძე** (საჩხერის მესამე საჯარო სკოლა).

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა საჩხერის მეორე საჯარო სკოლამ, მეორე იყო სავანის, მესამე-საირხის საჯარო სკოლა.

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ.

**თამაზ ლაშხი,**
ტურნირის ორგანიზატორი

უნივერსიადა 2009 თბილისი



# პირველი თსუ, მეორე ჭავჭავაძე

უნივერსიადა 2009-ს ეგიდით შავი ზღვის უნივერსიტეტის ეზოში ქუჩის კალათბურთის, სტრიტბოლის ტურნირი ჩატარდა ათი უმაღლესი სასწავლებლის მონაწილეობით. გუნდები ორ ქვეჯგუფში გადანაწილდნენ. ჯგუფური ეტაპის თამაშების შემდეგ გუნდები ასე დალაგდნენ: ა ჯგუფი - 1. თსუ, 2. სტუ, 3. თავისუფალი, 4. საავიაციო, 5. სამხატვრო. ?ჯგუფი - 1. ჭავჭავაძე, 2. სასოფლო, 3. IBSU, 4. საქართველო, 5. სამედიცინო.

ნახევარფინალში თსუ-მ აგრარული 12:9 დაამარცხა, ხოლო ჭავჭავაძემ სტუ-ს 11:3 აჯობა. მე-3 ადგილისათვის მატჩში სასოფლო სტუ-ზე ძლიერი აღმოჩნდა - 12:11, ფინალში კი თსუ-მ ორიოდ წუთში 8-ბურთიანი სხვაობით დაწინაურების შედეგად - 11:3 მოუგო ჭავჭავაძის უნივერსიტეტს. გამარჯვებულები და პრიზიორები საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა - **ნიკოლოზ ამაშუკელმა** დააჯილდოვა.

### მილოცვა



**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 65 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს ვეტერან ძიუდოისტს და სამბისტს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ღირსების ორდენოსანს ჯემალ ნათელაშვილს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



ბურთით გიორგი ცინცაძე

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

# საქართველოს ნაკრების ადგილი A დივიზიონშია

## როცა მოედანზე ორი ქართველია...

**გიორგი ცინცაძემ** და ვიქტორ სანიკიძემ ესტონეთის ჩემპიონატის მეოთხე ფინალურ მატჩში ერთობლივად 42 ქულა ჩააგდეს, მეტოქის 12-მა კალათბურთელმა კი სულ 49 ქულა მოაგროვა. "როკის" მიერ "კალევის" ძლევას ესტონეთში არაერთი სტატია მიეძღვნა, ზოგმა მიმოხილვას სათაურად "ქართველების სუპერშოუ" დაარქვა... "როკის" მწვრთნელმა ინდრიკ ვესპაანუმ ჩვენიანების თამაში ასე შეაფასა: *"გიორგიმ და ვიქტორმა დამაჯერებლად ითამაშეს. მათ გადამწყვეტ ეპიზოდებში ყველაფერი გამოსდიოდათ. "კელევის" დამარცხება დისციპლინის ხარჯზე მოვახერხეთ".*

მეოთხე ფინალის შემდეგ კიდევ ერთხელ გაიზარდა ინტერესი სანიკიძე-ცინცაძის მიმართ. ევროპის მთავარმა საკალათბურთო საიტმა, "ევრობასკეტმა" ტარტუში თავისი კორესპონდენტი აფრინა და გიორგი ცინცაძესთან ინტერვიუს ჩაწერა დაავალა.

**- თავდაპირველად "კალევთან" მეოთხე მატჩზე ვთქვათ, რომელშიც 20 ქულა ჩააგდე...**

- როცა ორი ქართველი თამაშს აწყობს, მათ ბევრის გამწარება შეუძლიათ. დღეს სათადარიგოთა სკამიდან დიდი დახმარება მივიღეთ. ბოლო ორი მატჩი ვიქტორ სანიკიძემ შესანიშნავად ჩაატარა. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გვესმოდა, რომ მეოთხე შეხვედრის წაგების შემთხვევაში მეტოქე 3:1 დაწინაურდებოდა და ჩემპიონობას დაგვაკარგვინებდა. ამიტომ მატჩის სათამაშოდ მობილიზებულნი გამოვედით და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

**- როგორ ფიქრობ, ესტონეთის ჩემპიონობას ზედიზედ მეორედ მოიპოვებთ?**

- მოგება გულით გვინდა, მაგრამ ამჯერად ჩემპიონობა წინა წლებთან შედარებით რთული იქნება. წლეულს "კალევს" შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავს. ვფიქრობ, ბრძოლა ბოლო მატჩის უკანასკნელ წამებამდე გაგრძელდება. როგორც გამთამაშებელს, სერიოზული მისია მაკისრია – თამაშის ორგანიზება, ასევე ქულების მოგროვება და დაცვაში მტკიცე თამაში. ვფიქრობ, თუ მომდევნო მატჩებშიც ისეთ დაცვას ვითამაშებთ, როგორიც - მეოთხე შეხვედრაში, საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

**- წლეულს წარმატებული სეზონი გქონდა. ჯერ ბალტიის ლიგის ფინალურ ოთხეულში ითამაშე, ახლა ესტონეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში ანგარიში გაათანაბრეთ...**

- ამ სეზონში მართლაც ბევრმა თამაშმა მოგვიწია. ბალტიის თასზე მესამე ადგილის დაკავება ჩვენი კლუბისთვის წარმატება იყო. ასევე გამარჯვებით ვაპირებთ ესტონეთის ჩემპიონატის დასრულებას. რა გამოგვივა, უახლოესი მატჩები გვიჩვენებს.

**- გითამაშია საქართველოში, ესტონეთსა და რუსეთში. იქნებ მათი ლიგები შეგვედარებინა...**

- ესტონეთის პირველობა წლიდან წლამდე საინტერესო ხდება და დონეც ზემოთ იწევს. აქ რამდენიმე მართლაც კარგი გუნდია, მაგრამ რუსეთის ჩემპიონატის მონაწილე კლუბებს ვერ შევადარებ. იქ გაცილებით დიდი ფული ტრიალებს და დიდი გუნდებიც თამაშობენ. რაც შეეხება საქართველოს პირველობას, ჩვენთან უამრავი ნიჭიერი კალათბურთელია, თუმცა დღემდე ბევრი პრობლემაა...

**- ბოლო დროს საგრძნობი პროგრესი განიცადე. გადაიქეცი როგორც "როკის" ერთ-ერთ მთავარ მექულედ, ასევე ემოციურ ლიდერად...**

- ესტონეთში მესამე სეზონს ვატარებ. პირველი წლის შემდეგ მართლაც ბევრი რამ შეიცვალა. თითო სეზონში 60-70 მატჩის ჩატარება მიწევს, რაც გამოცდილებას მმატებს.

**- სამომავლო გეგმებზე რას იტყვი?**

- ჯერ არაფრის თქმა შემიძლია. ვერც იმას ვიტყვი, კარიერას სად გავაგრძელებ, მაგრამ სადაც უნდა წავიდე, სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არ ვაპირებ. ისეთ გუნდში გადავალ, სადაც თამაში მომიწევს. ესაა ჩემთვის მნიშვნელოვანი.

**- რუსეთში დაბრუნებას ხომ არ აპირებ? ან, NBA-ში მოხვედრაზე ხომ არ ფიქრობ?..**

- მინდა მაღალი დონის ლიგაში ვითამაშო, ძლიერ კლუბში... მნიშვნელობა არ აქვს, ესპანეთში წავალ, იტალიაში, თუ - რუსეთში. NBA-ში მოხვედრა კი ყველა კალათბურთელის ოცნებაა. არც მე ვარ გამონაკლისი.

**- საქართველოს ნაკრები B დივიზიონში თამაშობს. აგვისტოში საკვალიფიკაციო მატჩები გელით. როგორ ფიქრობ, მწვრთნელ იგორ კოკოშკოვთან ერთად 2010 წლის ევროპის ჩემპიონატზე თამაშის რა შანსი გაქვთ?**

- ამ ზაფხულს მნიშვნელოვანი ბრძოლები გველის. ვიმედოვნებ, ბოლოს და ბოლოს, A დივიზიონის საგზურს მოვიპოვებთ. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრების ადგილი სწორედ ელიტაშია. გვყავს ნამდვილად კარგი მწვრთნელი და შემადგენლობაც ძლიერია, რაც წარმატების იმედს მაძლევს.

**- ბოლოს, რას უსურვებ ესტონელ და ქართველ გულშემატკივრებს?**

- ვუსურვებ მოგებებს...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭიდაობა

ინტერვიუ ოთარ თუშიშვილთან

# ქომაგს კიდევ ბევრჯერ გავახარებ

## სულ მალე თუშიშვილი ვარჯიშს შეუდგება

**პეკინის ოლიმპიადის შემდეგ, ტიტულოვანი გორელი ფალავანი ოთარ თუშიშვილი საჭიდაო ხალიჩაზე აღარ გვიხილავს. ოლიმპიადის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის მედალოსანი უკვე ათი წელიწადია, საქართველოს ნაკრებში ქომაგს უამრავი წარმატებით ახარებს. თუმცა ტრავმის გამო ადრეც არაერთი დიდი ტურნირი გაუცდენია, ახლაც იმავე მიზეზით მოუხდა რამდენიმე თვით იძულებითი შესვენება. როგორ გრძნობს თავს ახლა ფალავანი და რა გეგმები აქვს?**

— პეკინის ოლიმპიადის შემდეგ საერთოდ აღარ მიჭიდავია. რამდენჯერმე დავიწყე მომზადება სხვადასხვა ტურნირის წინ, მაგრამ ბოლო მომენტში ტრავმა მაინც მახსენებდა თავს. ახლა ძალიან მინდოდა ბალავაძის ტურნირზე მეჭიდავა, მაგრამ ვარჯიშებზე კისრის ძველი ტრავმა ისევ გამიმიზეზდა. ამჟამად გაჯანსაღების პროცესი კარგად მიდის. ცოტა ხანში ისევ უნდა შევუდგე ვარჯიშს. იმედი მაქვს, მსოფლიოს ჩემპიონატამდე დაგეგმილ საერთაშორისო ტურნირებში ვიასპარეზებ. ძალიან მინდა ჩვეული ფორმა სრულად ალვიდგინო და მსოფლიო პირველობაზე გავიდე - გვითხრა ოთარმა.

**— ორჯერ თურქეთში მაინც მოახერხე საკლუბო შეჯიბრებაზე გეასპარეზა.**

— თურქებმა თავდაპირველად ოლიმპიადის შემდეგ დამიძახეს. იქ გაირკვა, რომ 55 კგ-შიც სჭირდებოდათ ფალავანი და მოგვიანებით ჩვენი ნაკრების წევრი ბესიკ გოჩაშვილიც დაიმატეს. დიახ, თურქეთში ორჯერ ვიასპარეზე. ტრავმის გამო ბოლოს იქაც ველარ ჩავედი. კლუბი „ამასია შაქარსპორი" ერთობ ტიტულოვანია, უკვე ორი წელიწადია ქვეყნის ჩემპიონობას არ თმობს. თურქეთში მაღალი დონის საკლუბო ჩემპიონატი იმართება. მათი სპორტსმენებიც მსოფლიოში გამორჩეულნი არიან, ჰყავთ ლეგიონერებიც.

**— თქვენს კლუბში სხვა ლეგიონერებიც არიან?**

— არა. მხოლოდ მე და გოჩაშვილი ვართ უცხოელები.

**— ვიდრე შენ არ ჭიდაობდი, ვითარება შეიცვალა - ახლა უკვე საქართველოშიც გაქვს შენს წონაში კონკურენცია დასაძლევი.**

— რასაკვირველია, ვიდრე მე იძულებით ვისვენებდი, ახალგაზრდა ფალავნებიც გამოჩნდნენ და ზოგი გამოცდილიც კვლავინდებურად იბრძვის ამ წონაში ფავორიტობისათვის. ცხადია, მიუხედავად ჩემი ტიტულებისა, ნაკრების თავკაცები უპირობოდ ვერ ჩამსვამენ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გუნდის შემადგენლობაში. ამისათვის შრომაა საჭირო. თავდაუზოგავი შრომა კი ჩემთვის არასოდეს ყოფილა უცხო.

**— შენი ერთ-ერთი კონკურენტი, ასევე გორის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზის აღზრდილი მალხაზ მუზიაშვილიცაა...**

— დიახ ერთ-ერთი კონკურენტი, თუ პირველი არა, ისიცაა. მალხაზმა წლეულს საქართველოს ჩემპიონატი მოიგო, შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. არადა, მასაც ტრავმის გამო ბევრი დრო გაუცდა, თუმცა ფორმაში ჩადგომისთანავე კარგად წარმოაჩინა თავი. მალხაზი ჩემი მეგობარია, თუმცა ხალიჩაზე კონკურენტიცაა. მოკლედ, ხალიჩაზე გაირკვევა, თუ ვის გამოუცხადებს მთავარი მწვრთელი ნდობას მსოფლიოს ჩემპიონატისათვის.

**— მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვეა არ გიასპარეზია, ალბათ საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენებს მაინც არ ტოვებ უყურადღებოდ. აკვირდები, უცხოეთში შენი სავარაუდო კონკურენტები როგორ ფორმაში არიან?**

— თუ საშუალება მაქვს, შეჯიბრება ტელევიზიით ვნახო, ამის შანსს არ ვუშვებ. დეტალურად ვეცნობი თუნდაც ნაკლებად მასშტაბური საერთაშორისო ტურნირების ტექნიკურ შედეგებსაც კი. რასაც კონტინენტის ჩემპიონატზე ვუყურე, მაფიქრებინებს, რომ ჩემს წონაში (ევროპაში) ვითარება ბოლო ხანებში მკვეთრად შეცვლილია. ვფიქრობ, კონკურენცია შედარებით შესუსტებულია. მაგალითად, რუსეთს 66 კგ-ში გამოკვეთილი ფავორიტი აღარ ჰყავს. რა თქმა უნდა, ეს ნაკრები ყოველთვის გამოირჩევა ძლიერი ფალავნებით, მაგრამ მომეჩვენა, რომ ისეთი ძლიერები, როგორიც უწინ, მაგალითად, მურთაზალიევი იყო — აღარ ჰყავთ. გამორიცხული არ არის, რუსებს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ერთგვარი სიურპრიზიც ჰქონდეთ მომზადებული (ასეთები კარგად ეხერხებათ). გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ევროპის მიღმაც არიან ძლიერი საჭიდაო ქვეყნები და მათაც აქვთ პრეტენზია საპრიზო ადგილებზე.

**— გამოცდილი სერაფიმ ბარზაკოვი აღარაა ანგარიშგასაწევი ძალა?**

— ბარზაკოვი, მართალია, გამოცდილია და ტიტულოვანი, მაგრამ მგონი მალე ჭიდაობისათვის თავის დანებებას აპირებს. საკმაოდ ასაკოვანია.

**— მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ემზადები და აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპის პირველობისაგან განსხვავებით, მსოფლიოზე გაცილებით ბევრი ტიტული გაქვს მოპოვებული. ცოტა უცნაური ხომ არაა?**

— შესაძლებელია, მაგრამ გარკვეულწილად ლოგიკურიცაა, ვინაიდან მსოფლიო პირველობებისაგან განსხვავებით, მიზეზთა გამო, ევროპის ჩემპიონატი ბევრჯერ მაქვს გამოტოვებული.

**— ... და მსოფლიოზე ბოლო სამი წელიწადია, უმედლოდ არც ერთხელ არ დარჩენილხარ, თუმცა ოქრო ჯიუტად „აგვიანებს"...**

— ორჯერ ბრინჯაოს და ერთხელ ვერცხლის მედლები მოვიპოვე. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ შევძელი ჩემპიონობა, თუმცა ამას თავისი მიზეზები აქვს. გარკვეულწილად ფორტუნაც უნდა გწყალობდეს ადამიანს — იქ წაგებული შეხვედრებიდან დიდი უპირატესობით არც ერთში არ დავმარცხებულვარ.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მსაჯების ფაქტორიც. ცუდია, რომ ამ პრობლემას ბოლომდე ჯერაც ვერ მოევლო. მსაჯებს, თუ ჩემი დაჩაგვრა აქვთ განზრახული, მაშინ მეტოქეს, როგორც იტყვიან, ორი-სამი თავით უნდა ვჯობდე, რომ საკუთარი შესაძლებლობები შედეგში ავსახო. ამ შემთხვევაში, აშკარა ტენდენციურობაზე რეფერი ძნელად თუ წავა. მაგრამ დამეთანხმებით, არ არის იოლი, ასეთი დონის შეჯიბრებებზე მონინაალმდეგესთან შედარებით მუდამ შესამჩნევად მაღლა იდგე.

**— პეკინის ოლიმპიადის წინ ჩვენთან საუბარში განაცხადე, რომ ოლიმპიადების დასრულების შემდეგ ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს რაღაცა ძალიან დიდი დასრულდა და ისევ ახალი, უმნიშვნელოვანესი პროცესი იწყება. პეკინის შემდეგაც იმავეს განიცდი?**



— ახლა ოდნავ განსხვავებულად ვფიქრობ ამაზე. პეკინის შემდეგ ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპი ჩემთვისაც კი დაიწყო, მაგრამ ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ვიდრე ლონდონი 2012-ზე ვიფიქრებდე, წინ სხვა მნიშვნელოვანი ტურნირებია. უპირველესად მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლის მოპოვებაზე ვოცნებობ!

**— ასე რომ, ლონდონის ოლიმპიადა შენს გეგმებში შედის?**

— ძალიან მინდა, მომდევნო ოლიმპიადაზეც ვიასპარეზო, თუმცა მანამდე დიდი დროა. უკვე 30 წლის ვარ, კარიერის მიწურულისკენ მივდივარ. სწორედ ამის გამო მინდა, რომ როგორც კი ტრავმას მოვიშუშებ, ყველა მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე გამოვიდე. მხოლოდ მონაწილეობას არ ვგულისხმობ. კარიერას მაშინ დავასრულებ, როცა ამას საჭიროდ ჩავთვლი. რა თქმა უნდა, ბევრი სპორტსმენია, ჩემზე გაცილებით უფროს ასაკში რომ განაგრძობს ასპარეზობას, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ დროს მათ უკვე უჭირთ შედეგის ჩვენება. მე ასე არ ვგეგმავ. მთავარია, რომ საკუთარი თავის ჯერაც მეიმედება. მინდა, კვლავაც ბევრჯერ გავახარო ჩემი და, საერთოდ, ქართული სპორტის გულშემატკივარი.

**ვასილ ბალახაძე**

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური



# ორი მარცხი რუსებთან

კორეის დედაქალაქ სეულში მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის პირველივე დღეს დაასრულა ასპარეზობა პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა ქალთა შორის **საქა-რთველომ.** ჩვენმა ფრენბურთელებმა სამი შეხვედრიდან ორში მარცხი განიცადეს და ტურნირს გამოეთიშნენ.

პირველ შეხვედრაში საქა-რთველო, რომელიც ტურნირზე მე-20 ნომრად იყო განთესილი, მე-13 ნომერ ნორვეგიელებს **ნილას** და **ინგრიდს** შეხვდა და ორ სეტში დაამარცხა - 24:22, 21:17.

მეორე რაუნდში ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე, ტურნირის ფავორიტი, მე-4 ნომრად განთესილი ბრაზილიური წყვილი **ტალიტა** და **ანტონელი** იყო. როგორც ივარაუდებოდა, გამარჯვება ბრაზილიელებს დარჩათ. მათ საქა-რთველოს მოსაგებად ორი სეტი ეყოთ- 21:16, 21:15.

ვინაიდან, კორეის ყოფილი პრეზიდენტის გარდაცვალების გამო, დღეს გლოვაა გამოცხადებული, ფრენბურთელებმა მესამე რაუნდის შეხვედრებიც გუშინ გამართეს. საქა-რთველომ მესამე მატჩში რუსულ დუეტთან (**ბრატკოვა-უკოლოვა**), რომელიც ტურნირზე 30-ე ნომრად იყო განთესილი, სამ სეტში დამარცხდა- 16:21, 24:22, 12:15.

ამრიგად, საქა-რთველომ ტურნირზე მე-17 ადგილი დაიკავა და 120 პრემიალური ქულა მიიღო.

ორი შეხვედრიდან ერთი მოიგო პოლონეთის ქალაქ მიშლოვიცეში ვაჟთა შორის ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ.** პირველ მატჩში ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც შეჯიბრებაში 22-ე ნომრად არიან განთესილნი, საკმაოდ ძლიერ გერმანულ დუეტს, მე-11 ნომრად განთესილ **ერდმანსა და ვინდშოიფს** სძლიეს ორ სეტში - 21:15, 21:14.

მერე გზად გეორ-გიას აქაც რუსული წყვილი გადაეყარა. პირველ სეტში ჩვენმა ფრენბურთელებმა მე-6 ნომრად განთესილი **ბარსუკი** და **კოლოდინსკი** - 21:18 დაამარცხეს. მაგრამ მეორე სეტი იოლად დათმეს - 14:21. ტაი ბრეიკზე რუსები უფრო ყურადღებით გაისარჯნენ და 15:12 მოიგეს.

გეორ-გია მორიგ შეხვედრას დღეს გამართავს 28-ე ნომრად განთესილ კანადურ წყვილთან (**რედმანი-ვან ჰოიზენი**). ჩვენს ფრენბურთელებს ნაგების უფლება აღარ აქვთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

შეხვედრა წარსულთან

# მოგვერდი, ფანდიც რამ არი...

ვის არ სმენია **არსენ მეკოკიშვილის, დავით ციმაკურიძის, გივი კარტოზიას, ვახტანგ ბალავაძის, ვლადიმერ რუბაშვილის, რომან რურუას, ლევან თედიაშვილის, მირიან ცალქალამანიძის, გურამ სალარაძის** და სხვა სახელმოხვეჭილ მოჭიდავეთა სახელები. ისინი თავიანთი ოსტატობით განაცვიფრებდნენ ყოვლისმნახველ ფრანგებს თუ იაპონელებს, ავსტრალიელებს თუ კანადელებს. არენაზე ჭიდაობის ამ გიგანტების გამოჩენას მქუხარე ოვაციებით ხვდებოდა ათასობით გულშემატკივარი. ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ ამ სახელოვან სპორტსმენთა მიერ გაკვალულ გზას თამამად მიჰყვება ჩვენი მკვიდრი, ჯერ კიდევ მსოფლიო სახელის მქონე გრანდებთან შერკინების ჟინით ანთებული ახალგაზრდა... თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ახლა ცოტა უკან დავიხიოთ და გონების თვალი თბილისის ცნობილ საჭიდაო არენებს: იტალიის ბაღს, ხუდადოვის ტყეს, ნიკიტინისა და ტრუცის ცირკებს მოვავლოთ, სადაც ჩვენს ფალავნებს არაერთი მსოფლიოში ცნობილი და ბეჭდაუდებელი გოლიათი წაუქცევიათ. ჩვენდა საამაყოდ რევოლუციამდელი საქართველოს ლეგენდარულ მოჭიდავეთა სახელოვან კოჰორტას ამშვენებს **ნესტორ ესებუაც**, რომელიც იმ რანგის მოჭიდავედ შეიძლება შეირაცხოს, როგორებიც იყვნენ **დავით ხიზამბარელი, კულა გლდანელი და კოსტა მაისურაძე.**

**ვახტანგ სიდამონიძე** ქართულ ასპარეზობათა ქრონიკებში წერს: „გლდანელსა და ესებუას შორის უკანასკნელი შეხვედრა მოხდა 1888 წელს ეგრეთ წოდებულ „იტალიის ბაღში". ეს მეტად საინტერესო ასპარეზობა ესებუას გამარჯვებით დამთავრდა. გაზეთი „თეატრი" ამის გამო თავის მკითხველებს აუწყებდა: „წარსული კვირის ჭიდაობა დიდ ინტერესს წარმოადგენდა ფიზიკური ღონის მოყვარულთათვის. სახელგანთქმული კულა გლდანელი უნდა დასჭიდებოდა ახალგაზრდა, გლდანელზე არა ნაკლებად იმერეთში სახელგანთქმულ მეგრელ ნესტორ ესებუას... საღამოს ხუთი საათი იყო, როცა გამოვიდნენ მოწინააღმდეგე მოჭიდავენი, ორივე მშვენიერი, ტანადი, მხნე და მამაცი. მაყურებელს სიამოვნებით ევსებოდა გული. გლდანელმა სამჯერ ზურგული უყო ესებუას და თითქმის წაქცეულიც ჰყავდა, მაგრამ ცქვიტი და მარჯვე მეგრელი მაშინვე ფეხზე წამოდგა და ხელახლა შეეჯახნენ. მეორედ მოგვერდი უყო გლდანელმა, მაგრამ ესებუა ისევ ფეხზე იდგა. მესამედაც წააქცია გლდანელმა, მაგრამ აქაც კატასავით წამოხტა ესებუა, ჰკრა ხელი გლდანელს, ერთ წუთს პირალმა გადააქცია. გლდანელსაც უნდოდა ესებუასავით ზეწამოდგომა, მაგრამ გაუძნელდა. ესებუამ მძიმედ დასცა. მივიდა ხალხი და გააშველეს. ატყდა ყაყანი, მომეტებულნი ამბობდნენ, რომ ესებუამ გაიმარჯვაო, ზოგნი კი ამბობდნენ გლდანელმა აჯობაო".

გაზეთ „თეატრის" იმავე ნომერში გამოქვეყნდა ქართველი მესტვირის **კირვალიძის** შაირ-ლექსი: „კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას ჭიდაობა", რომლის მცირე ნაწყვეტს მკითხველებს ვთავაზობთ:

„აჰა, გათავდა ყოველი,
ხალხმა დასძახა ურაო.
ამ ჩვენმა ესებუამა
ქვეშ ამოიდო კულაო".

ლეგენდარულმა ნესტორ ესებუამ მონაწილეობა მიიღო პეტერბურგში გამართულ მსოფლიო მოჭიდავეთა ჩემპიონატში, სადაც წააქცია თითქმის ყველა მსოფლიო სახელის მოჭიდავე. ასევე ტრიუმფული იყო მისი გამოსვლა პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც ათივე ფალავანი ძირს დასცა.

**ზურაბ ცხონდია**

ფოტომატიანე



1962 წელი. კიევი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. ბურევესტნიკი სსრ კავშირის ჩემპიონი ხმლით ფარიკაობაში: მარცხნიდან: მორის სახვაძე, ბორის მელნიკოვი, ევგენი ჩერეპოვსკი, ნუგზარ ასათიანი, ამიკ ალანაკიანი

კონტრაქტები

# ოთარ ტატიშვილი აზერბაიჯანს გაწვრთნის

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ასისტენტი **ოთარ ტატიშვილი** დღეიდან აზერბაიჯანის ნაკრების თავკაცია - 62 წლის ქართველმა სპეციალისტმა ჩვენი სამეზობლოს გუნდი ჩაიბარა. FILA-ს ოქროსორდენოსანი მწვრთნელი ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის მოამზადებს აზერბაიჯანის ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ნაკრებს. ოთარ ტატიშვილი **შალვა გადაბაძის** (84 კგ) პირადი მწვრთნელია, რომელიც მეორე სეზონია, აზერბაიჯანის სახელით გამოდის.



ოთარ ტატიშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო

# გვიბლიანის საპრიზო დებიუტი

**თორნიკე გვიბლიანი** ჩვენთვის უცნობი 18 წლის ძიუდოისტია, მის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჰოლანდიაში ვარჯიშობს. ამასობაში თორნიკე საერთაშორისო ტურნირებს გაუშინაურდა, თანაც წარმატებულად. ერთი კვირის წინ მან ბელგიურ ანტვერპენში „იპონ ტროფიზე" იასპარეზა და 81 კგ წონით კატეგორიაში მე-3 ადგილი დაიკავა. სხვათა შორის, მან საქართველოს სახელით იჭიდავა. მოკლედ, თორნიკეს დებიუტი დიდებში წარმატებული აღმოჩნდა, აპრილში მან 20-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირში იმარჯვა, რომელიც ჰოლანდიის ქალაქ ვენრაიში გაიმართა - 81 კგ წონით კატეგორიის ფინალში ჩვენებურმა გერმანელი **რაზმან ისაევი** დაამარცხა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ლიდერებს პრობლემებს ვერ უქმნიან

გუშინ ფოთში საქართველოს თექვსმეტწლამდელ მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატზე მესამე ტურის მატჩები გაიმართა. მან იმარჯვა, ვისაც უნდა მოეგო. თუმცა მესამე ტურს განმასხვავებელი და დასამახსოვრებელი ნიშანი მაინც ახლდა - გოგონებშიც და ვაჟებშიც მხოლოდ თითო-თითო შეხვედრა დასრულდა ყაიმით. ლიდერების წარმატებაზე ვთქვით. კონკრეტულად, გოგონებში **მარიამ დანელიამ ნანი უნაფქოშვილს მოუგო; ნინო ანაკიძემ - მარიამ ჭოლაძეს; ლელა უგულავამ - ნათია ჯალაბაძეს.** მართალია, ჯალაბაძე მეორეა განთესვით და ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნევა, ლელაც არ არის მაჩანჩალა - მეოთხეა, ამიტომ მისი გამარჯვება მოულოდნელობად ვერ ჩაითვლება, მით უფრო, რომ უგულავა თეთრებით თამაშობდა.

ვაჟებში პირველმა ნომერმა **ზურაბ ჯავახაძემ** შავებით მოუგო **კახაბერ წერეთელს; ნოდარ ლორთქიფანიძემ** თეთრებით აჯობა **გიორგი დარასელიას; გიორგი ნიკოლაშვილმა** შავებით დაამარცხა **გიორგი შონია**, ხოლო **ნიკა ვოლკოვმა** ასევე შავებით მიაღწია წარმატებას **გიორგი ცირეკიძესთან.** ვოლკოვი მეოთხეა განთესვით, თუმცა მან უკვე იწვნია მეორე ტურში მარცხი და ამიტომ პირველ სამ განთესილს ერთი ქულით ჩამორჩება. მეოთხე ტურში უკვე ვიხილავთ ერთ-ერთ მთავარ ბრძოლას - ჯავახაძე ლორთქიფანიძეს დაუპირისპირდება; გოგონებში კი ანაკიძე დანელიას შეხვდება.

მეოთხე ტურის წილისყრას ქვემოთ გაეცნობით, მანამდე კი ვიტყვით, რომ შესანიშნავად ფუნქციონირებს ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი. ოპერატიულობასთან ერთად ხელმისაწვდომია ყველა პარტიის ხილვა. მეტიც - პირველ ათ დაფაზე გამართული შეხვედრების პირდაპირ ეთერში ცქერაც შეუძლია გულშემატკივარს. ასეთი სერვისი არცთუ ხელმისაწვდომია ხოლმე საქართველოში ჩატარებული ტურნირების დროს და სასიამოვნოა, რომ ორგანიზატორებმა ამჯერად ყველაფერი ილონეს, რათა სპეციალისტსაც და მოყვარულსაც ინტერესი დაეკმაყოფილებინათ.

დღეს ხვდებიან: გოგონები: **ნინო ანაკიძე(3) - მარიამ დანელია(3); მარიამ ჭოლაძე(2) - ლელა უგულავა(2); ნანი უნაფქოშვილი(2) - მარიამ თევზაძე(2); ანა კუჭავა(2) - მარიამ სულამანიძე(2);** თეკლა ფარჯიანი(2) - ანა შამთავა(2).

ვაჟები: ზურაბ ჯავახაძე(3) - ნოდარ ლორთქიფანიძე(3); გიორგი ნიკოლაშვილი(3) - კახაბერ წერეთელი(2); ნიკა ვოლკოცი(2) - გიორგი გორდულაძე(2); გიორგი დარასელია(2) - ნიკოლოზ შენგელია(2); ილია ხვიტია(2) - გიორგი შონია(2); ვაჟა დვალიშვილი(2) - ალექსანდრე ხახუტაშვილი(2).

**ზვიად შათირიშვილი**

სპორტი ყველასათვის

## ერთი დღე ერთად ბუნების წიაღში!

საქართველოს ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის" კვირას, 31 მაისს, კუს ტბაზე ატარებს მასობრივ კულტურულ-სპორტულ ღონისძიებას დევიზით: „ერთი დღე ერთად ბუნების წიაღში". მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს. პირად ჯანმრთელობაზე მონაწილე თავადაა პასუხისმგებელი.

შეკრება 31 მაისს, 11 საათზე ბაგებში, კუს ტბისკენ მიმავალი გზის დასაწყისში.

R

კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# ლეიკერსს ერთი მოგება დარჩა

სამი აბსოლუტურად თანაბარი მეოთხედის შემდეგ, „დენვერმა" ღირსეული პასუხი ვერ გასცა ბოლო 12-წუთეულის სტარტზე „ლეიკერსის" სპურტს და სერიის მეხუთე მატჩი წააგო.

წლევანდელ პლეი ოფის სერიებში სულ ათჯერ გაიმართა მეხუთე მატჩი და აქედან ცხრაჯერ გამარჯვება მასპინძელ გუნდებს დარჩათ. ამ სტატისტიკის მიხედვით, კალიფორნიელთა შანსები უფრო მაღლა ფასდებოდა, მაგრამ შეხვედრის დასაწყისმა ყველანაირი პროგნოზი თავდაყირა დააყენა. „დენვერი" მისთვის ჩვეული მანერით, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე წავიდა შეტევაში - **ჩონსი ბილაპსისა** და **კენიონ მარტინის** ორ-ორი ზუსტი ტყორცნისა და **დანტეი ჯონსის** ჯარიმის წყალობით, სტუმრები 10:4 დაწინაურდნენ. მასპინძლები გრძნობდნენ, რომ ასეთ მატჩებში მეტოქის შორს გაშვება არ შეიძლება და მომენტალურად საპასუხო სპურტით გაათანაბრეს ანგარიში - 18:18. პირველი მეოთხედის ბოლომდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო კომფორტული უპირატესობის მოპოვება. ქულა ქულაში თამაში მიდიოდა და ამ ჯეროის განმავლობაში სამქულიანი უპირატესობაც კი არ დაფიქსირებულა.

დიდი შესვენების წინ, **ჯეი არ სმიტმა** და **ენტონი კარტერმა** ორი შორეული ტყორცნით ხუთი ქულით გაიყვანეს წინ „ნაგეტსი", მაგრამ ამას **კობი ბრაიანტის** ზედიზედ შვიდი ქულა და **საშა ვუიაჩიჩის** ზუსტი სამქულიანი მოყვა და მეორე მეოთხედის შემდეგაც საყაიმო ანგარიში დაფიქსირდა - 56:56.

მეორე ტაიმიც პირველის ანალოგიურად დაიწყო. **კარმელო ენტონისა** და მისი პარტნიორების მონდომებით სტუმრებმა შვიდქულიანი უპირატესობა მოიპოვეს - 71:64. მომდევნო ხუთ წუთში **ჯორჯ კარლის** შეგირდებმა თამაშიდან მხოლოდ ერთი ბურთის ჩაგდება მოახერხეს, მასპინძლებს კი ყველაფერი გამოსდიოდათ და ზედიზედ მესამე მეოთხედიც ფრედ დასრულდა. ანგარიში კვლავ თანაბარი იყო - 76:76.



კალიფორნიელებმა მესამე მეოთხედში დაწყებული გაქცევა მეოთხის დასაწყისში გააგრძელეს. „დენვერმა" ოთხი წუთის განმავლობაში ვერაფრით მოახერხა „ლეიკერსის" დაცვის გარღვევა, ამ უკანასკნელმა კი ეს მონაკვეთი 11:0 მოიგო და ფაქტობრივად გადაწყვიტა მატჩის ბედი. დარჩენილ დროში ბრწყინავდნენ ენტონი და **ლინას კლეიზა**, მაგრამ მათი მონდომება არაფერი იყო მასპინძელთა გამოცდილი ხუთეულის (**ფიშერი, გასოლი**, ბრაიანტი, **ოდომი** და **არიზა**) შეწყობილ მოქმედებასთან. ერთადერთი, რასაც „ნაგეტსმა" მიაღწია, სხვაობის ოთხ ქულამდე შემცირება იყო, მაგრამ, როცა არიზამ ერთ შეტევაში თავის გუნდს სამი ქულა მოუტანა, ყველაფერი საბოლოოდ გაირკვა.

ამ მატჩში მორიგი მიღწევით აღინიშნა კობი ბრაიანტი. მან ერთი სამქულიანი ჩააგდო, რითაც პლეი ოფში შორეული ტყორცნების რაოდენობით ლეგენდარულ **სკოტი პიპენს** გაუსწრო და მეოთხე ადგილზე გადავიდა. ახლა ბრაიანტის ანგარიშზე 203 სამქულიანი მოდის.

მოქმედ კალათბურთელებს შორის კობის მხოლოდ „დენვერის" გამთამაშებელი ჩონსი ბილაპსი უსწრებს. მან გუშინ სამი სამქულიანი ჩააგდო და 247 ზუსტი ტყორცნა დაუგროვდა.

ყველა დროის ლიდერი კი „ინდიანას" ლეგენდარული მცველი **რეჯი მილერია** - 320 სამქულიანი, მეორეზეა **რობერტ ორი** 261 ზუსტი სროლით.

**დასავლეთი**

| ლეიკერსი-დენვერი | 103:94 |
|---|---|

25:25, 31:31, 20:20, 27:18

ლ: ბრაიანტი (22+8 პასი), ოდომი (19+14 მოხსნა+4 დაფარება), პ. გასოლი (14+10 მოხსნა+5 დაფარება), ფიშერი (12), არიზა (12).

დ: ენტონი (31), მარტინი (12), ბილაპსი (12), კლეიზა (10), ნენე (4 + 8 არლქრპრვ).

სერია: 3:2

ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი

# ნანატრი ფინალი

როგორც მოსალოდნელი იყო, დასავლეთი კონფერენციის ფინალური სერიის მეხუთე მატჩში სტენლის თასის მფლობელმა „დეტროიტ რედ უინგზმა" გადამწყვეტ სერიაში თამაში გაინაღდა. ისევე როგორც ერთი წლის წინ, ფინალში „წითელი ფრთების" მეტოქეები პიტსბურგელი „პინგვინები" იქნებიან.

გუშინდელი მატჩის მთავარი გმირები ორივე გუნდის მეკარეები გახდნენ. „ჩიკაგოს" წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ის სახელდებოდა, რომ ტრავმის გამო ნახევარი სერია გააცდინა რუსმა მეკარემ **ნიკოლაი ხაბიბულინმა**, მაგრამ მისმა შემცვლელმა **კრისტობალ იუემ** მეხუთე მატჩში 46 დარტყმა მოიგერია და ამ გოლკიპერის დამსახურებაა, რომ შეხვედრის ბედი ოვერტაიმში გადაწყდა.

მატჩში ანგარიში მესამე პერიოდში გაიხსნა. **დანიელ კლირიმ**, რომელიც კარიერას „ჩიკაგოში" იწყებდა, **ბრეტ ლებდას** პასი გამოიყენა. კლირიმ ამ სერიაში განსაკუთრებით მონდომებით ითამაშა და თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ 5 მატჩში 5 ქულა (4+1) დააგროვა. სხვათა შორის, ამ ფორვარდმა წინა ეტაპზე, „ანაჰაიმთან" სერიის მეშვიდე მატჩში გაიტანა გამარჯვების შაიბა.

„ჩიკაგომ" ბოლომდე იბრძოლა და ანგარიშის გათანაბრებაც შეძლო, მაგრამ ამან მხოლოდ გადაავადა ამ სერიაში მისი ფიასკო, რადგან ოვერტაიმში ძალიან აქტიურმა **დარენ ჰელმმა** საბოლოო წერტილი დაუსვა „დეტროიტის" უპირატესობას.



| დეტროიტი-ჩიკაგო | 2:1 (ო) |
|---|---|

0:0, 0:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 კლირი-8 (ლებდა-5, ფილპულა-13), 1:1 კეინი-9 (სიბრუკი-11, ბოლანდი-8), 2:1 ჰელმი-3 (ჰოლმსტრიომი-3, ლებდა-6).

სერია: 4:1

**ფინალის კალენდარი**

| | |
|---|---|
| 30 მაისი | დეტროიტი-პიტსბურგი |
| 31 მაისი | დეტროიტი-პიტსბურგი |
| 2 ივნისი | პიტსბურგი-დეტროიტი |
| 4 ივნისი | პიტსბურგი-დეტროიტი |
| 6 ივნისი* | დეტროიტი-პიტსბურგი |
| 9 ივნისი* | პიტსბურგი-დეტროიტი |
| 12 ივნისი* | დეტროიტი-პიტსბურგი |

# კეპიტალზი დოპინგს ხმარობს?

მსხვილმა ნარკოდილერმა **რიჩარდს ტომასმა** სენსაციური განცხადება გააკეთა - დაპატიმრების შემდეგ მან პოლიციელებთან საუბარში აღიარა, რომ აკრძალული პრეპარატებით ამარაგებდა ჰოკეის ეროვნული ლიგის გუნდ „ვაშინგტონ კეპიტალზსა" და ბეისბოლის ლიგის ბინადარ „ვაშინგტონ ნეიშენალზს".

35 წლის ტომასი ცენტრალურ ფლორიდაში ნარკოტიკების ყველაზე მსხვილ გამავრცელებლად მიიჩნეოდა და დაპატიმრების მომენტში, მას 200 ათასი დოლარის ღირებულების აკრძალული სტეროიდები აღმოუჩინეს. გამოძიების დაწყების შემდეგ, ტომასმა არაერთხელ განაცხადა, რომ მისი კლიენტები იყვნენ „კეპიტალზისა" და „ნეიშენელზის" მოთამაშეები, თუმცა კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია.

პოლიციის წარმომადგენლები კომენტარს არ აკეთებენ ნარკოდილერის ამ განცხადებების გამო, რადგან ტომასის სიტყვების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გააჩნიათ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**გერმანია**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| კოტბუსი-ნიურნბერგი | 0:3 |

**ჰოლანდია**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ბრედა-გრონინგენი | 1:1 |
| ვაალვიკი-გრააფსხაპი | 2:0 |
| კამბური-როდა | 0:0 |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფრემადი-ნაესტვედი | 0:3 |
| კიოგე-კიოლდინგი | 0:3 |
| ფრედერისია-ტისტედი | 3:0 |
| როსკილდე-ვიბორგი | 2:0 |
| ჰვიდოვრე-ფრემი | 3:0 |
| ნიკიობინგი-ლუნგბიუ | 0:3 |
| სილკებორგი-სკივე | 2:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ბრანი-მიოლდე | 2:0 |

**ნორვეგიის თასი**

| | |
|---|---|
| ოლგაარდი-ვიკინგი | 2:3 |
| ბიასენი-ალტა | 3:4 |
| დრობაკი-ფრედრიკსტადი | 1:2 |
| ფოლო-ვოლერენგა | 0:2 |
| ჰიონეფოსი-რაუფოსი | 1:1, პენ. 6:5 |
| კრისტიანსუნდი-ოლესუნდი | 0:2 |
| ლევანგერი-რუსენბორგი | 0:5 |
| ლორენსკოგი-ნოტოდენი | 0:1 |
| მიოლნერი-ბოდო გლიმტი | 1:3 |
| როა-ლინი | 0:6 |
| სტიოლკამი-ტრომსიო | 2:3 |
| ტრიომსდალენი-სტრინდჰეიმი | 2:3 |
| ულ კისა-სანდეფიორდი | 1:0 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| აიკ-ჰამარბიუ | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| [illegible] | 2:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ინტერი-ვაასა | 0:1 |
| კუოპიო-ტურკუ | 0:3 |
| ჰიკ-ტამპერე | 1:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბილი-ლოზანა | 2:4 |
| კონკორდია-შაფჰაუზენი | 3:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| გალვეი-დერი | 0:3 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| უნივერსიტი-სპორტინგი | 0:1 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-კეფლავიკი | 4:4 |
| ფიოლნირი-ვესტმანაეიარი | 1:3 |
| ფრამი-ვალური | 1:2 |
| გრინდავიკი-ტროტური | 2:1 |
| სტიარნანი-ფილკირი | 2:1 |
| რეიკიავიკი-ჰაფნარი | 1:2 |

**ხორვატიის თასი**

| | |
|---|---|
| ჰაიდუკი-დინამო | 3:0, პენ. 3:4 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ალბა-პადერბორნი | 66:58 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 74:70 |

TV პროგრამა

**29 მაისი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

07:00 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. დეფენსორი (ურუგვაი)-ესტუდიანტესი (არგენტინა).
08:45 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
09:45 საფეხბურთო პროგრამა.
10:15 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. პალმეირასი (ბრაზილია)-ნასიონალი (ურუგვაი).
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
12:30 გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგაში გადასასვლელი პლეი ოფი. კოტბუსი-ნიურნბერგი.
14:20 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
15:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი.
18:15 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. დეფენსორი (ურუგვაი)-ესტუდიანტესი (არგენტინა).
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
21:55 საფეხბურთო პროგრამა.
22:25 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. პალმეირასი (ბრაზილია)-ნასიონალი (ურუგვაი).
00:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:45 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
01:15 საფეხბურთო კლუბი.
02:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ოსასუნა.
04:00 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ატლეტიკო.
05:50 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
10:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი.
12:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIX ეტაპი (LIVE).
19:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
19:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).
21:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
21:55 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
22:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. შვედეთის გრანპრი.
23:00 რესტლინგი.
00:00 პოკერი. საფრანგეთი.
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე.
02:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
03:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
12:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
17:00 მაუნტინბაიკი. პორტუგალია.
17:45 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ფინალი. ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XIII ტური. ჯეფ იუნაიტედი-იოკოჰამა.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 ახალი ამბები.
22:45 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. 1/2 ფინალი. ტულუზა-კლერმონი (LIVE).
00:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
00:45 ბრძოლა წესების გარეშე.
01:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
02:00 ახალი ამბები.
02:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
03:00 ახალი ამბები.

ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

**XVII ეტაპი**

**ქიეტი-ბლოკჰაუსი. 83 კმ**

1. **ფრანკო პელიზოტი** (იტალია, Liquigas) - 2.21,06; 2. **სტეფანო გარცელი** (იტალია, Acqua & Sapone – Caffe Mokambo) - +0,42; 3. **დანილო დი ლუკა** (იტალია, LPR Brakes - Farnese Vini) - +0,43; 4. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - +0,48; 5. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - +0,57; 6. მარციო ბრუსეგინი (იტალია, Lampre – N.G.C.) - +1,54... 9. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +1,59; 10. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, „ასტანა") - იგივე დრო; 11. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, „ასტანა") - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - 72.28,24; 2. **დანილო დი ლუკა** (იტალია, LPR Brakes - Farnese Vini) - +0,26; 3. **ფრანკო პელიზოტი** (იტალია, Liquigas) - +2,00; 4. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - +3,28; 5. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +3,30; 6. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, „ასტანა") - +4,32... 12. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, „ასტანა") - +12,17...

# ფედერერი კინაღამ გავარდა



გუშინ, როლან გაროსიმ კორტებზე კინალამ დიდი სენსაცია მოხდა. მსოფლიოს 45-ე ნომერს, არგენტინელ **ხოსე აკასუსოს** სულ ცოტა დააკლდა შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** დასამარცხებლად.

სამსაათნახევრიან ბრძოლაში შვეიცარიელმა მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილების ხარჯზე სძლია 26 წლის მეტოქეს. მოდი, თითოეული სეტი განვიხილოთ და თავად განსაჯეთ, რა ახლოს იყო დამარცხებასთან მსოფლიოს მეორე ჩოგანი.

პირველი პარტიაში აკასუსო ბრეიკით დაწინაურდა - 4:2, მაგრამ ფედერერმა მაშინვე დაიბრუნა დაკარგული. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც არგენტინელი ჯერ 4:1-ს იგებდა, შემდეგ 6:3-ს, ჯამში კი ოთხი სეტ-პოინტი ჰქონდა, თუმცა მაინც ვერ შეძლო პარტიის მოგება.

მეორე პარტიაში უკვე როჯერმა გააკეთა ბრეიკი და წინ გავიდა - 2:0. არგენტინელმა სეტის შუაში იგდო ხელთ ინიციატივა, ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ბოლოს კი მატჩში მესამედ აილო გეიმი მეტოქის მოწოდებაზე და 7:5 მოიგო. სეტებში ანგარიში გათანაბრდა.

არგენტინელი ჩოგბურთელის შეჩერება შეუძლებელი ჩანდა. მესამე პარტიის სტარტზე მან ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო - 4:0, ცოტა ხანში კი 5:2-ზე სეტზე აწვდიდა. აი, სწორედ აქ გაეხსნა ფედერერს მეორე სუნთქვა. როგორც ჩანს, არგენტინელმა არ დაიჯერა, რომ ასე ახლოს იყო გამარჯვებასთან და ანერვიულდა. ამას კი ის მოჰყვა, რომ როჯერმა ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო, შემდეგ კი მატჩში მეორე ტაი-ბრეიკიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეოთხე პარტიაში ბრძოლა აღარ ყოფილა. ფედერერი თავის მოწოდებაზე დამაჯერებლად მოქმედებდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ აკასუსომ მიღებაზე ერთი გათამაშებაც (!) ვერ მოიგო. ამასთან, როჯერმა ორივე ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და 6:2 გაიმარჯვა.

1/16 ფინალში ფედერერს მასპინძელი ჩოგბურთელი - **პოლ-ანრი მატიო** დაუპირისპირდება.

■ ■ ■

ასევე ახლოს იყო დამარცხებასთან ქალებს შორის ერთ-ერთი ფავორიტი **ვენუს უილიამსი**. 28 წლის ამერიკელი ჩეხ **ლუსი საფაროვას** ხვდებოდა, რომელიც WTA-ის რეიტინგში 46-ე ადგილს იკავებს. ეს შეხვედრა ოთხშაბათს სიბნელის გადაიდო. ჩეხს პირველი პარტია ტაი-ბრეიკით ჰქონდა მოგებული.

განახლებულ მატჩში ვენუსმა რიხით დაიწყო და სამი ბრეიკის წყალობით მეორე სეტი იოლად - 6:2 მოიგო.

მესამე სეტში მეტოქეები არაფერს უთმობდნენ ერთმანეთს: როგორც კი საფაროვა წინ გადიოდა, უილიამსი მაშინვე ათანაბრებდა ანგარიშს. ამერიკელისთვის კინალამ სავალალოდ დასრულდა მეათე გეიმი. მის მოწოდებაზე 4:5 და 0:30 იყო. ლუსის ორი ბურთის ჩაგდება სჭირდებოდა შემდეგ წრეში გასასვლელად, მაგრამ ამერიკელი გადარჩა. მე-11 გეიმში კი ვენუსმა, როგორც იქნა ნანატრი ბრეიკი გააკეთა, საკუთარი მოწოდებაც აილო და დიდი გაჭირვებით გაალწია მესამე წრეში, სადაც მისი მეტოქე უნგრელი **აგნეს შავაი** იქნება.

სამაგიეროდ, იოლად მოიგო უილიამსების ოჯახის მეორე წარმომადგენელმა - **სერენა უილიამსმა**. ამერიკელმა 35 წლის ესპანელ **ვირხინია რუანო-პასკუალს** პირველ სეტში ორი გეიმი დაანება, მეორე პარტია კი „მშრალი“ ანგარიშით მოიგო.

გუშინ, ქალებს შორის მოულოდნელი შედეგები მაინც დაფიქსირდა. ტურნირს სამი განთესილი ჩოგბურთელი გამოეთიშა, მათ შორის შარშანწინდელი უიმბლდონის ფინალისტი, ტურნირის მე-13 ნომერი **მარიონ ბარტოლი**. ფრანგმა ორ სეტში წააგო იტალიელ **ტატიანა გარბინთან**. ასევე დატოვეს როლან გაროსის კორტები ესპანელმა **ანაბელ მედინა გარიგესმა** და ფრანგმა **ალიზ კორნემ**.

ამ ჯგუფში შეიძლებოდა მოხვედრილიყო მეოთხე ნომერი, რუსი **ელენა დემენტიევა**. მან პირწმინდად წააგო პირველი სეტი ავსტრალიელ **ელენა დოკიჩთან** - 2:6. მეორეში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. ყველაფერი მეხუთე გეიმში გადაწყდა - დოკიჩმა ზურგის კუნთი დაიჭიმა და ცოტა ხნით კორტის დატოვება მოუწია. მოედანზე დაბრუნებულმა ავსტრალიელმა ბრეიკის გაკეთებაც კი მოახერხა, მაგრამ როცა მომდევნო ორი გეიმი ზედიზედ წააგო, ატირებული საკუთარი სკამისკენ გაეშურა და მატჩის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

## II წრე

### კაცები

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ხოსე აკასუსო (არგ) 7:6, 5:7, 7:6, 6:2; ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4)-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:3, 6:4 გადაიდო; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 5)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 6:3, 7:5, 6:0; **ენდი როდიკი (აშშ, 6)**-ივო მინარი (ჩეხ) 6:2, 6:2, 7:6; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 9)**-ხუან მონაკო (არგ) 7:5, 2:6, 6:1, 7:6; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 10)**-დიეგო ხუნკეირა (არგ) 4:6, 6:3, 6:0, 6:2; **გაელ მონფილსი (საფ, 11)**-ვიქტორ კრივოი (რუმ) 6:4, 6:3, 6:3; **ტომი რობრედო (ესპ, 16)**-დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 6:4, 6:4, 6:3; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 24)**-გიიომ რუფენი (საფ) 6:2, 7:5, 6:4; **იგორ ანდრეევი (რუს, 25)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 1:6, 7:5, 5:7, 6:3, 6:4; ხუან კარლოს ფერერო (ესპ)-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 29) 4:6, 6:2, 4:6, 7:6 გადაიდო; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 32)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:2, 6:3, 6:4; **კრისტოფ როხუსი (ბელ)**-არნო კლემანი (საფ) 6:1, 7:5, 4:6, 6:3; **მაქსიმო გონსალესი (არგ)**-ანდრეას სეპი (იტა) 7:6, 6:3, 6:3; **ტომი ჰაასი (გერ)**-ლეონარდო მაიერი (არგ) 6:3, 7:6, 3:6, 4:6, 6:3; **მარკ ჟიკელი (საფ)**-ანდრეას ბეკი (გერ) 6:4, 6:7, 7:6, 7:5; **ჟერემი შარდი (საფ)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:2, 6:3, 4:6, 4:6, 6:1.

### ქალები

**სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ) 6:2, 6:0; **ვენუს უილიამსი (აშშ, 3)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:7, 6:2, 7:5; **ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 3:6, 4:3 დოკიჩის უარი; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:1, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 7)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 6:0, 6:2; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 10)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:1, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12)**-მარია კორიტცევა (უკრ) 6:1, 6:4; **ტატიანა გარბინი (იტა)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 13) 6:3, 7:5; **ვირჟინ რაზანო (საფ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 18) 6:2, 6:2; **სორანა კირსტეა (რუმ)**-ალიზ კორნე (საფ, 21) 6:3, 6:2; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან, 24)**-პეტრა მარტიჩი (ხორ) 6:3, 6:3; **მელინდა ჩინკი (უნგ)**-სიბილ ბამერი (ავსტრია, 28) 4:6, 6:3, 10:8; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 30)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 6:3, 4:6, 6:4; **კ. ბონდარენკო (უკრ)**-ოლივია როგოვსკა (ავსტრა) 4:6, 7:5, 7:5; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-ალექსა გლეტჩი (აშშ) 7:6, 7:5; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-ვიქტორია კუტუზოვა (რუს) 3:6, 6:3, 6:3; **იარმილა გროტი (ავსტრა)**-მარიანა დუკე მარინო (კოლ) 6:2, 7:6.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნადალი: მამაცი სულაც არ ვარ

## რაფას სიბნელის ეშინია

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** ჟურნალ Vogue-ის ამერიკული ვერსიის ივნისის ნომრის გმირი გახდა. როგორც ესპანელი ჩოგბურთელის ინტერვიუდან ირკვევა, კორტზე უშიშარ რაფას ცხოვრებაში გარკვეული მოვლენების შიში ჰქონია.

ნადალმა მკითხველებს მოუყვა, რომ სერიოზულად უფრთხის სახლში მარტო დარჩენას. თუ დღისით ეს პრობლემა ნაკლებად აწუხებს, ღამით სიბნელეში მარტო ყოფნა მისთვის აუტანელი ხდება.

*„როცა ღამით სახლში მარტო ვრჩები, ძალიან ვნერვიულობ,* - თქვა ესპანელმა. - *ამის გამო, ლოგინში არ ვწვები და დივანზე ჩართული ტელევიზორის წინ და ანთებული ნათურების ქვეშ წოლა მირჩევნია. ასე რომ, მამაცი სულაც არ ვარ. ჩოგბურთში ეს თვისება მაქვს, ცხოვრებაში - არა“.*

ნადალი როლან გაროსზე დღეს ჩაატარებს 1/16 ფინალის შეხვედრას. ეს იქნება მეექვსე სათამაშო დღის ცენტრალური მატჩი, რომელშიც რაფა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან **ლეიტონ ჰიუიტს** შეხვდება.

*„ლეიტონის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის ძალიან რთულია. მაქსიმალურად კარგი ჩოგბურთი უნდა ვაჩვენო და მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებ გამარჯვების მოპოვებას“*, - ამბობს ესპანელი ჩოგბურთელი.

ნადალი და ჰიუიტი აქამდე რვაჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და მათი ურთიერთდაპირისპირების ანგარიში საყაიმოა - 4:4. თუმცა ბოლო სამი შეხვედრა რაფაელის გამარჯვებით დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ წინა წრეში ნადალმა სამ სეტში რუსი **თეიმურაზ გაბაშვილი** გაანადგურა. მატჩის შემდეგ რაფამ აღიარა, რომ ძალიან უნდოდა ამ მატჩის სწრაფად დასრულება, რათა ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის მიესწრო. ცნობილია, რომ ნადალი მადრიდის „რეალის“ ფანია, თუმცა „ბარსელონას“ მიმართაც ვერ იქნება გულგრილი, რადგან წლების განმავლობაში ამ გუნდში თამაშობდა ჩოგბურთელის ბიძა - ცნობილი ესპანელი მცველი **მიგელ ანხელ ნადალი**.

# ელენა ლუვრზე ოცნებობს

როლან გაროსის ერთ-ერთმა ფავორიტმა, რუსმა ჩოგბურთელმა **ელენა დემენტიევამ** აღიარა, რომ საფრანგეთის ღია პირველობის მსვლელობისას ლუვრის დათვალიერებაზე ოცნებობს.

*„პარიზს ვაღმერთებ, მაგრამ მისი საფუძვლიანად დათვალიერება დღემდე ვერ მოვახერხე. ძალიან მინდა ლუვრში წასვლა, თუმცა ამისთვის ჯერჯერობით დრო ვერ გამოვნახე.*

*საფრანგეთის დედაქალაქში ტურნირამდე ერთი კვირით ადრე ვაპირებდი ჩამოსვლას, მაგრამ მადრიდში ავად გავხდი და ამან ჩემი გეგმები შეცვალა. თუმცა ჩვენ ელისეის მინდვრებზე ვცხოვრობთ, ასე რომ, ლუვრთან მისასვლელად დიდი ხანი არ დამჭირდება“*, - ამბობს ელენა დემენტიევა, რომელმაც გუშინ საფრანგეთის ღია პირველობის 1/16 ფინალის საგზური მოიპოვა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

